



ECOCONSULTING RR

შპს „ზღ ნავთობის კომპანია“

32900 მ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკით ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხანის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე

(გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი, ვაზიანი, მიწის ნაკვეთების
ს/კ №81.10.22.390, №81.10.22.409 და №81.10.22.688)

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეკოკონსალტინგი რრ“

დირექტორი

რ.რჩეულიშვილი

თბილისი 2025

№2a N.Jvania St., 0179 Tbilisi, Georgia

Phone: (+995) 223 12 91, Mobile:(+995) 599 540 208, E-mail: ecoconsultingrr@gmail.com

შინაარსი

1	შესავალი -----		4
2	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა -----		7
	2.1	დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა-----	7
	2.2	ზოგადი დახასიათება -----	15
	2.2.1.	ტექნოლოგიური პროცესის აღწერა-----	17
	2.2.2	საწარმოს საქმიანობის ძირითადი პარამეტრები -----	32
	2.2.3	წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების არინება -----	33
		2.2.3.1 წყალმომარაგების სისტემა-----	33
		2.2.3.2 ჩამდინარე წყლების არინება-----	34
		2.2.3.3 საწარმოო-სანიაღვრე წყლების გაწმენდა-----	36
	2.2.4	ნარჩენების მართვა-----	39
	2.2.5	ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები -----	43
	2.2.6	საწარმოს ფუნქციონირების რეჟიმი -----	43
	2.2.7	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები -----	44
	2.2.8	ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ) ნორმები -----	45
	2.3	საწარმოს საექსპლუატაციო პარამეტრების ცვლილების პირობები -----	46
	2.3.1	ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად დამატებული ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურის ელემენტები-----	48
	2.3.2	ტევადობისა და წარმადობის ცვლილება-----	52
	2.4	საწარმოს სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაცია-----	52
3	გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების დახასიათება -----		57
	3.1	ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე -----	57
	3.2	ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება -----	130
	3.3	ზემოქმედება ნიადაგზე და გეოლოგიურ პირობებზე-----	138
	3.4	ზემოქმედება ზედაპირული წყლების ხარისხზე-----	142
	3.5	ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე-----	146
	3.6	ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება-----	146
	3.7	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე -----	146
	3.8	ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება-----	146
	3.9	ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე-----	147
	3.10	ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე-----	147
	3.11	კუმულაციური ზემოქმედება-----	151
4	გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება -----		154
5	გამოყენებული ლიტერატურა -----		156
6	დანართი -----		159
	დანართი 6.1. საჯარო რეესტრიდან ამონაწერები და საკადასტრო გეგმები -----		159
	დანართი 6.2. გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური პასპორტი-----		170
	დანართი 6.3. „მ შს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მიწი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს №ი-333 (05/06/1014) ბრძანება და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 32 (04/06/2014) -----		188
	დანართი 6.4. „შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მიწი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2-656 (27.07.2020) -----		199
	დანართი 6.5. „შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების		201

	საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2-812 (11/09/2020) ბრძანება -----	
დანართი 6.6.	„გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „ზდ ნავთობის კომპანიას“ 22 600 მ ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №235/ს (04/08/2022) ბრძანება -----	209
დანართი 6.7.	„ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ შეთანხმების შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №21/4707 (24.08.2022)წერილი -----	214
დანართი 6.8.	ზღვრული პროექტის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმების შესახებ (სარეგისტრაციო ნომერი № 23 (29/10/20)----	215
დანართი 6.9.	კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №3423/01 (14/05/2025) წერილი -----	216
დანართი 6.10.	კომპანიის ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაციის შესახებ შპს “სანიტართან” ხელშეკრულება №2507-16 (25/07/2025) -----	217
დანართი 6.11.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის გაანგარიშების შედეგები -----	223

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 32900 მ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკით ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხნის (შემდგომში - საწარმო) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის ანგარიშს.

„შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს №ი-333 (05/06/1014) ბრძანებით 2014 წლის 04 ივნისს შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე გაცემულია № 32 (04/06/2014 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (იხ. ანგარიშის დანართი 6.3).

2020 წლის 27 ივლისს, აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2-656 (27/07/2020) ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (იხ. ანგარიშის დანართი 6.4).

შემდგომ პერიოდში, 2020 წლის 11 სექტემბრის სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-812), საწარმოში დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (სარეზერვუარო პარკის გაზრდა 40 700 მ³-მდე) არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ამასთანავე, 2020 წლის 11 სექტემბრის სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად (ბრძანება №2-812), ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული იყო ობიექტის ტერიტორიაზე არსებული, 23 200 მ³ მოცულობის მქონე სარეზერვუარო პარკის გაზრდა 40 700 მ³-მდე, კერძოდ, ტერიტორიაზე არსებული სარეზერვუარო პარკის შემადგენლობაში ჯამურად 17 500 მ³ მოცულობის მქონე რეზერვუარის განთავსება. ობიექტის ტერიტორიაზე დაგეგმილი ცვლილება განხორციელდა ნაწილობრივ და სარეზერვუარო პარკის შემადგენლობას დაემატა ჯამურად 9 500 მ³ მოცულობის მქონე რეზერვუარი, შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა გახდა 32 700 მ³. ამასთან, სარეზერვუარო პარკის შემადგენლობაში დაემატა ორი ერთეული (თითოეული 100 მ³ მოცულობის) მიწისზედა, ვერტიკალური რეზერვუარი. შესაბამისად, სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ განისაზღვრება 32 900 მ³ -ით.

ამდენად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე განთავსდა ჯამურად 32 900 მ³ მოცულობის მქონე სარეზერვუარო პარკი, რომელიც მოიცავს 26 ერთეულ რეზერვუარს, მათ შორის ნედლი ნავთობისათვის ჯამურად 5000 მ³ (3000 მ³ და 2000 მ³) მოცულობის, მაზუთისათვის და საგზაო ბიტუმისათვის ჯამურად 8000 მ³ (1000 მ³; 2000 მ³ და 5000 მ³) მოცულობის, სალუმელე და დიზელის საწვავისათვის ჯამურად 4000 მ³ (5 ერთეული 1000 მ³ და 3000 მ³) მოცულობის, ბენზინისათვის და ნაფტისათვის ჯამურად 11 500 მ³ (500 მ³; 9 ერთეული 1000 მ³ და 2000 მ³), ხოლო ბენზინისა და ნაფტის შერევისათვის ჯამურად 400 მ³ (4 ერთეული 100 მ³) მოცულობის რეზერვუარი. აგრეთვე, ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხნის შემადგენლობაში შედის ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი დანადგარი, საგზაო ბიტუმის წარმოების დანადგარი, ნავთობპროდუქტებისა და ბიტუმის ჩამოსასხმელი მილსადენები, ნავთობპროდუქტების სატუმბი და გამცემი სადგურები, 2000 მ³ მოცულობის სახანძრო წყლის შესანახი რეზერვუარი და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების ობიექტები, სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობა, რკინიგზის ლიანდაგის ჩიხი და ავტოგზა, აგრეთვე, საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული

დანიშნულების შენობა-ნაგებობები. საწარმოს ტერიტორია შემოღობილია 1.8 მეტრის სიმაღლის რკინა-ბეტონის ღობით.

ამასთანავე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი იქნა PPGT-UC-SDS მარკის დესულფურიზაციის დანადგარის განთავსება. აღნიშნული დანადგარი განკუთვნილია ნედლი ნავთობის გადამუშავების, კერძოდ, ჰიდრაულიკური კავიტაციის პროცესის მეშვეობით გოგირდის მოშორებისთვის. საპროექტო დანადგარი წარმოადგენს სრულად დახურულ, ავტომატიზებულ, დისტილაციის სისტემას და მისი წარმადობა შეადგენს 2 ტონას საათში, შესაბამისად, დანადგარის სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 17 520 ტონა დიზელის საწვავის გადამუშავება. დანადგარის ტექნოლოგიური პროცესის უზრუნველსაყოფად გამოიყენება საქვებში, ბუნებრივი აირის ხარჯზე გამომუშავებული სითბური ენერჯია. ბუნებრივი აირის ხარჯი, წლის განმავლობაში განისაზღვრება 578 160 მ³-ით. საქვების გაფრქვევის მილის სიმაღლე მიწისპირიდან შეადგენს 12 მეტრს, ხოლო დიამეტრი 300 მმ-ს. გამონახოლქვის (CO₂ და H₂O) სიჩქარე 11 მ/წმ-ს. დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარის საწარმოო ტერიტორიაზე განთავსების წერტილის GPS კოორდინატებია: X - 503350.00; Y - 4616593.00.

აღნიშნული წარმოადგენდა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას და ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, ამიტომ დაექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას, გზმ-ს საჭიროების დადგენის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით განხორციელდა სკრინინგის პროცედურა.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „ზდ ნავთობის კომპანიას“ 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №235/ს (04/08/2022) ბრძანების შესაბამისად მიღებული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება (იხ. ანგარიშის დანართი 6.5), რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „ზდ ნავთობის კომპანიას“ 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ამასთანავე მოცემული ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება, რაც შესრულებულია (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №21/4707 (24.08.2022) წერილი განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ შეთანხმების თაობაზე წარმოდგენილია წინამდერე სკრინინგის ანგარიშის დანართში 6.7).

ამჟამად საწარმოს მიერ დაგეგმილი იქნა 32 900 მ³ ჯამური მოცულობის სარეზერვუარო პარკისათვის დამატებით 8 ცალი (№29-№36) მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარის (რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 11 000 მ³-ს) მშენებლობა. ამასთან, №29, №30 და №31 რეზერვუარები შექმნიან ცალკე რეზერვუარების ჯგუფს და ამ სამი რეზერვუარისათვის მოეწყობა ცალკე სარეზერვუარო პარკი.

აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას და ექსპლუატაციის პირობების შეცვლას (მათ შორის,

წარმადობის გაზრდას) და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს საჭიროების დადგენის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 32900 მ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკით ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, მომზადდა სკრინინგის განცხადება (თანდართული სკრინინგის ანგარიშით).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შედგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, მოიცავს:

- ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ

№	მონაცემთა დასახელება	დოკუმენტის შედგენის მომენტისათვის
1	ობიექტის დასახელება	შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხანა 32900 მ ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკით.
2	ობიექტის მისამართი: ფაქტიური: იურიდიული:	გარდაბნის რაიონი სოფელი მარტყოფში. ვაზიანი. ს/კ №81.10.22.390; №81.10.22.409 და №81.10.22.688 საქართველო. გარდაბნის რაიონი. სოფ. მარტყოფი.
3	საიდენტიფიკაციო კოდი	404440501
4	GPS კორდინატები	X - 503235.0; Y - 4616763.0
5	ობიექტის ხელმძღვანელი: გვარი. სახელი ტელეფონები: ელ. ფოსტა:	ბადრი ბუთხუზი ტელ: 599 55-66-36; 599 10-50-00 zdoilcompany@gmail.com
6	მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე:	750 მეტრი.
7	ეკონომიკური საქმიანობა:	ნედლი ნავთობის გადამამუშავება. საგზაო ბიტუმის მიღება და ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება-რეალიზაცია
8	გამოშვებული პროდუქციის სახეობა	საგზაო ბიტუმი. სალუმელე საწვავი. ბენზინი. ნაფტა. დიზელის საწვავი. მაზუთი
9	საპროექტო წარმადობა:	120000 ტონა ნედლი ნავთობის გადამამუშავება. 8400 ტონა საგზაო ბიტუმი. 15600 ტონა სალუმელე საწვავი; 42000 ტ/წელ ბენზინი; 54000 ტ/წელ დიზელის საწვავი; 18000 ტონა მაზუთი.
10	მოხმარებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობები:	120000 ტ/წელ ნედლი ნავთობი; 18000 ტ/წელ; მაღალი ოქტანობის ბენზინი
11	მოხმარებული საწვავის სახეობები და რაოდენობები:	4538160 მ ³ წელ ბუნებრივი აირი
12	სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში	8760 საათი
13	სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24 საათი

2. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

2.1. დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა

შპს “ზდ ნავთობის კომპანია“-ს 32900 მ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკით ნავთობგადამუშავებელი მინი ქარხანა მდებარეობს გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფში, ვაზიანი, შ.პ.ს. “ზდ ნავთობის კომპანია“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები: №81.10.22.390, №81.10.22.409 და №81.10.22.688). აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე საჯარო რეესტრიდან ამონაწერები და საკადასტრო გეგმები წარმოდგენილი წინამდებარე ანაგარიშის დანართში 6.1).

აღნიშნული ტერიტორიები წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, რომლის მთლიანი ჯამური ფართობია 80840.00 მ².


მოცემულ მიწის ნაკვეთის კუთხეთა წვეროების გეოგრაფიული კოორდინატები მოცემულია ცხრილში 2.1.1 (შესაბამისი წერტილები, ნომრების მიხედვით წარმოდგენილია სიტუაციური გეგმაზე ნახაზი 2.1.1).

ცხრილი 2.1.1. საპროექტო მიწის ნაკვეთის კუთხეთა წვეროების გეოგრაფიული კოორდინატები

წერტ. N	X	Y
1	503121.4549	4616878.317
2	503246.9517	4617007.653
3	503309.0603	4616951.312
4	503331.5435	4616908.482
5	503338.7444	4616877.896
6	503352.1904	4616792.307
7	503365.1034	4616714.466
8	503377.2651	4616638.165
9	503390.8807	4616579.512
10	503387.772	4616578.412
11	503378.7366	4616603.621
12	503341.8731	4616562.223
13	503348.0393	4616551.034
14	503307.279	4616502.432
15	503295.9902	4616483.646
16	503296.1625	4616475.977
17	503277.4372	4616471.181
18	503196.6998	4616610.423
19	503209.3567	4616618.193
20	503141.0353	4616749.783
21	503183.6455	4616775.943
22	503170.6533	4616808.722
23	503158.2752	4616834.986


დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) ასევე წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშის დანართის სახით.

ნახაზი 2.1.1. სიტუაციური გეგმა




საკვლევი ტერიტორიის სიტუაციური გეგმა წარმოდგენილია ნახაზზე 2.1.2, ხოლო ადგილმდებარეობის აეროთანამგზავრული მონაცემები წარმოდგენილია ნახაზზე 2.1.3.

ნახაზი 2.1.2. საკვლევი ტერიტორიის სიტუაციური გეგმა



ნახაზი 2.1.3. საკვლევი ტერიტორიის ადგილმდებარეობის აეროთამგზავრული მონაცემები



წყარო:<http://maps.napr.gov.ge>

შპს “ზდ ნავთობის კომპანია“-ს 32900 მ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკით ნავთობგადამუშავებელი მინი ქარხანა მდებარეობს გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფში, ვაზიანი, შ.პ.ს. “ზდ ნავთობის კომპანია“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები: №81.10.22.390, №81.10.22.409 და №81.10.22.688).

საწარმოო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი ფიქსირდება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით 750 მეტრში ზემო ვაზიანის დასახლება (იხ. ნახაზი 2.1.3).

საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დასავლეთის მხრიდან 1700 მეტრში გაედინება მდინარე ლოჭინი, ხოლო ჩრდილოეთით დასავლეთით 560 მეტრში გაედინება მდინარე საცხენისი, რომელიც უერთდება მდინარე ლოჭინს (იხ. ნახაზი 2.1.3)

საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით 430 მეტრში გადის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზა (ს5), საიდანაც გააჩნია შიდა შემოსასვლელი გზა, ხოლო საწარმოო ტერიტორიას აღმოსავლეთის მხრიდან გადის რკინიგზის ჩიხი, რომელიც შემოდის საწარმოო ტერიტორიაზე.

საკვლევი ტერიტორიის მომიჯნავედ აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ესაზღვრება არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა შესახებ მოძიებული მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ ნახაზზე 2.1.4.

აღნიშნულ საწარმოო ტერიტორიას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება იმედა ლუჭაშვილის (პ/ნ 01027073951) საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №81.10.22.689).

ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება შპს „ბეტალი“-ს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №81.10.22.594).


აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება მის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ს/კ №81.10.22.421; №81.10.22.337).

სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან 75 მეტრში მდებარეობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი თავისი შენობა-ნაგებობებით (ს/კ №81.10.22.322).

სამხრეთ მხრიდან ესაზღვრება ასევე მის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №81.10.22.593) და შპს „ენმა ოილი“-ს საკუთრებაში არსებული ნავთობბაზის ტერიტორია (ს.კ №81.10.22.463).

დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება საწარმოო ტერიტორიაზე მისასვლელი გრუნტის გზა და საქართველოს საპატრიაქოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N 81.10.27.653).

ნახაზი 2.1.4. საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე ნაკვეთების/სივრცეების საზღვრები



ქარბტენიან ტერიტორია: მონაცემების (მათ შორის, atlas.mepa.gov.ge; maps.gov.ge) გადამოწმებით დგინდება, რომ საკვლევი რეგიონის ფარგლებში წარმოდგენილი არ არის ქარბტენიანი-დაჭაობებული ტერიტორიები. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით დაგეგმილი საქმიანობის ან/და მისი განხორციელების ადგილის ქარბტენიან-დაჭაობებულ ტერიტორიებთან თავსებადობის საკითხი შეფასებას არ საჭიროებს.

შავი ზღვის სანაპირო ზოლი: შეფასებას არ საჭიროებს ასევე დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის თავსებადობის საკითხი შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, რომელიც საპროექტო ადგილიდან საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული.

ტყით დაფარულ ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები: საწარმოს რეკონსტრუქცია და ოპერირება დაგეგმილია არსებულ არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, სადაც გარემო მკვეთრად სახეცვლილია ადამინის საქმიანობის შედეგად. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის ახალი, მათ შორის ტყით დაფარული, ტერიტორიის ათვისება. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, მათ შორის შესაძლო ზემოქმედების არეალში არ ექცევა საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ან/და სხვა ობიექტები: memkvidreoba.gov.ge-ის ინტერაქტიული რუკის მონაცემების მიხედვით, საკვლევი არეალში არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები/ობიექტები. კერძოდ, საკვლევი ტერიტორიის სიახლოვეს არ არის განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი და ის არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში - შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები. მშენებლობის დროს, გრუნტის ექსკავირების პროცესში, რაიმე არტეფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაო პროცესი დაუყოვნებლივ შეჩერდება და ეცნობება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს. შემდგომი ქმედებები განხორციელდება "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და აღნიშნული სახის ობიექტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დაცულ ტერიტორიები: საკვლევი რეგიონის ფარგლებში საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასის მიხედვით (<https://atlas.mepa.gov.ge>). საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს დაცული ტერიტორიები და ზურმუხტის ქსელის საიტი. თბილისის ეროვნული პარკის საზღვარი საწარმოო ტერიტორიიდან 12 კილომეტრი მანძილითაა დაშორებული (იხ. რუკა 2.1.1).

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი საქმიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია დაცულ ტერიტორიებთან.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან): საკვლევი რეგიონში არ ფიქსირდება მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმა, სადაც შესაძლოა გამოყოფილი ყოფილიყო ლანდშაფტური, სარეკრეაციო ან/და სატყეო ზონები. საქმიანობა ხორციელდება კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, შედეგად შესაძლოა ზემოქმედების ფარგლებში/არეალში არ ექცევა სახელმწიფო ტყის ტერიტორიები ან/და ბუნებრივი ლანდშაფტური ზონები. maps.gov.ge-ის მონაცემების შესაბამისად ობიექტის სიახლოვეს წარმოდგენილი არ არის სარეკრეაციო ტერიტორიები. აღნიშნული გარემოებებისა და დაგეგმილი პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით საქმიანობის და მისი განხორციელების ადგილის, როგორც ლანდშაფტურ, ისე სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან/ზონებთან თავსებადობის საკითხი დამატებით შეფასებას არ საჭიროებს.

როგორც უკვე აღინიშნა სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება შპს „ენმა ოილი“-ს საკუთრებაში არსებული ნავთობბაზის ტერიტორია (ს.კ №81.10.22.463). საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით მიმართულებით 500 მეტრის რადიუსის შემოგარენში საპროექტო საწარმოს ანალოგიური პროფილის ან/და კუმულაციური ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვა საწარმოები არ იძებნება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე [http:// www.air.gov.ge](http://www.air.gov.ge) და ვებ. გვერდზე <http://map.emoe.gov.ge>

საწარმოსათვის შერჩეული ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც საპროექტო ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ტიპური ტექნოგენური ლანდშაფტი.

2.2. დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი დახასიათება

შპს “ზღ ნავთობის კომპანია“-ს 32900 მ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკით, ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხნითა და ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხნის პროექტირებისას და ექსპლოატაციის პირობების გათვალისწინებით მოწყობილია შემდეგი ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული და საწარმოო უბნები:

1. სარეზერვუარო პარკები;
2. ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი დანადგარი;
3. საგზაო ბიტუმის წარმოების დანადგარი;
4. დესულფურიზაციის დანადგარი;
5. ნავთობპროდუქტებისა და ბიტუმის ჩამოსასხმელი მილსადენები;
6. ნავთობპროდუქტების სატუმბი სადგურები;
7. გამწმენდი ნაგებობა (სანიაღვრე წყლების);
8. შენობა-ნაგებობები ადმინისტრაციული პერსონალისათვის, აგრეთვე საყოფაცხოვრებო დანიშნულებით;
9. ნავთობპროდუქტებისა გამცემი სადგურები;
10. ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების ობიექტები;
11. რკინიგზის ლიანდაგის ჩიხი;
12. ავტოგზა და სხვა

თითველი უბნის ფუნქციონირების განხილვა განსაზღვრავს საწარმოო ობიექტის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური ციკლის კონკრეტულობებს.

საწარმოს გენერალური გეგმა მოცემულია ნახაზზე 2.2.1.

2.2.1. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

სარეზერვუარო პარკის ჯამური ტევადობა ამჟამად შეადგენს 32900 მ³-ს.

საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების (ნედლი ნავთობის, მაღალი ოქტანობის ბენზინი) მიღება და ნედლი ნავთობის გადამუშავებით, მაზუთის, დიზელის საწვავისა და ნაფტას მიღება და შემდგომ მაზუთისაგან საგზაო ბიტუმისა და სალუმელე საწვავის მიღება და ნაფტასა და მაღალი ოქტანობის ბენზინის შერევით რეგულარის მარკის ბენზინის მიღება. შემდგომ მათი დროებითი შენახვა და გაცემა რეალიზაციისათვის.

ფაქტიური მდგომარეობით, საწარმოში სარეზერვუარო პარკი წარმოდგენილია შემდეგი რეზერვუარებით ნავთობპროდუქტების სახეობების მიხედვით, კერძოდ:

ნედლი ნავთობისათვის:

1. №1 - 3000 მ³ ტევადობის;
2. №2 - 2000 მ³ ტევადობის;

მაზუთისათვის და საგზაო ბიტუმისათვის:

3. №3 - 2000 მ³ ტევადობის;
4. №12 - 1000 მ³ ტევადობის;
5. №24 - 5000 მ³ ტევადობის;

სალუმელე და დიზელის საწვავისათვის:

6. №7 - 1000 მ³ ტევადობის;
7. №8 - 1000 მ³ ტევადობის;
8. №9 - 1000 მ³ ტევადობის;
9. №10 - 1000 მ³ ტევადობის;
10. №11 - 1000 მ³ ტევადობის;
11. №25 - 3000 მ³ ტევადობის;

ბენზინისათვის და ნაფტისათვის:

12. №4 - 2000 მ³ ტევადობის;
13. №5 - 1000 მ³ ტევადობის;
14. №6 - 1000 მ³ ტევადობის;
15. №14 - 1000 მ³ ტევადობის;
16. №17 - 1000 მ³ ტევადობის;
17. №19 - 1000 მ³ ტევადობის;
18. №20 - 1000 მ³ ტევადობის;
19. №21 - 1000 მ³ ტევადობის;
20. №22 - 1000 მ³ ტევადობის;
21. №18 - 500 მ³ ტევადობის;
22. №26 - 1000 მ³ ტევადობის;

ბენზინისა და ნაფტის შერევისათვის:

23. №15 - 100 მ³ ტევადობის;
24. №16 - 100 მ³ ტევადობის;
25. №27 - 100 მ³ ტევადობის;
26. №28 - 100 მ³ ტევადობის;

ანუ ჯამური მოცულობა ადრე დაგეგმილი სარეზერვუარო პარკისა 40700 მ³-ის ნაცვლად ექსპლოატაციის პირობების შეცვლის შემდეგ წარმოდგენილია 32900 მ³ მოცულობით, კერძოდ არ მოხდა ადრე დაგეგმილი №27, 28 და 29 რეზერვუარების მშენებლობა შესაბამისი მოცულობებით: 1000, 5000 და 2000 მ³-ის და ტექნოლოგიურ რეჟიმში ექსპლოატაციის პირობების ცვლილებების შემდეგ დაემატა ორი ცალი, თითოეული 100 მ³ მოცულობის შემრევი რეზერვუარები, რომლის ნომრები იქნება 27 და 28 (იხ გენ-გეგმა).

ამდენად, როგორც უკვე აღინიშნა საწარმოში არ მოხდა სამი ცალი, თითოეული 5000, 2000 და 1000 მ³ მოცულობის რეზერვუარების მშენებლობა, ასევე დამატებით დაიგეგმა ექსპლოატაციის ცვლილებების შემდეგ, ორი ცალი, თითოეული 100 მ³ მოცულობის მიწისზედა ვერტიკალური შემრევი რეზერვუარების ტექნოლოგიურ ციკლში ჩართვა, ამდენად სარეზერვუარო პარკის დაგეგმილი ჯამური 40700 მ³ მოცულობის ნაცვლად ექსპლოატაციის ცვლილების შემდეგ გახდება 32900 მ³ ჯამური მოცულობის, ანუ სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა შემცირდება 7800 მ³-ით.

ასევე საწარმოს შესაბამისად გააჩნია ნავთობპროდუქტების მიღებისა და გაცემის შესაბამისი სატუმბი სადგურები.

მოსამსახურე პერსონალის უსაფრთხო პირობების შექმნისათვის გათვალისწინებულია გადასასვლელი ბაქნები მოაჯირებით და ასასვლელი კიბეებით. ყველა რეზერვუარი აღჭურვილია საჭირო საექსპლუატაციო მოწყობილობებით. ესტაკადა და ყველა რეზერვუარი უზრუნველყოფილია დამიწების მოწყობილობებით და მეხამრიდებით. ყველა რეზერვუარი აღჭურვილია საჭირო საექსპლუატაციო მოწყობილობებით:

- ჩასასვლელი ლუქი, 1 ცალი, დიამეტრით 70 სმ.
- საზომი ლუქი, მილი დიამეტრით 150 მმ და სიმაღლით 40 სმ. აქედან ხორციელდება საწიროებისამებრ რეზერვუარიდან სინჯის აღება;

ნავთობპროდუქტების მიღება ხდება რკინიგზის ცისტერნებით, მოცულობით 60 ტ. ერთდროულად შეიძლება დაიცალოს 18 ვაგონ-ცისტერნა. ერთდროულად შეიძლება დაიცალოს ორი სახის ნავთობპროდუქტი: ნედლი ნავთობი და ბენზინი. რკინიგზის ჩიხი გათვალისწინებულია ცალმხრივი დაცლისათვის. ვაგონ-ცისტერნების მიწოდება რკინიგზის ჩიხზე გათვალისწინებულია ჯგუფურად. ჩამოსახსმელი მოწყობილობა გათვალისწილებულია ყოველ 12 მეტრში, რაც უზრუნველყოფს 60 ტ ვაგონ-ცისტერნების სწრაფ და ერთდროულ დაცლას. ნავთობპროდუქტების დამცლელი რკინიგზის ჩიხის სიგრძეა 100 მ. ჩიხის მუშაობის რეჟიმი სადღეღამისოა.

რკინიგზის ჩიხი აღჭურვილია ჰერმეტიული ქვედა დამცლელი მოწყობილობით უსნ-175 და გამანაწილებელი ჩამკეტი არმატურით.

რეზერვუარებიდან დიზელის საწვავისა და ბენზინის გაცემა ავტოცისტერნებით და რკინიგზის ცისტერნებით ხორციელდება 90 მ³/სთ წარმადობის ტუმბოთი, ხოლო მაზუთის 140 მ³/სთ წარმადობის ტუმბოთი ხოლო ბიტუმის გაცემის 30 მ³/სთ წარმადობის ტუმბოთი..

ნედლი ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებული ნავთობპროდუქტების რეზერვუარებში გადაქაჩვა მიმდინარეობს შემდეგი სიმძლავრის ტუმბოებით:

- დიზელის საწვავისათვის – 20 მ³/სთ-ში;
- ნაფტა – 40 მ³/სთ-ში;
- მაზუთი – 30 მ³/სთ-ში.

საგზაო ბიტუმის წარმოებისას მიღებული პროდუქტების გადაქაჩვა რეზერვუარებში მიმდინარეობს შემდეგი სიმძლავრის ტუმბოებით:

- საღუმელე საწვავისათვის – 20 მ³/სთ-ში;
- საგზაო ბიტუმი – 30 მ³/სთ-ში;

მაღალი ოქტანობის ბენზინისა და ნაფტის მიღებისას შემრევი რეზერვუარებში ხორციელდება 90 მ³/სთ სიმძლავრის ტუმბოთი და ამავე ტუმბოებით ხორციელდება მათი რეზერვუარებში გადაქაჩვა.

ტექნოლოგიური მილგაყვანილობა ურდულებით ურთიერთკავშირის საშუალებით შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს შემდეგი ოპერაციები:

- რკინიგზის ვაგონ-ცისტერნებიდან ნავთობპროდუქტების მიღება და მათი გადატუმბვა რეზერვუარებში;
- რეზერვუარებიდან ავტოცისტერნებში და რკინიგზის ვაგონ-ცისტერნებში გადატუმბვა.
- ტექნოლოგიური მილგაყვანილობა ძირითადად შესრულებულია მიწისზედა გადაწყვეტით, რკინაბეტონის დაბალ საყრდენებზე.

გზების, მოედნების გადაკვეთის ადგილას ტექნოლოგიური მილგაყვანილობა შესრულებულია მიწისქვეშა გადაწყვეტით.

მილების თანაბარი დახრა უზრუნველყოფს მათში პროდუქტის უნარჩუნოდ გავლას. ტემპერატურული სხვაობით გამოწვეული მილგაყვანილობის სიგრძის შეცვლა კომპენსირდება მობრუნების კუთხეებით.

მიწისზედა მილგაყვანილობა შეღებილია ბითუმის ლაქით, ალუმინის ფხვნილის დამატებით. მიწისქვეშა მილგაყვანილობა შეღებილია ბითუმის მასტიკით.

ტექნოლოგიური მილგაყვანილობის დიამეტრების გაანგარიშება მოხდა მათში ნავთობპროდუქტების მოძრაობის დასაშვები სიჩქარის შესაბამისად.

თუ მილებში ნავთობპროდუქტების მოძრაობის სიჩქარე ამ ნორმატიულ სიდიდეებზე დაბალია, მაშინ საქმე გვაქვს საანგარიშოზე უფრო დიდი ზომის მილებთან, რაც არაეკონომიურია. თუ მოძრაობის სიჩქარე ნორმატიულზე მაღალია, მაშინ წარმოიშობა მილსადენებში სტატიკური ელექტროობის დაგროვების საფრთხე და ამავე დროს მკვეთრად იზრდება ჰიდრაულიკური წინააღმდეგობა, რაც მოითხოვს სითხის გადატუმბვაზე გაცილებით უმეტე სიმძლავრის დახარჯვას.

მილსადენების გაანგარიშების დროს აგრეთვე მხედველობაშია მისაღები მილსადენების სიგრძე და მათზე დამონტაჟებული სამონტაჟო არმატურები (კუთხოვანები, მილტურები, სარინები, ურდულები, უკუსარქველები და სხვა), რომლებიც ზრდიან მილსადენების საერთო წინააღმდეგობას და ამცირებენ სითხის აწევის სიმაღლეს (წნევას).

დასაპროექტებელი მილსადენების სიგრძე დიდი არ არის და მათზე დამონტაჟებული სამონტაჟო არმატურის რაოდენობაც ბევრი არ არის. ამიტომ მისგან გამოწვეული წნევის დანაკარგები მცირეა. ვინაიდან ტუმბოების სიმძლავრე (წნევის განვითარების მხრივ) საკმაოდ მაღალია. ამ დანაკარგების უგულებელყოფა შეიძლება.

მილსადენის ზემოთაღნიშნული ფორმულით გაანგარიშებისას ყველაზე ოპტიმალურად მივიღეთ შემდეგი სიდიდეები:

- რკინიგზის ცისტერნებიდან სატუმბო სადგურამდე (შემწოვი მილი) $D=300$ მმ, შესაბამისი სიჩქარე $V=1.35$ მ/წმ.
- სატუმბო სადგურიდან რეზერვუარებში გაცემის მილი (მაღალი მხარე) $D=150$ მმ. სიჩქარე $V=2.12$ მ/წმ.
- რეზერვუარებიდან სატუმბო სადგურამდე (შემწოვი მილი) $D=100$. სიჩქარე $V=1.26$ მ/წმ.
- ავტოცისტერნებში მიმწოდებელი მილი (მაღალი მხარე) $D=80$ მმ, სიჩქარე $V=1.67$ მ/წმ.

სატუმბო სადგურიდან რეზერვუარამდე და რეზერვუარიდან ავტოცისტერნებამდე ყველა ცალკეული პროდუქტისათვის დამონტაჟებულია ცალკე დამოუკიდებელი მილსადენი, რაც გამორიცხავს ამ პროდუქტების ერთმანეთში შერევას. მიმღები სატუმბო სადგურიდან რეზერვუარებამდე დამონტაჟებულ მილსადენებზე მოწყობილია დამცლელი მილსადენები, რომლებითაც ხდება მათში ნარჩენი ნავთობპროდუქტების დაცლა მიმღებ მილსადენებზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს. ამ დამცლელ მილსადენებთან მიერთებულია აგრეთვე სადრენაჟო მილსადენები, რომლითაც ხდება რეზერვუარებში გამცემი მილსადენის ნიშნულის ქვევით არსებული ნარჩენი ნავთობპროდუქტების დაცლა რეზერვუარებიდან.

ორივე ამ გამცემი და სადრენაჟო გაერთიანებული მილსადენით დაბინძურებული ნავთობპროდუქტები სატუმბო სადგურში დამონტაჟებული ტუმბოს საშუალებით იტვირთება სპეციალურ ავტომანქანებში, საიდანაც გაიტანება ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოში. დაუშვებელია ასეთი დაბინძურებული ნავთობპროდუქტების პირდაპირ მომხმარებელზე გადაცემა დამატებითი გადამამუშავების გარეშე.

ბიტუმის მწარმოებელ ქარხანაში ხდება ნედლი ნავთობის გადამამუშავებით მიღებული მაზუთის გადამამუშავება ბიტუმად, რომელსაც შემდგომში გამოიყენებენ საგზაო მშენებლობაში. მიღებული ბიტუმი ინახება რეზერვუარებში და მომხმარებელს მიეწოდება ავტო ცისტერნებით.

რკინიგზის ცისტერნებიდან ნავთობპროდუქტების ჩასხმა რეზერვუარებში, ხოლო იქიდან ავტოცისტერნებში გაცემა წარმოებს ტუმბოების საშუალებით. გამოიყენება ძირითადად ელექტროძრავიანი ტუმბოები სპეციალურად ნავთობპროდუქტების გადასატუმბვად, აფეთქებაუსაფრთხო შესრულებით. ტუმბოების შერჩევა ხდება ტექნოლოგიური პროცესის რეჟიმის მიხედვით. ტუმბოების წარმადობის შესამაბისად ხდება ტექნოლოგიური მილსადენების დიამეტრების შერჩევა. ტუმბოები განლაგებული არიან სატუმბო სადგურში. სატუმბო სადგურში ტუმბოები განლაგებულია ერთ რიგად. სულ არის 10 ტუმბო. რკინიგზის ხაზიდან სატუმბო სადგურამდე ნავთობპროდუქტების მიმღები მილი დაქანებულია თანაბარი დახრით და სითხე თვითღინებით მთლიანად მოხვდება ტუმბოში. ბენზინისა და დიზელის საწვავებისათვის დამონტაჟებულია ცალკე მილსადენი, რომ არ მოხდეს ამ პროდუქტების ერთმანეთში შერევა.

სატუმბო სადგურში მოთავსებულია ურდულეების კვანძი, რომელთა საშუალებით ხდება ნავთობპროდუქტების გადატუმბვა სხვადასხვა მიმართულებით. ყველა ურდული უნდა იყოს დაკეტილი და გაიხსნება მხოლოდ საჭიროების მიხედვით. მიმღებ მილზე, ტუმბოების წინ, დამონტაჟებულია უხეში გაწმენდის ფილტრი, ხოლო ავტოცისტერნებში ჩამსხმელ დანადგარზე დამონტაჟებულია წმინდა გაწმენდის ფილტრი, მრიცხველი და სხვა ხელსაწყოები. ტუმბოებიდან რეზერვუარისკენ მიმავალ მილზე დამონტაჟებულია უკუსარქველი, რათა ტუმბოს გაჩერების შემთხვევაში არ მოხდეს სითხის უკან გამოდინება.

რეზერვუარები, მილსადენები და სხვა მოწყობილობები შეღებილია კოროზიის საწინააღმდეგო საღებავებით. სარეზერვუარო პარკი შემოსაზღვრულია 100 სმ სიმაღლის შემაღლებით, რეზერვუარების დაზიანების შემთხვევაში ნავთობპროდუქტების ლოკალიზაციის მიზნით.

მაზუთის ვაკუუმური გამოხდის დანადგარის ტექნოლოგიური პროცესისა და სქემის აღწერა

დანადგარის საპროექტო წარმადობა შეადგენს 20.833 ტონა მაზუთის გადამამუშავებას ერთ საათში, ანუ 500 ტონა მაზუთის გადამამუშავება დღე-ღამეში.

დანადგარის ნედლეული (მაზუთი) სარეზერვუარე პარკის რ-1 და რ-2 რეზერვუარებიდან არანაკლები 70-80 °C ტემპერატურით ტ-1 და ტ-2 ტუმბოებით იწყებს მოზრაობას (ნახაზი 1). რეზერვუარებიდან მაზუთის არების წინ აუცილებლად უნდა გაისინჯოს მაზუთის ხარისხი, დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად. ზოგადად, ნედლეულის ხარისხის ძირითადი მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს დანადგარისათვის დადგენილ ნორმებს.

ტუმბოების საშუალებით მაზუთი გაივლის თ-1 თბომცვლელს (მილთა კონას), სადაც მაზუთის ტემპერატურა ვაკუუმური კოლონის ზედა ნაწილის თევზიდან 190-210 °C ტემპერატურით გამომავალი ვაკუუმური მსუბუქი ფრაქციის სითბოთი აიწევა 90-100 °C ტემპერატურამდე, შემდეგ მაზუთის დინება გაივლის თ - 2 თბომცვლელს და გადადის თბომცვლელ თ - 3-ში. ამ თბომცვლელებში გავლისას მაზუთი ხურდება 220-240°C და 250-270°C ტემპერატურებამდე, შესაბამისად. გახურებული ნაკადი მიედინება ღ - 1 ლუმელში, საიდანაც გამოდის 400-420 °C ტემპერატურის მქონე სითხე - ორთქლის ნარევის მასის სახით და შედის კ - 1 ვაკუუმკოლონაში მე-4 და მე-5 თევზებს შორის. მილსადენში მაზუთის ხარჯის კონტროლი და ავტომატური რეგულირება ხდება G - 1 ხარჯმზომი ხელსაწყოთი და

ავტომატური სარქველით ას – 1. კ – 1 ვაკუუმკოლონაში სარქეთიფიკაციო თეფშებზე მაზუთიდან გამოიყოფა მსუბუქი (კოლონის ზემოდან და მის ქვემოთ მიმდებარე მე-14 თეფშიდან) ფრაქცია და მძიმე ფრაქცია (მე-7 და მე-9 თეფშებიდან). მსუბუქი და მძიმე ვაკუუმური ფრაქციების გამოყოფა და ვაკუუმკოლონიდან მათი გამოტანა ხდება ვაკუუმური წნევის ქვეშ. კოლონის ზედა ნაწილში ვაკუუმური წნევა მერყეობს 50-60მმ ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლეს შორის, ანუ 6.5-8.0 კპასკ. ვაკუუმკოლონის საკონცენტრაციო ნაწილში, სადაც შედის დ – 1 ღუმელიდან გამოსული გადახურებული მაზუთის მასა. წნევა უნდა მერყეობდეს 140-170მმ ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლეთა შორის, ანუ 18-22 კპასკ. ვაკუუმკოლონის ფსკერზე ტემპერატურა მერყეობს 80-125 0K შორის. ვაკუუმკოლონის 14 თეფშიდან გამომავალი მსუბუქი ვაკუუმფრაქციის ტემპერატურა მერყეობს 190-210 0C შორის, მე-7 და მე-9 თეფშებიდან გამომავალი მძიმე ვაკუუმფრაქციის ტემპერატურა მერყეობს 300-320 0C შორის.

ვაკუუმკოლონის ზემოდან, ე.წ. „შლემის“ მილსადენით (დიამეტრი – 200მმ) წყლის ორქლთან ერთად გამოედინებათანმყოფი, მსუბუქი გაზოილის ორთქლისა და მაზუთის მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით უმნიშვნელო კრეკირებისას წარმოქმნილი აიროვანი მასის ნაზავი. აღნიშნული მასა, „შლემის“ გავლით შედის კმ – 1 კონდესატორ-მაცივარში, სადაც ხდება მისი სწრაფი კონდესირება-გაცივება 40 0C –მდე. ორთქლოვანი მასის სწრაფი და ეფექტური კონდესირება-გაცივება წარმოქმნის ძირითად პირობას ვაკუუმური წნევის შესაქმნელად კ – 1 კოლონაში.

კმ – 1 ვაკუუმ კონდესატორ-მაცივრიდან კონდესირებული მასა ჩაედინება მიწის ზედაპირიდან არანაკლები 12.0 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ვს – 1 ვაკუუმ-სეპარატორში. ვს – 1 _ში მოგროვილი თხევადი მასა (წყალი + მსუბუქი გაზოილი) ჩაედინება მიწის ზედაპირზე მდებარე ვს – 2 სეპარატორში, სადაც მსუბუქი გაზოილი გროვდება ცალკე და დროდადრო ტ – 7 (ტ – 8) ტუმბოთი გადაიტუმბება ცალკე საცავში. შემდგომში იგი გამოიყენება როგორც დიზელის საწვავის კომპონენტი, ან მაზუთის კომპონენტი, აგრეთვე როგორც მილსადენების „გამოსარეცხი“ სითხე.

ვს – 1 სეპარატორში თხევადი მასიდან გამოყოფილი არაკონდესირებადი აიროვანი მინაერთები ნაწილობრივ წყლის ორთქლით გაზავებული, გაივლის აჩ – 1 ავტომატურ ჩამკეტს და შედის ვტ – 1 ვაკუუმტუმბოს მიმღებ ნაწილში. ვტ – 1 ვაკუუმტუმბო ახდენს ვს – ვაკუუმ სეპარატორში გამოყოფილი (სეპარირებული) არაკონდესირებადი აიროვანი მასის შეწოვას და მის ვს – 3 სეპარატორის გავლით გამოიყენება ღუმელში საწვავად. ვტ – 1 ვაკუუმტუმბოს ეფექტური მუშაობა უზრუნველყოფს ვაკუუმის შექმნას კ – 1 კოლონაში.

ვკ – 1 ვაკუუმკოლონის მე-14 თეფშიდან გამომავალი მაზუთის ვაკუუმური მსუბუქი ფრაქცია გაივლის თ – 1 თბომცვლელის მილთაშორის არეს, სადაც გადასცემს სითბოს მილებში გამავალ მაზუთს (ნედლეულს) ცივდება 110-120 0C ტემპერატურამდე და შედის ტ – 7 (ტ – 8) ტუმბოს მიმღებში, საიდანაც ვაკუუმური მსუბუქი ფრაქცია გადაიტუმბება ვაკუუმური მძიმე ფრაქციის მილსადენში, ან ცალკე, როგორც დიზელის საწვავის კომპონენტი. ვაკუუმური მსუბუქი ფრაქციის ნაწილი ტ – 7 (ტ – 8) ტუმბოთი მიემართება ვმ – 1 მაცივარში, ცივდება იქ მზრუნავი წყალმომარაგების ბლოკიდან მოწოდებული ტექნიკური წყლის მეშვეობით 50-60 0C ტემპერატურამდე და ბრუნდება კ – 1 ვაკუუმკოლონის მე 17 თეფშზე – როგორც ვკ – 1 კოლონის თეფშების „სარწყავი“ მასა, ას – 1 ავტომატური სარქველით ავტომატურად რეგულირდება ტემპერატურა კ – 1 ვაკუუმკოლონის ზედა ნაწილში.

ვკ – 1 ვაკუუმკოლონის მე-7 და მე-8 თეფშებიდან გამომავალი მაზუთის ვაკუუმური მძიმე ფრაქცია გაივლის თ – 2 თბომცვლელის მილთა შორის არეს, ცივდება 180-200 0C -მდე, შედის ტ – 5 (ტ – 6) ტუმბოს მიმღებში (საჭიროების შემთხვევაში მსუბუქ ვაკუუმურ ფრაქციასთან ერთად), გაივლის ჰმ – 1 ჰაერის მილოვან მაცივარს, სადაც ეს ნაზავი ცივდება არაუმეტეს 90 0C ტემპერატურამდე და მიედინება სარეზერვუარო პარკის მაზუთის რეზერვუარში. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც კ – 1 კოლონის ტემპერატურული რეჟიმი დარეგულირებას მოითხოვს, შესაძლებელია მძიმე ფრაქციის ნაწილი თ – 2 თბომცვლელის შემდეგ დაბრუნდეს ვკ – 1 კოლონის მე – 12 თეფშზე.

ვკ – 1 ვაკუუმკოლონის ფსკერიდან გუდრონი, რომლის ტემპერატურა მერყეობს 360-380 °C -მდე, გაივლის თ – 3 თბომცვლელის მილთა კონის არეს საიდანაც 260-280 °C -მდე ტემპერატურით შედის ტ – 3 (ტ - 4) ტუმბოს მიმღებში, შემდეგ გაედინება ჰმ – 2 ჰაერის მილოვან მაცივარში, სადაც ცივდება 180-200 °C -მდე და ჩაედინება სპეციალურ საცავში, ან პირდაპირ საგზაო ბიტუმის ბლოკის დკ – 1 დამქანგავ კოლონაში

ვკ – 1 ვაკუუმკოლონის თევშებზე სარექტიფიკაციო პროცესის გაძლიერებისათვის კოლონის ქვემოდან მიეწოდება ღ – 1 ღუმელში გადახურებული წყლის ორთქლი (ტემპერატურით 3800K), ნედლეულზე 3-4% (წონითი) რაოდენობით. წყლის ორთქლის ჰავლის მიწოდება ვკ – 1 ვაკუუმკოლონის ქვედა ნაწილში უზრუნველყოფს მაზუთიდან ხარისხოვანი გუდრონის მიღებას, გუდრონის დონის რეგულირება ხდება ტ – 3 (ტ - 4) დგუშთან ტუმბოსთან მდებარე ას – 2 ავტომატური სარქველით, რომლის მუშაობა იმართება კ – 1 კოლონის ქვედა ნაწილში H-1 დონის გამზომი ხელსაწყოს მონაცემებისაგან.

მაზუთის ვაკუუმური გამოხდის დანადგარის ტექნოლოგიური რეჟიმის ნორმები მოცემულია ცხრილ 2.2.1.1-ში.


ცხრილი 2.2.1.1. ტექნოლოგიური რეჟიმის ნორმები

№	დანადგარის ტექნოლოგიური პროცესების სტადიები, ცალკეული აპარატების რეჟიმის მაჩვენებლები	ზომის ერთეული	ტექნოლოგიური რეჟიმის დასაშვები პარამეტრები	ტექნოლოგიური რეჟიმის პარამეტრების კონტროლი და რეგულირება
1	2	3	4	5
1	მაზუთის (ნედლეულის) დინების დაწყება ტ-1 ტუმბოდან, მისი გახურება ღ-1 ღუმელამდე			
1.1	ტემპერატურა			
1.1.1	თ-1 თბომცვლელის შესასვლელში	°C	70-80	ტექნიკური თერმომეტრით
1.1.2	თ-3 თბომცვლელის შემდეგ, ღ-1 ღუმელის შესასვლელში	°C	250-270	T -1 თერმოწყვილის მონაცემებით(საოპერატოროში)
1.2	წნევა			
1.2.1	ნედლეულის ტუმბო ტ-1 დამწნებ მილში	კგ/სმ ²	12-16	ტექნიკური მანომეტრის მონაცემებით
1.3	რაოდენობა			
1.3.1	მაზუთის დინება თ-3 თბომცვლელის შემდეგ	მ ³ /სთ	7.5	G-1 ხარჯთმზომით (საოპერატოროში)
2	მაზუთის (ნედლეულის) გახურება ღ-1 ღუმელში			
2.1	ტემპერატურა			
2.1.1	ღ-1 ღუმელიდან გამომავალ მილში	°C	400-420	T-4 თერმოწყვილის მონაცემებით(საოპერატოროში)
2.1.2	წყლის ორთქლის ღუმელიდან გამომავალ მილში	°C	360-380	T-3 თერმოწყვილის მონაცემებით(საოპერატოროში)
2.1.3	ღუმელის რადიაციული ნაწილიდან საკონვექციო ნაწილში (ნამწვი აირი)	°C	არაუმეტეს 850	T-2 თერმოწყვილის მონაცემებით(საოპერატოროში)
2.1.4	ნამწვი აირების ატმოსფეროში გასასვლელ საკვამურ მილში	°C	არაუმეტეს 400	საკვამურ მილზე დამონტაჟ. ტექნიკური თერმომეტრით
2.2	წნევა			
2.2.1	ნედლეულის ღ-1 ღუმელში შემავალ მილში	კგ/სმ ²	8-12	P-1 მანომეტრის მონაცემებით(საოპერატოროში)
2.2.2	ღ-1 ღუმელიდან გამომავალ მილში	კგ/სმ ²	არაუმეტეს 1.0	P ტექნიკური მანომეტრის მონაცემებით ადგილზე
2.2.3	წყლის ორთქლის ღ-1 შემავალ მილში	კგ/სმ ²	4-6	P ტექნიკური მანომეტრის მონაცემებით
2.2.4	წყლის ორთქლის ღ-1 გამომავალ მილში	კგ/სმ ²	1-2	P ტექნიკური მანომეტრის მონაცემებით
2.2.5	მფრქვევანებზე მიწოდებული თხევადი	კგ/სმ ²	2-3	P ტექნიკური მანომეტრის

	საწვავის			მონაცემებით
2.2.6	მფრქვევანებზე მიწოდებული სათბობი აირების	კვ/სმ ²	1-2	P ტექნიკური მანომეტრის მონაცემებით
2.2.7	მფრქვევანებზე მიწოდებული სათბობის გაფრქვევისათვის (ვენტილიატორებიდან	მმ წყ. სვეტი	არანაკლებ 200.0	P ტექნიკური მანომეტრის მონაცემებით
2.2.8	მფრქვევანებზე თხევადი საწვავის გაფრქვევისათვის მიწოდებული წყლის ორთქლის	კვ/სმ ²	5-6	P ტექნიკური მანომეტრის მონაცემებით
3	მაზუთის რექთიფიკაცია კ-1 ვაკუუმკოლონაში			
3.1	ტემპერატურა			
3.1.1	კ-1 კოლონის ზემოთ	°C	80-125	T-6 თერმოწყვილის მონაცემებით(საოპერატოროში)
3.1.2	მე-14 თევზიდან გამომავალი მსუბუქი ფრაქციის	°C	190-210	T-7 თერმოწყვილის მონაცემებით(საოპერატოროში)
3.1.3	მე-7 თევზიდან გამომავალი მძიმე ფრაქციის	°C	300-320	T-8 თერმოწყვილის მონაცემებით(საოპერატოროში)
3.1.4	კ-1 კოლონის ქვედა ნაწილში	°C	360-380	T-5 თერმოწყვილის მონაცემებით(საოპერატოროში)
3.1.5	მე-14 თევზიდან გამომავალი მსუბუქი ფრაქციის ვმ-1 მაცივრის გავლის შემდეგ	°C	50-60	ტექნიკური თერმომეტრის მონაცემებით
3.2	წნევა			
3.2.1	კ-1 კოლონის ზედა ნაწილში	მმ წყლის სვეტი	50-60	p-2 ვაკუუმეტრის მონაცემებით საოპერატოროში
3.2.2	კ-1 კოლონის შუა ნაწილში (საევაპორაციო)	მმ წყლის სვეტი	140-170	p ტექნიკური ვაკუუმეტრის მონაცემებით
3.2.3	ვტ-1 ვაკუუმტუმბოს მიმღებ მილში	მმ წყლის სვეტი	30-40	ტექნიკური ვაკუუმეტრის მონაცემებით
3.3	დონის გაზომვა			
3.3.1	გუდრონის დონე კ-1 კოლონის ქვედა ნაწილში	%	30-50	H-1 ოფიშერის ტიპის დონის მზომი ხელსაწყო მონაცემებით(საოპერატოროში)
3.4	გადახურებული წყლის ორთქლის ხარჯი			
3.4.1	კ-1 ვაკუუმკოლონის ქვედა ნაწილში	%, კვ/სთ	ნედლეულის 3-4% 600-700	G-2 ხარჯმზომის მონაცემებით(საოპერატოროში)
4	დანადგარიდან გამოსული დინება			
4.1	ტემპერატურა			
4.1.1	ჰმ-1 ატმოსფერული ჰაერის მილკლავნილას ტიპის მაცივრის შემდეგ ვაკუუმური ფართო ფრაქციის (მსუბუქი და მძიმე ფრაქციების ნაზავი)	°C	არაუმეტეს 90	ტექნიკური თერმომეტრის მონაცემებით
4.1.2	გუდრონის დინების ჰმ-2 ატმოსფერული ჰაერის მილკლავნილას ტიპის მაცივრის შემდეგ	°C	180-200	T-15 თერმოწყვილის მონაცემებით(საოპერატოროში)
5	დამცავი სარქველები			
5.1	ზღვრული წნევის სიდიდეები			
5.1.1	დს-1 ტ-3 გუდრონის დგუშიანი ტუმბოს მიმღები და დამწნეხი მილების შეერთებაზე	კვ/სმ ²	ატრაუმეტეს 14.0	ტ-3 ტუმბოს დამწნეხ მილზე მდებარე ტექნიკური მანომეტრის მონაცემებით

ვაკუუმური გამოხდის კუბის ღუმელში საწვავად გამოყენებული იქნება ბუნებრივი აირი, რომელთა ხარჯი ტოლია 120 მ³/სთ (864000 მ³/წელ).

ნახაზი 2.2.1.1. მაზუთის ვაკუუმური გამოხდის დანადგარის ტექნოლოგიური სქემა



საგზაო ბიტუმის ბლოკის ტექნოლოგიური პროცესისა და სქემის აღწერა

დანადგარის საპროექტო წარმადობა შეადგენს 17 ტონა საგზაო ბიტუმის მიღებას საათში.

მაზუთის ვაკუუმური გამოხდის დანადგარზე (ნახაზი 2.2.1.1. კ – 1 კოლონის ქვემოდან გუდრონი ტ – 3 (ტ – 4) ტუმბოთი ჰმ – 2 მილოვანი ტიპის მაცივრის გავლის შემდეგ 160-180 °C ტემპერატურით შედის საგზაო ბიტუმის ბლოკის ბკ – 1 დამჟანგავ კოლონაში 11 მ სიმაღლის ნიშნულზე, გუდრონის მასა ბკ – 1 კოლონაში მოძრაობს ზემოდან ქვემოთ და მუდმივ კონტაქტშია კოლონის ქვემოდან ზემოთ მოძრავ დაწნეხილ ატმოსფერულ ჰაერთან. ბკ – 1 კოლონაში გუდრონის მასა დაწნეხილ ატმოსფერულ ჰაერში მყოფ ჟანგბადის ზემოქმედებით განიცდის ჟანგვით პროცესს, რაც იწვევს მისი ქიმიური შემადგენლობის ცვლილებებს. გუდრონის მასაში მყოფი რბილი და ნაკლებად წებოვანი ზეთოვანი ნახშირწყალბადები გარდაიქმნებიან უფრო მყარ და დასაკმარისად წებოვან ფისოვან ნივთიერებად, ხოლო შემდგომ გარდაქმნის ქიმიური პროცესების გაღრმავებისას, ფისები უფრო მაგრდებიან და გადადიან ასფალტებში, კარბენებში და კარბოიდებში, რომელთა დიდ რაოდენობას შეუძლია ბიტუმის ხარისხის გაფუჭება.

გუდრონის ნახშირწყალბადების ჟანგვის ქიმიური რეაქციების მიმართულების სქემა ბიტუმად გარქმნისას, დაახლოებით ასეთია:

- გუდრონი + ჟანგბადი – საგზაო ბიტუმი – სამშენებლო ბიტუმი
- ფისები + ზეთოვანი ნახშირწყალბადები – ზეჟანგები – ფისები – ასფალტები – კარბენები – კარბოიდები

ბკ – 1 კოლონაში მიმდინარე ჟანგვის ქიმიური პროცესების მიზნობრივი მართვა ხარისხოვანი საგზაო ბიტუმის მიღებისათვის შესაძლებელია 250-280 °C ტემპერატურებს შორის, როდესაც გუდრონში შემავალი ფისები და ზეთოვანი ნახშირწყალბადების ძირითადი მასა უნდა გარდაიქმნას ფისებსა და ასფალტებში და რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობით კარბენებში და კარბოიდებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ხარისხიან საგზაო მარკის ბიტუმი არ მიიღება. ჟანგვის პროცესი ბკ – 1 კოლონაში მიმდინარეობს დაახლოებით 3 – 4 საათის განმავლობაში. დამჟანგავი ჰაერის ხარჯვის კუთრი სიდიდე დაახლოებით უნდა შეადგენდეს 55-120 ნმ³/ტ. დკ – 1 კოლონის ჰორიზონტალურ ჭრილში ჰაერით დატვირთვა უნდა შეადგენდეს 2.5 ნმ³/მ²წთ – 5.5 ნმ³/მ²წთ. ხარისხიანი საგზაო ბიტუმის მიღების ერთ-ერთი მთავარი პირობაა მაზუთის მასაში ნედლეულად გუდრონის გამოყენება, რომელიც წარმოებულია ისეთი ნავთობისაგან, რომელშიაც მაღალგაყინვადი პარაფინური ნახშირწყალბადების შემცველობა არ აღემატება 3.0%-ს (წონით).

ბკ – 1 კოლონის ქვედა ფსკერზე განლაგებული კოლონის ჰორიზონტალურ ჭრილში თანაბრად განმანაწილებული მოწყობილობიდან ამოსული დაწნეხილი ატმოსფერული ჰაერი კოლონის ჰორიზონტალურ ჭრილში თანაბრად ეკონტაქტება კოლონის 11-12 მ სიმაღლის მანძილზე მყოფ გუდრონის მასას. ატმოსფერული დაწნეხილი ჰაერი შედის კოლონაში 12 მ სიმაღლის ნიშნულიდან 80 მმ-იანი დიამეტრის მილით, ეშვება ქვემოთ და კოლონის ფსკერზე განლაგებულ ჰაერის განმანაწილებელს უერთდება. დაწნეხილი ატმოსფერული ჰაერის ნაკადი მოედინება ჰკ – 1 ჰაერის კომპრესორისაგან. კომპრესორიდან გამოსულ დამწნეხ მილში ჰაერის ხარჯი იზომება და კონტროლირდება G – 3 ხარჯმზომით. კომპრესორის დამწნეხ მილში ჰაერის წნევა უნდა მერყეობდეს არა ნაკლები 6-8 კგ/სმ² შორის. ჰკ – 1 კომპრესორის წარმადობა უნდა მერყეობდეს 6-10 ნმ³/წთ. დკ – 1 კოლონაში ჰაერისა და გუდრონის მასის საკონტაქტო სიმაღლე არის 11-12 მ. დკ – 1 კოლონაში ბიტუმის მასის H₂ დონე რეგულირდება ავტომატურად ას – 4 ავტომატური სარქველით, რომელიც თავის მხრივ არეგულირებს კოლონიდან მზა ბიტუმის გამომტუმბავ ტ-9 (ტ-10) ტუმბოს მუშაობას.

ბკ – 1 კოლონის ქვედა ნაწილში ტემპერატურა მერყეობს 250-275 °C შორის, ასეთივე ტემპერატურა უნდა იყოს ბიტუმის მასაში კოლონის ზედა ნაწილში კოლონის ფსკერიდან 11 მ მთელ სიმაღლეზე. კოლონის ზედა ნაწილში ბიტუმის მასის ზედაპირის მდებარეობა

კარგად კონტროლირდება კოლონაში აეროვანი და თხევადი მასის ტემპერატურათა მონაცემებით, კერძოდ – თხევადი მასის 11 მ სიმაღლის ნიშნულზე მდებარე თ-12 და კოლონის აეროვან ზონაში 13 მ სიმაღლის ნიშნულზე მდებარე თ-13 თერმოწყვილების მონაცემებით. კოლონის აეროვან ზონაში ტემპერატურა უნდა მერყეობდეს 220-240 0C შორის. დაუშვებელია ბიტუმის თხევადი მასის ტემპერატურისა (თ-12) და კოლონის ზემო აეროვანი მასის (თ-13, თ-14) ტემპერატურებს შორის სხვაობის შემცირება 15 0C –ზე ნაკლებ სიდიდემდე. თუ ჟანგვის პროცესის დროს ტემპერატურათა სხვაობა განაგრძნობს შემცირებას, ეს იმის მომასწავებელია, რომ კოლონის აეროვან ზონაში კოლონის შიდა კედლების ზედაპირზე დალევილ კოქსზე იწყება ანთებითი პროცესი – რაც დაუშვებელია.

275 0C ტემპერატურის მქონე მზა ბიტუმი გაივლის ჰმ – 3 მილკლაკნილის ტიპის ჰაერის მაცივარს, სადაც ცივდება 180-200 0C -მდე, შედის ტ-9 (ტ-10) ტუმბოს მიმღებ მილში და გადაიტუმბება ბრ – 1 ბიტუმის რეზერვუარში. ბიტუმის მასის დაგროვების პარალელურად ყოველ 4 სთ-ში მოწმდება ბიტუმისხარისხი. ბრ – 1 რეზერვუარის გავსების შემდეგ ხდება საგზაო ბიტუმის ხარისხის მთლიანი შემოწმება გოსტის მიხედვით, ფორმდება შესაბამისი დოკუმენტები და გაიცემა მომხმარებელზე.

ბკ – 1 კოლონის აეროვანი ზონიდან 150 მმ დიამეტრის მილით დამუხანგავ ატმოსფერულ ჰაერთან ნაზავის სახით გამოედინება ატმოსფერული ჰაერით დაჟანგვისას წარმოქმნილი მჟავე აირები. ერთდროულად მჟავე აირებს თან გამოყვება ცოტა რაოდენობის შედარებით მსუბუქი მასა – ე. წ. „შავი სალიარის“ წვეთები. აღნიშნული ნაზავი შედის მჟავე აირების ს – 10 სეპარატორში, სადაც ხდება ამ წვეთების სეპარირება და მოგროვება სეპარატორის ფსკერზე. ს – 10 სეპარატორიდან მჟავე აირები, თუ მათი რაოდენობა უმნიშვნელოა, შესაძლებელია გაიფრქვეს გარე ატმოსფეროში, თუ მჟავე რაოდენობა 1%-ზე მეტია (გუდრონის მასიდან), საჭიროა მათი გაუვნებელყოფა სპეციალურ დამწვავ ღ – 2 ლუმელში – 800-900 0C ტემპერატურაზე დაწვით. ღ – 2 ლუმელში შესვლამდე მჟავე აირებმა აუცილებლად უნდა გაიარონ ე. წ. ცეცხლჩამკვეტი ცკ – 1. დროებით დასაშვებია ს – 10 სეპარატორიდან მჟავე აირების ნაკადის მიმართულება შეუერთდეს ღ – 1 ლუმელის საკვამურ მილს სმ – 2. ს – 10 სეპარატორში მოგროვილი ე. წ. „შავი სოლიარის“ მასა ტ-5(ტ-6) ტუმბოთი გადაიტვირთება მაზუთის რეზერვუარში ან ტექნოლოგიური კომპლექსის სათბობის მეურნეობის საცავებში და გამოიყენება, როგორც საწვავი მფრქვევანებში. ე. წ. „შავი სოლიარის“ დონე ს – 10 სეპარატორში კონტროლდება სეპარატორის კორპუსზე მდებარე ვენტილებით.

ბკ – 1 კოლონაში წნევა არ უნდა აღემატებოდეს 0.5 კგ/სმ--ს, რაც კონტროლირდება ტექნიკური მანომეტრის მონაცემებით კოლონის აეროვან ზონაში. ნამეტი წნევისაგან კოლონას იცავს ჰკვ – 3 დამცავი სარქველი, რომელიც დამონტაჟებულია დკ – 1 კოლონის კორპუსის ზედა ნაწილში. ამ კოლონაში გუდრონის ჟანგვის პროცესის დროს ტემპერატურის რეგულირება ხდება კოლონაში დაწნეხილი ატმოსფერული ჰაერის ხარჯის ცვლილების მეშვეობით, ან ჰმ – 3 მილკლაკნილას ტიპის ჰაეროვანი მაცივრის შემდეგ გაცივებული ბიტუმის მასის ნაწილის უკან, კოლონაში დაბრუნებით – რეცირკულირებით. საგზაო ბიტუმის ბლოკის ტექნოლოგიური რეჟიმის ნორმები მოცემულია ცხრილ 2.2.1.2-ში.

ცხრილი 2.2.1.2. საგზაო ბიტუმის ბლოკის ტექნოლოგიური რეჟიმის ნორმები

№	გუდრონის ჟანგვის ტექნოლოგიური პროცესების სტადიები, ცალკეული აპარატების რეჟიმის მაჩვენებლები	ზომის ერთეული	ტექნოლოგიური რეჟიმის დასაშვები პარამეტრები	ტექნოლოგიური რეჟიმის პარამეტრების კონტროლი და რეგულირება
1	2	3	4	5
1	გუდრონის დინება ტ-3(ტ-4) ტუმბოდან დამუხანგავ კოლონამდე			
1.1	ტემპერატურა			
1.1.1	ჰმ-2 მაცივრის შემდეგ	°C	160-200	T-10 თერმოწყვილის მონაცემებით(საოპერატოროში)
1.2	ხარჯი			

1.2.1	გუდრონის ხარჯი	მ ³ /სთ	17.0	ტ-3(ტ-4) დგუშიანი ტუმბოს მამოძრავებელი დგუშების სვლათა რიცხვით
2	გუდრონის ატმოსფერული ჰაერით დაჟანგვის პროცესი დკ-1 კოლონაში			
2.1	ტემპერატურა			
2.1.1	დკ-1 კოლონის ქვედა ნაწილში	°C	250-275	დკ-1 კოლონის ქვედა ნაწილში მდებარე თ-11 თერმოწყვილის მონაცემებით საოპერატოროში
2.1.2	დკ-1 კოლონის ფსკერიდან 11.0 მ სიმაღლის ნიშნულზე	°C	250-275	დკ-1 კოლონის ფსკერიდან 11 მ სიმაღლის ნიშნულზე მდებარე თ-12 თერმოწყვილის მონაცემებით(საოპერატოროში)
2.1.3	დკ-1 კოლონის აეროვანი ზონის 13მ სიმაღლის ნიშნულზე (ფსკერიდან)	°C	220-240	დკ-1 კოლონის ფსკერიდან 13 მ სიმაღლის ნიშნულზე მდებარე T-13 და T-14 თერმოწყვილების მონაცემებით(საოპერატოროში)
2.2	წნევა			
2.2.1	დკ-1 კოლონის ზემო აეროვან ზონაში	კგ/სმ ²	არაუმეტეს 0.5	დკ-1 კოლონის კორპუსის ზემო ნაწილში დამონტაჟებული ტექნიკური მანომეტრის მონაცემებით
2.2.2	დაწნეხილი ჰაერის დკ-1 კოლონაში შემავალ მილში	კგ/სმ ²	3-4	დკ-1 კოლონის კორპუსის სიახლოვეს ატმოსფერული დაწნეხილი ჰაერის მილზე მდებარე ტექნიკური მანომეტრის მონაცემებით
2.3	დონე			
2.3.1	თხევადი ბიტუმის ზედაპირის	%	40-60	
3	ჟანგვის პროცესის დროს მჟავე აირების გამოყოფა და მათი გაუვნებელოფა			
3.1	ტემპერატურა			
3.1.1	ს-10 სეპარატოროში	°C	220-230	დკ-1 კოლონის ზემო ნაწილში მდებარე თ-14 თერმოწყვილის მონაცემებით საოპერატოროში ან ს-10 სეპარატორის კორპუსზე მდებარე ტექნიკური თერმომეტრით, ადგილზე
3.1.2	მჟავე აირების დამწვავ ღ-2 ლუმელის რადიაციულ ზონაში	°C	800-1000	ღ-2 რადიაციულ ზონაში მდებარე თ-17 თერმოწყვილის მონაცემებით საოპერატოროში
3.2	დონე			
3.2.1	ს-10 სეპარატოროში ე. წ. „შავი სოლიარის“ აირების	-	-	ს-10 სეპარატორის კორპუსზე ფსკერიდან 2.0 და 3.0 მ სიმაღლეზე მდებარე ორი ონკანის მეშვეობით
4	დკ-1 კოლონის ფსკერიდან გამომავალი ტ-9(ტ-10) ტუმბოებით ბიტუმის მოძრაობის პროცესი			
4.1	ტემპერატურა			
4.1.1	დკ-1 კოლონიდან გამომავალ მილში	°C	250-275	დკ-1 კოლონის ქვედა ნაწილში მდებარე T-11 თერმოწყვილის მონაცემებით საოპერატოროში
4.1.2	ჰმ-1 მაცივრის შემდეგ	°C	200-215	ჰმ-3 მაცივრიდან გამომავალ მილზე მდებარე T-15 თერმოწყვილის მონაცემებით საოპერატოროში ტ.-
4.1.3	ბიტუმის რეზერვუარებში	°C	150-180	ბიტუმის რეზერვუარის კორპუსზე დამონტაჟებული T-16 თერმოწყვილის მონაცემებით საოპერატოროში

5	3კ-1 კომპრესორიდან დაწნეხილი ჰაერის მიწოდება			
5.1	წნევა			
5.1.1	3კ-1 კომპრესორის დამწნეხ მილში ან ს-8 სეპარატორში	კგ/სმ ²	6-8	ს-8 სეპარატორის კორპუსზე ან 3კ-1 კომპრესორის დამწნეხ მილზე მდებარე ტექნიკური მანომეტრით, ადგილზე
5.1.2	3კ-1 კომპრესორიდან დკ-1 კოლონაში მიწოდებული დაწნეხილი ჰაერის ხარჯთშომვა	ნმ ³ /სთ ნმ ³ /წთ	360-600	G-23 ხარჯთშომვი ხელსაწყოს მონაცემებით საოპერატორში

ნავთობგადამამუშავებელი მინი დანადგარის ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.

ნავთობის პირველადი გადამამუშავების დანადგარზე ხორციელდება ნავთობის გადამამუშავება ფიზიკური (თერმული) მეთოდით.

ნავთობის გადამამუშავების ფიზიკური მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ნავთობიდან მიიღება ინდივიდუალური ნახშირწყალბადები, ან მათი ნარევი, მათი ფიზიკური თვისებებიდან – დუღილის ტემპერატურიდან გამომდინარე. ნავთობის პირდაპირი გამოხდა დაქვუმნებულია ნავთობის სხვადასხვა ფრაქციების შემცველი კომპონენტების დუღილის ტემპერატურის სხვაობაზე და მოიცავს ორ ძირითად ეტაპს:

1. ნავთობის გაცხელება მაღალ ტემპერატურაზე;
2. პროდუქციის განცაკლებვა.

ნავთობის გაცხელება ძირითადად წარმოებს მილოვან ღუმელში. ამ ღუმელში სითბოს გადაცემა გამაცხელებელი აირიდან ნავთობზე წარმოებს მეტალის მილების საშუალებით – ანთებული აირის ალიდან კონვექციით და გამოსხივებით გახურებული მილების კედლებიდან.

გაცხელებული ნავთობიდან პროდუქციის გამოცალკეება ხდება სარექტიფიკაციო სვეტებში რექტიფიკაციის პროცესის მეშვეობით.

სარექტიფიკაციო სვეტები არის თეფშებიანი, თეფშებზე განლაგებული თალფაქები.

ნავთობის პირველადი გამოხდა წარმოებს ატმოსფერული წნევის ქვეშ თანმიმდევრობით შემდეგი საფეხურებით:

1. ნედლეულის წინასწარი გაცხელება თბომცვლელებში, გამოხდის პროდუქციის სითბოს ხარჯზე;
2. ნედლეულის – ნავთობის შემდგომი ძირითადი გაცხელება მილოვან ღუმელში;
3. თხევადი ნარჩენებიდან წარმოქმნილი ორთქლის გამოყოფა და მისი რექტიფიკაცია სარექტიფიკაციო სვეტებში;
4. გამოხდის პროდუქტების გაცემა და კონდენსაცია თბომცვლელებში, რომლებიც ამავდროულად გამოყენებულია საწყისი ნედლეულის წინასწარი გაცხელებისათვის.

ნედლი ნავთობი, მომზადებული გადამამუშავებისათვის რეზერვუარებში, თვითდინებით შემოიღინება ფილტრის გავლით ნედლეულის ტუმბოს მიმღებ მილში. ამ ტუმბოს მეშვეობით ნავთობი გაივლის დიზელის და მაზუთის თბიმცვლელებს, სადაც კოლონიდან გამოძვალა ცხელი დიზელისა და თბომცველისაგან გამოძვალა მაზუთის გაციების ხარჯზე ხდება მისი გახურება 80-95 °C ტემპერატურამდე და შედის დეჰიდრატორში ნავთობის მილსადენზე დამონტაჟებული ნავთობის ხარჯის განმსაზღვრელი ხელსაწყოთი. დეჰიდრატორში ხდება წყლისა და მექანიკური მინარევების ნავთობისაგან მოცილება 95 °C ტემპერატურამდე გაცხელებულ ნავთობში ემულსირებული წყლის ბურთულაკები იწყებენ ინტენიურ მოძრაობას, უერთდებიან ერთმანეთს, მსხვილდებიან და როგორც ნავთობზე მძიმე სითხე გროვდება დიპილიტორის ფსკერზე. ფსკერზე მოგროვილი წყლის მასა პერიოდულად ჩაიწრიტებ საწარმოო კანალიზაციაში. წყლის გამოყოფა ნავთობის მასისაგან ეფექტურად მიმდინარეობს 80-95 °C ტემპერატურის ფარგლებში, უფრო მეტად

გახურებისას წყლის ხვედრითი წონა მცირდება და უახლოვდება ნავთობისას, რის გამოც წყლის დაშვება რეზერვუარის ფსკერზე რთულდება. წყლის შემცველობა ნავთობის მასაში დეჰიდრატორის შემდეგ არ უნდა აღემატებოდეს 0.5%-ს, რადგან გაზრდილი რაოდენობით მისი მოხვედრა ღუმელში არღვევს მიღებში ნავთობის დინების სტაბილურობას. მისი მოხვედრა ღუმელის მილთა კონაში დინების წინააღობის ზრდის და ღუმელის არაეფექტურ მუშაობას აფერხებს.

დეჰიდრატორიდან ნავთობი გადადის დეჰიდრატორში, სადაც ხდება დაქმატებით წყლისა და მექანიკური მინარევების ნავთობისაგან მოცილება. დეჰიდრატორიდან გამოსული ნავთობი გაივლის თბომცველელს, შემდეგ კონდესატორ-მაცივარს, სადაც კოლონის ზემო ნაწილიდან გამომავალი “ფლეგმის” მეშვეობით დაახლოებით ხურდება 200°C –მდე და შედის ღუმელის კონვექციური ნაწილის მილში. კონვექციურ ნაწილში ნავთობის გახურება ხდება რადიანტულ ნაწილში გაზის წვის შედეგად წარმოქმნილი ცხელი აირის მასასთან კონტაქტირების ხარჯზე. ღუმელის კონვექციურ ნაწილში შემავალ ნავთობის მილსადენზე დამონტაჟებულია ღუმელში შემავალი ნავთობის ტემპერატურის გამზომი თერმოწყვილი.

ღუმელის კონვექციურ ნაწილში განლაგებული მილების გავლის შემდეგ ნავთობი შედის რადიანტულ არეში განლაგებულ მილებში. რადიანტული ნაწილის გავლის შემდეგ ნავთობის გახურების ტემპერატურამ უნდა მიაღწიოს 360-370°C. ამ ტემპერატურაზე ნედლი ნავთობის მასა წარმოადგენს ორთქლისა და სითხის სახის ნახშირწყალბადების ნარევს. რადიანტული მილებიდან გამომავალი ნავთობის ტემპერატურის რეგულირება ხდება მფრქვევანებზე გაზის (ბუნებრივი აირის) ხარჯის მომატების ან მოკლების გზით. რადიანტულ ნაწილში აგრეთვე განლაგებულია საქვაბიდან გამომავალი დაბალი ტემპერატურის მქონე წყლის ნაჯერი ორთქლის გადამახურელო მილები, სადაც ხდება ნაჯერი ორთქლის გადახურება, არა ნაკლები 2500C ტემპერატურით, რომლის შემდეგ “შშრალი” ორთქლის სახით მიეწოდება პირველი და მეორე კოლონის ქვედა ნაწილში. 360 - 370°C გახურებული ნავთობი ღუმელის შემდეგ შედის კოლონის თეფშებზე.

პირველი კოლონის თეფშზე (22 ცალი) დინებათა თბური და მასათა ურთიერთცვლის ხარჯზე ხდება ნავთობის ნახშირწყალბადების მასათა ნარევის გაყოფა ორი ნაწილად. ნახშირწყალბადების მძიმე მასა თხევადი მაზუთის სახით გროვდება კოლონის ქვედა ნაწილში. შემდეგ გაივლის თანმიმდევრულად თბომცველელებს და მე-5 მაცივრის მილთაშორის სივრცეში, გადასცემს სითბოს მასში გამავალ ნედლ ნავთობს, საბოლოოდ ცივდება მე-5 მაცივარში, არა უმეტეს 90°C -მდე და ტუმბოს მეშვეობით გადაიქაჩება სარეზერვო პარკში.

ნედლ ნავთობში წარმოქმნილი წყლის ორთქლი და მსუბუქი აიროვანი ნახშირწყალბადები, ბენზინი, ნავთი და დიზელის ფრაქციათა ნარევის სახით თეფშების გავლით მიენართება კოლონის ზედა ნაწილისაკენ. თეფშზე წარმოებს მაზუთის ფრაქციების მოცილება და ნარევის მასის ორთქლის სახით გამოედინება, საიდანაც გაციების შემდეგ მიღებული ორთქლ-გაზნარევი სითხე ჩაედინება “ფლეგმის” სეპარატორში. სეპარატორში ხდება ნახშირწყალბადების ნარევის გაყოფა აიროვან და თხევად ფრაქციებად. თხევადი ნაწილი სეპარატორის ქვედა ნაწილიდან ტუმბოებით მიეწოდება პირველ კოლონის თეფშზე (ზედა ნაწილში) მოსარწყავად. კოლონის ზედა ნაწილში ტემპერატურის რეგულირება წარმოებს ავტომატურად მარეგულირებელი სარქველით. თხევადი “ფლეგმის” მიწოდებით. სეპარატორის იმ თხევადი ნახშირწყალბადების ნარევის ბალანსური რაოდენობა, რომელიც სვეტის მოსარწყავად არ გამოიყენება 250-270 °C ტემპერატურით თვითდინებით გადადის მე-2 კოლონის მე-6 თეფშზე, ხოლო 1-1 სეპარატორის ზემო ნაწილიდან ორთქლი იგივე ტემპერატურით შედის კოლონის მე-5 თეფშზე.

მე-2 კოლონაში წარმოებს ნათელი ნავთობპროდუქტების ფრაქციათა ნარევის დაყოფა ცალ-ცალკე ფრაქციებად. მეორე კოლონის ზემოდან გამოედინება პირველადი ნახადი ბენზინის მასა, რომელიც გაივლის კოორდინატორ-მაცივარს, საიდანაც კონდესირებული და გაციებული ბენზინისა და წყლის ნარევი მასათა გაყოფისათვის თავდაპირველად შედის

სეპარატორში, სადაც ხდება თხევადი ბენზინის მასის, წყლისა და აირების ცალ-ცალკე დაყოფა. გამოყოფილი ბენზინის მასა გადადის სეპარატორ 3-ში. 12-3 სეპარატორებში ხვედრითი წონების სხვაობის გამო შეუქრებელივ ხდება ნარევი მასის გაყოფა სამ ნაწილად. სეპარატორის ზემო ნაწილებიდან გამოედინება აიროვანი ნახშირწყალბადები, ხოლო ფსკერზე დაგროვილი წყალი პერიოდულად ჩაიშვება საწარმოო კანალიზაციაში. სეპარატორის ზედა ნაწილიდან აიროვანი ნახშირწყალბადი მიეწოდება აირის სეპარატორის თხევადი ბენზინის წვეთებისაგან დამატებით გასაწმენდად. გათვლისწინებულია სეპარატორის აიროვანი ნახშირწყალბადების ღუმელში მიწოდება ცეცხლჩამხშობის გავლით. სეპარატორის ფსკერზე დაგროვილი თხევადი ნახშირწყალბადები (ბენზინი) პერიოდულად მიეწოდება ბენზინის ტუმბოს შეწოვის ხაზში.

სეპარატორის შუა ნაწილიდან გაცივებული ბენზინის ფრაქცია ტუმბოთი მიეწოდება კოლონის ზედა ნაწილში, პირველ თევზზე მოსარწყავად. კოლონის ზედა ნაწილის ტემპერატურის რეგულირება ხდება ავტომატურად ფლეგმის მიწოდებით ბენზინის ბალანსური რაოდენობა, რომელიც კოლონის მოსარწყავად არ გამოიყენება, გადაიტუმბება ბენზინის საცავი.

მე-2 კოლონის ქვემოდან გამოდის დიზელის ფრაქცია, რომელიც გაივლის თბომავალს, სადაც ცივდება 800-900°C -მდე ნედლ ნავთობზე სითბოს გადაცემის მეშვეობით. ამის შემდეგ დიზელის ფრაქცია დამატებით ცივდება მე-4 მაცივარში და არა უმეტეს 45 0C ტუმბოთი გადაიტვირთება დიზელის საცავში.

კოლონის ქვემო ნაწილში სარქეთიფიკაციო პროცესის გასაძლიერებლად, მიეწოდება ღუმელიდან გამომავალი გადახურებული (“მშრალი”) წყლის ორთქლი.

ნავთობის გადამუშავების პროცესი კონტროლდება საზომ-მალონტროლებელი ხელსაწყოების ერთობლიობით.

საწარმოს ასევე გააჩნია საქვაბე მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს ტექნოლოგიური პროცესების უზრუნველყოფას (დამჟანგავ კუბში ტემპერატურის შენარჩუნებას, ბიტუმისა და მაზუთის (ზამთრის სეზონში) გაცხელებას ტრანსპორტირებისათვის).

საქვაბე მეურნეობა შედგება ოთხი, თითო 1 ტ/სთ სიმძლავრის ქვაბისაგან, რომელშიც (თითოეულში) ბუნებრივი აირის ხარჯი არ აღემატება 90 მ³/სთ-ში. ოთხი ქვაბიდან ორი წარმოადგენს სარეზერვოს. თითოეული საქვაბის ნამწვი აირების გამოყოფის მილის სიმაღლე ტოლია 12 მ-ის, დიამეტრი 0.3 მ.

ჰიდრავლიკური კავიტაციით დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარი

საწარმოში ნედლი ნავთობის გადამუშავებით მიღებული დიზელის საწვავის გოგირდის მოცილებისათვის დაიგეგმა PPGT-UC-SDS მარკის ჰიდრავლიკური კავიტაციით დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარის მონტაჟი (იხ დანართის სახით საპასპორტო მონაცემები).

დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარის საწარმოო ტერიტორიაზე განთავსების წერტილის კორდინატებია: X: 503350.00 Y: 4616593.00.

ის არის Purepath-ის ნავთობის და ნავთობპროდუქტების გოგირდისაგან გაწმენდისა და გადამუშავების მოწყობილობა, ის აერთიანებს უამრავ მოწინავე ტექნოლოგიას, როგორცაა ჰიდრავლიკური კავიტაციის გამაძლიერებელი რეაქციის ეფექტი, ულტრაბგერითი ჟანგვას და ა.შ.

PPGT-UC-SDS გამოიყენება პოლიარომატული ნახშირწყალბადების, გოგირდის შემცველი ნაერთების, კოლოიდების და ასფალტენების ეფექტურად მოსაშორებლად. ასევე დანადგარი ეფექტურია ფერის, დაჟანგვის სტაბილურობის გასაუმჯობესებლად, რომელიც უზრუნველყოფილია კომპოზიტიური ექსტრაქციის აგენტის მოქმედებით.

პროცესი განსაკუთრებით დიზელის საწვავის გადამუშავებისთვის არის მოსახერხებელი. დიზელის საწვავი იქნება 10 ppm-ზე ნაკლები გოგირდის შემცველობით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას უშუალოდ დიზელის ძრავებით აღჭურვილ სატრანსპორტო საშუალებებისათვის.

პროცესის აღწერა:

1. გამხსნელი და დიზელი ირევა ერთმანეთში დაპატენტებულ ულტრაბგერითი და ჰიდროდინამიკური კავიტაციის მოწყობილობაში.
2. შერეული დიზელი და გამხსნელი იტუმბება პირველ რეაქტორში, სადაც დიზელი და გამხსნელი საფუძვლიანად რეაგირებენ მაღალი სიხშირის ვიბრაციული კავიტაციის მოწყობილობაში, რათა გამხსნელმა „დაიჭიროს“ დიზელში გახსნილი სულფიდების მოლეკულები.
3. შემდგომ ნაერთი გადადის ექსტრაქციის სვეტში, სადაც გოგირდის გამოდევნისა და ექსტრაქციის შემდეგ დიზელი გამოიყოფა და გაცხელების შემდეგ გადაიტუმბება ფლემ-დისტილაციურ სვეტში. ფლემ-დისტილაცია სწრაფად გამოყოფს ნარჩენ გამხსნელს დიზელისგან, რათა უზრუნველყოს სრული უწყვეტი პროცესი.
4. გამოყენებული გამხსნელი გადაიცემა გამხსნელების აღდგენის დისტილაციურ სვეტში და აღდგება ვაკუუმის და გაცხელების შედეგად. გამხსნელი აღდგენის შემდეგ შეგროვდება ხელახლა გამოსაყენებლად.
7. სისტემის მიერ წარმოებული გამონაბოლქვი ატმოსფეროში გაშვებამდე გაიწმინდება გამონაბოლქვის გამწმენდი მოწყობილობაში.

დანადგარის ტექნიკური მაჩვენებლებია:

#	მაჩვენებელი	რაოდენობა
1	ელექტროენერჯია	28 კვს ერთ ტონა დიზელზე
2	ვაკუუმი	≤ -0.05 KPa
3	გაცხელების ტემპერატურა	30-180 ° C
4	ელექტროენერჯია	220/380/415V 50/60HZ
5	ხმაურიანობა	≤ 65 dB
6	სიგრძე x სიგანე x სიმაღლე	20 მ x 15 მ x 12 მ
7	წონა	~ 80 ტონა

დანადგარი წარმოადგენს სრულად დახურული დისტილაციის სისტემას, PurePath დაპატენტებული გამონაბოლქვი გამწმენდი, გადამუშავების ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს ნულოვან დაბინძურებას.

გაზის გადამუშავებისა და გაწმენდის ტექნოლოგიები (გამონაბოლქვი მარტო CO₂ და H₂O).

დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარის წარმადობა იქნება - 3 ტ/სთ-ში დიზელის საწვავში გოგირდის მოცილება, ანუ წელიწადში 26280 ტონის.

დაგეგმილი საქმიანობის უზრუნველყოფა სანედლეულ რესურსებით, ელექტროენერგიით, წყალსადენით, კავშირგაბმულობის საშუალებით – ხორციელდება არსებული სამომხმარებლო ქსელებიდან, საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სქემის გათვალისწინებით.

2.2.3. წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების არინება

2.2.3.1. წყალმომარაგება

საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე საწარმოს მიერ წყალი გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით, კერძოდ:

- სასმელ-სამეურნეო;
- საწარმოო (რეზერვუარების რეცხვა, ტექნოლოგიური დანადგარების გაციება და სხვა);
- სახანძრო.

საწარმოს საქმიანობისათვის საჭირო წყლის რაოდენობის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება. საწარმოს სიახლოვეს სასმელი წყალსადენის ქსელი არ არსებობს, ამიტომ ობიექტის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის მიღებულია კერძო გადაწყვეტილება - საჭირო წყლის შემოტანა მოხდება სპეციალური ჭურჭლით.

სასმელ-სამეურნეო წყლის ხარჯი მიღებულია:

- სასადილოსთვის – 25 ლ/ერთ მოსადილეზე,
- სხვა სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის – 45 ლ/კაცზე დღეში..

საწარმოში დასაქმებულია სულ 40 ადამიანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წყლის მაქსიმალური ხარჯი დღე-ღამეში (თუ მივიღებთ, რომ თანამშრომლების 100% სარგებლობს აღნიშნულ წყლებს):

$$40 \times 45 + 40 \times 25 = 2800 \text{ ლ/დღე-ღამეში.} = 2,8 \text{ მ}^3/\text{დღე-ღამეში,}$$

$$\text{ანუ წელიწადში } 2,8 \times 365 = 1022,0 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

რეზერვუარების რეცხვისას საჭირო წყლის რაოდენობა. რეზერვუარების რეცხვისას საჭირო წყლის ხარჯი ერთ რეზერვუარზე საშუალოდ 20 მ³-ია (წყლის მიმყვანი მილის ხარჯიდან გამომდინარე). რეზერვუარების ფაქტიური რაოდენობა 26 ერთეული, რეცხვის ჯერადობა წელიწადში საშუალოდ 1-ია, რეცხვის ხანგრძლიობა 72 სთ. შესაბამისად წყლის ხარჯი იქნება:

$$20 \text{ მ}^3 \times 26 = 520,0 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

დაგეგმილი ცვლილების ფარგლებში დაემატა 8 რეზერვუარი, რომელთა რეცხვისათვის წყლის ხარჯი იქნება:

$$20 \text{ მ}^3 \times 8 = 160,0 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

ამდენად, დაგეგმილი ცვლილებების ფარგლებში 160,0 მ³/წელ.-ით გაზრდის რეზერვუარების რეცხვისას საჭირო წყლის რაოდენობას, შესაბამისად გაიზრდება მდინარე იორის სამგორის არხიდან წყლის აღება. შესაბამისად დაგეგმილი ცვლილების შედეგად რეზერვუარების რეცხვისას საჭირო წყლის რაოდენობა იქნება:

$$20 \text{ მ}^3 \times 26 + 20 \text{ მ}^3 \times 8 = 680,0 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

ტექნოლოგიურ პროცესში საჭირო წყლის რაოდენობა.

- **საქვაბეში, წყლის ხარჯი.** საქვაბეებში დანამატის სახით დღეში ესაჭიროება 2 კუბ.მ წყალი, ანუ 660 კუბ.მ/წელ;

- წყლის ხარჯი ტექნოლოგიური დანადგარების გასაცემლად მაცივრებში. ამ მიზნებისათვის გათვალისწინებულია წყალმომარაგების ბრუნვითი სისტემა, ბრუნვითი წყლის ხარჯი – 3850 მ³/წელ., სისტემის კვებისათვის საჭირო წყლის ხარჯი 10 %-ს ანუ – 385 მ³/წელ. შეადგენს;
- წყლის ხარჯი დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარის საქვაბეში. დამატებით საჭირო იქნება დანამატის სახით დღეში 2 კუბ.მ წყლის დამატება, ანუ 660 კუბ.მ/წელ.

ექსპლოატაციის ცვლილების შემდეგ საწარმოო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის რაოდენობა არ იზრდება.

სახანძრო წყალმომარაგება. ხანძრის შემთხვევაში გამოყენებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 400 მ³-ს.

საწარმოო და სახანძრო მიზნებისათვის ქარხანას წყალი მოეწოდება მდინარე იორის სამგორის არხიდან მდინარე იორიდან 50 მმ დიამეტრის წყლის მილებისა და შესაბამისი ტუმბოს საშუალებით. წყლის აღება ხდება შემდეგი კოორდინატებიდან:

- X- 5015966.815;
- Y- 5121742.487

2.2.3.2. ჩამდინარე წყლების არინება

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება შემდეგი სახის ჩამდინარე წყლები:

- სამეურნეო-ფეკალური;
- საწარმოო-სანიაღვრე;
- სანიაღვრე.

სამეურნეო-ფეკალური წყლები. სამეურნეო-ფეკალურ ჩამდინარე წყლებად განიხილება საშხაპედან, პირსაბანიდან, საპირფარეშოდან და იატაკის მორეცხვიდან მიღებული წყლები.

სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ძირითადი მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში 2.2.3.2.1.

ცხრილი 2.2.3.2.1. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შემადგენლობის ძირითადი მახასიათებლები

მაჩვენებლები	განზ. ერთეული	სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შემადგენლობის მახასიათებლები*
შეწონილი ნაწილაკები	მგ/ლ	35,0
ჟბმ- ჟანგბადის ბიოქიმიურიმოთხოვნილება	მგ _{O₂} /ლ	25,0
ჟქმ- ჟანგბადის ქიმიურიმოთხოვნილება	მგ _{O₂} /ლ	125
საერთო ფოსფორი	მგ/ლ	2,0
საერთო აზოტი	მგ/ლ	15,0

* -1991 წლის 21 მაისის «91/271/ EEC ევროდირექტივის მოთხოვნები ურბანული (სამეურნეო-ფეკალური) ჩამდინარე წყლების გაწმენდის შესახებ»

ვინაიდან საწარმოს სიახლოვეს სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის ქსელების არ არსებობს, ამიტომ სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაედინება საწარმოს ლოკალური კანალიზაციის სისტემაში შემდგომ კი საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ სასენიზაციო ორმოში. რეზერვუარში დაგროვილი სითხე პერიოდულად (გატანა საჭიროებისამებრ) სპეც. ავტომანქანებით გატანილი და ჩასხმული იქნება ქ. გარდაბნის

არსებულ სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციების კოლექტორში, შეთანხმებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

საწარმო-სანიაღვრე და სანიაღვრე ჩამდინარე წყლები. საწარმო-სანიაღვრე წყლებად განიხილება რკინიგზის და მანქანებში ჩასასხმელი ესტაკადების ტერიტორიიდან, რეზერვუარების პარკიდან, სატუმბო სადგურიდან და სხვა ტექნოლოგიური ობიექტებიდან მიღებული წყლები. სანიაღვრე ჩამდინარე წყლებად განიხილება ატმოსფერული ნალექების შედეგად დანარჩენი ტერიტორიიდან მიღებული წყლები.

ობიექტის ტერიტორიაზე არსებული დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული ტექნიკური წყლის მიწოდება წარმოებს ბრუნვითი წყალმომარაგებით, შესაბამისად, ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს.

ობიექტის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წვიმის წყლის შემკრები კანალიზაცია, რომელიც მოიცავს რეზერვუართა პარკს, ნავთობპროდუქტების გამცემ პუნქტს და რკინიგზის ესტაკადას, რომელთა ჯამური ფართობი შეადგენს 2.46 ჰა-ს. საწარმოს ტერიტორიის კანალიზირებულ ფართზე მოსული წყალი ყოველი წვიმის შემდეგ გამოიშვება სპეციალურად მოწყობილ წყალმიმღებ ჭაში, საიდანაც ისინიც წყალმიმღები არხებისა და ჭების მეშვეობით მოხვდება გამწმენდ მოწყობილობაში, საიდანაც მოხდება მისი ჩაშვება მდინარე ლოჭინის შენაკად უსახელო ღელეში.

საწარმოს რეკონსტრუქციის შემდეგ მოხდება სანიაღვრე წყლების რაოდენობის გაზრდა, რადგან ემატება ახალი სარეზერვუარო პარკი.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ხარჯი იანგარიშება ფორმულით:

$$q = 10 \times F \times H \times K$$

სადაც:

q – სანიაღვრე წყლების ხარჯია დროის გარკვეულ პერიოდში მ³,

F - ტერიტორიის ფართობი ჰა და ჯამური ფართობი სარეზერვუარო პარკისა და იმ ტერიტორიებისა, სადაც შესაძლებელია სანიაღვრე წყლები დაბინძურდეს ნავთობპროდუქტებით ტოლია 2.46 ჰა, საიდანაც არსებული რეზერვუართა პარკის ფართობია 1,43 ჰა, ახალი სარეზერვუარო პარკის 1.03 ჰა ნავთობპროდუქტების ავტოციტერნებში გასაცემი სადგურისა 0.02 ჰა, რკინიგზის ესტაკადის 0.15 ჰა.

H – ნალექების რაოდენობა დროის გარკვეულ პერიოდში, მმ. „სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს მიხედვით საწარმოს განლაგების ტერიტორიისათვის ნალექების წლიური რაოდენობა შეადგენს 422 მმ/წელ-ში, ხოლო ნალექების დღეღამური მაქსიმუმი - 82 მმ/დღე.

K – ტერიტორიის საფარის ტიპზე დამოკიდებული კოეფიციენტი (ჩვენ შემთხვევაში ბეტონის საფარისათვის ვიღებთ - K= 0.9). ფორმულის გამოყენებით მივიღებთ სანიაღვრე წყლების წლიურ ხარჯს:

$$q_{\text{წელ.}} = 10 \times 2.46 \times 422 \times 0.9 = 9\,343.08 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

ხოლო თუ გავითვალისწინებთ ნალექების დღე-ღამური მაქსიმალურ სიდიდეს, სანიაღვრე წყლების ხარჯის დღე-ღამური მნიშვნელობა ტოლი იქნება:

$$q_{\text{დღ.დ.მაქს.}} = 10 \times 2.46 \times 82 \times 0.9 = 1815.48 \text{ მ}^3/\text{დღ.დ.}$$

სანიაღვრე წყლების მაქსიმალური საათური ხარჯი იქნება:

$$q_{\text{სთ.მაქს.}} = 1815.48 : 24 = 75.545 \text{ მ}^3/\text{სთ.}$$

სარეზერვუარო პარკები უზრუნველყოფილია წყლების შემაკავებელი ურდულეებით, რომ არ მოხდეს სარეზერვუარო პარკებში წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების ერთდროული მიწოდება ნავთობდამჭერზე, კერძოდ მიწოდებული გასაწმენდი წყალი არ აღემატებოდეს

ნავთობდამჭერის სიმძლავრეს (10 ლ/წმ, ანუ 36 მ³/სთ-ში). სარეზერვო რეზერვუარებიდან სანიაღვრე წყლების მიწოდება გასაწმენდად ნავთობდამჭერზე მოხდება ისე, რომ მისი რაოდენობა არ აღემატებოდეს ნავთობდამჭერის სიმძლავრეს. ამით უზრუნველყოფილი იქნება ნავთობდამჭერის სანიაღვრე წყლების გაწმენდის ეფექტურობა, რომელიც გააჩნია მას.

აღნიშნული წყლების გაწმენდის შემდეგ ჩადინება განხორციელდება საწარმოს სიახლოვეს გამავალ უსაქელო ღელეში, რომელიც უერთდება მდინარე ლოჭინს.

რაც შეეხება დანარჩენი ტერიტორიიდან სანიაღვრე წყლების გაყვანას, იგი გადაწყვეტილია ზედაპირული კიუვეტების საშუალებით, როგორც პირობითად სუფთა წყალი.

ხანძრის შემთხვევაში გამოყენებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 400 მ³-ს, და ეს წყლებიც გამწმენდ ნაგებობებში გავლის შემდეგ ჩაშვებული იქნება საწარმოს სიახლოვეს გამავალ უსაქელო ღელეში, რომელიც უერთდება მდინარე ლოჭინს.

2.2.3.3. საწარმო-სანიაღვრე წყლების გაწმენდა

ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის საწარმოს ტერიტორიაზე დამონტაჟებულია “Bekca” ფორმის ანალოგიური ნავთობპროდუქტებითა და შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლების გამწმენდი დანადგარი (ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დანართში), რომლის პარამეტრებია:

- წარმადობა 36.0 მ³/სთ(10.0 ლ/წმ);
- შეწონილი ნაწილაკების საწყისი კონცენტრაცია 400 მგ/ლ.
- ნავთობპროდუქტების საწყისი კონცენტრაცია - 70 მგ/ლ.

გაწმენდის შემდეგ:


- შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია 3-5 მგ/ლ.
- ნავთობპროდუქტები კონცენტრაცია 0.05 – 0.3 მგ/ლ.

ჩამდინარე წყლების გაწმენდი დანადგარი “Bekca” –ს ვიზუალური ფორმა მოცემულია სურათზე 2.2.3.3.1.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებულია ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმები ხუთი წლის ვადით ჩაშვების ერთი წერტილისათვის და შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (სარეგისტრაციო ნომერი №23 29/10/2020. იხ. წინამდებარე ანგარიშის პარაგრაფი 2.2.8 და დანართი 6.8).

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს ემატება ახალი სარეზერვუარო პარკი, მოსალოდნელია სანიაღვრე წყლების ხარჯის გაზრდა, ხოლო რაც შეეხება დაგეგმილი რეკონსტრუქციის შემდგომ არსებულ საწარმოო და სამეურნეო მიზნებითვის გამოყენებულ წყლის ხარჯს, აღნიშნული დარჩება უცვლელი, რადგან ცვლილება არ ითვალისწინებს საწარმოს სიმძლავრეების გაზრდას.

სურათი 2.2.3.3.1. ჩამდინარე წყლების გაწმენდი დანადგარი “ Bekca ” –ს ვიზუალური ფორმა



2.2.4. ნარჩენების მართვა

შპს "ზდ ნავთობის კომპანიის" 2025-2027 წლების კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №3423/01 (14/05/2025) წერილი წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშის დანართში 6.9.

საწარმოს ნარჩენების მართვის სტრატეგია და გეგმა ითვალისწინებს საწარმოს ტექნოლოგიურ თავისებურებებს და საქართველოსა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებას.

მონაცემები 2025 – 2027 წლებში შპს "ზდ ნავთობის კომპანიის" ოპერირების პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში 2.2.4.1.

ცხრილი 2.2.4.1. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების ძირითადი მახასიათებლები

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ფიზიკური მდგომარეობა	მახასიათებელი, კოდექსის III დანართის შესაბამისად	ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების დაახლოებითი რაოდენობა წლების მიხედვით			ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით;	კომპანიები ვისაც გადაეცემა წარმოქმნილი ნარჩენები
				2025	2026	2027		
13 02 06*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	თხევადი	H 14	220 კგ	220 კგ	220 კგ	R 13	<p>ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია (ს.კ 406350112).</p> <p>(აღნიშნული მგვ ორგანიზაციის კონტრაქტორია კომპანიაა „ალტერვეისტი“, რომელიც დროებით ინახავს აღნიშნულ ნარჩენებს (10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის საქმიანობაზე მინისტრის ბრძანება #N 2-519. 23/04/2021) და გააქვს ექსპორტზე</p>

								გადამუშავების მიზნით.
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	მყარი	H 3 – A	600 კგ	600 კგ	600 კგ	D 10	შპს „სანიტარი“ (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ბრძანება #2-351. 16.05.2018 წ.)
15 01 04	ლითონის შესაფუთი მასალა	მყარი	–	1000 კგ	1000 კგ	1000 კგ	R 4	შპს „რუსთავის ფოლადი“ ს/კ: 404411908; ნებართვა: „ბრძანება N 00168“ 30.12.2015
16 07 08*	ნავთობის შემცველი ნარჩენები	თხევადი	H 14	400 კგ	400 კგ	400 კგ	D10	შპს „სანიტარი“ (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ბრძანება #2-351. 16.05.2018 წ.)
17 05 05*	გრუნტი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	მყარი	H 3 – A	რაოდენობა დამოკიდებულია ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის მასშტაბზე			D 10	შპს „სანიტარი“ (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ბრძანება #2-351. 16.05.2018 წ.)
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები ¹	მყარი	-	1600 კგ	1600 კგ	1600 კგ	D 1	ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტი ს სუფთა ქალაქი ს.კ. 226571643

ნარჩენების შეგროვების მეთოდი. ნარჩენების შესაგროვებლად გამოიყენება კონტეინერული შეგროვების სისტემა. უზრუნველყოფილია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შეგროვება ცალ-ცალკე კატეგორიების მიხედვით.

სახიფათო ნარჩენების შეგროვება ხდება მედეგ კონტეინერებში, საიდანაც ნარჩენები კონტრაქტორ კომპანიას მიაქვს დასამუშავებლად. სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ძირითად სისტემას წარმოადგენს კონტეინერების „შენაცვლების“ სისტემა, როდესაც ნარჩენებიანი კონტეინერი კონტრაქტორ კომპანიას გააქვს დახურული ძარის მქონე ავტომანქანით. გატანილი სავსე კონტეინერის სანაცვლოდ იდგმება ცარიელი.

13 02 06* - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები წარმოიქმნება საწარმოს მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის შედეგად. ნარჩენები გროვდება თავსახურიან და სათანადო ეტიკეტიან ავზებში.

15 02 02* - აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმის, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით - წარმოიქმნა ხდება ორი გზით:

წარმოიქმნება საწარმოს მანქანა-დანადგარების მოვლა-პატრონობის პროცესში. ნარჩენები გროვდება თავსახურიან და სათანადო ეტიკეტიან კონტეინერში.

წარმოიქმნება ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის გამწმენდ სეპარატორებში. საწარმოს ტერიტორია აღჭურვილია ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემკრები სისტემით, რომელიც დაერთებულია გამწმენდ სეპარატორზე. აღნიშნული სეპარატორი აღჭურვილია ნავთობპროდუქტების დამჭერი ფილტრით. ფილტრი სპეციალური ბლოკ-ცხურით მოთავსებულია სეპარატორში და საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი გამოცვლა. ნახშირი ფილტრი სეპარატორიდან პირდაპირ გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიას.

15 01 04 - ლითონის შესაფუთი მასალა წარმოიქმნება საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში. გროვდება და დროებით განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე.

16 07 08* - ნავთობის შემცველი ნარჩენები წარმოიქმნება ნავთობპროდუქტების რეზერვუარებში. ის წარმოადგენს ნავთობპროდუქტებიდან სიმძიმის ძალით გამოლექილ სხვადასხვა ფრაქციას. ნავთობის შემცველი ნარჩენები გროვდება რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების გაცემის დონის ქვედა ნაწილში და სათანადო დონეზე დაგროვების შესაბამისად ხდება მისი გადაცემა კონტრაქტორ კომპანიაზე.

17 05 05* - გრუნტი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს - საწარმოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შედეგად შესაძლოა წარმოიქმნას ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული გრუნტი. ასეთ შემთხვევაში, ადგილიდან გრუნტის მოხსნას და გატანას უზრუნველყოფს კონტრაქტორი კომპანია.

20 03 01 - შერეული მუნიციპალური ნარჩენები წარმოიქმნება საწარმოს ოპერირების პროცესში, გროვდება სხვა ნარჩენებთან შერევის გარეშე და პერსონალი მას განათავსებს არასახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში (ურნებში).

ნარჩენების ტრანსპორტირება. შპს "ზდ ნავთობის კომპანია" თავისი ძალებით არ ახორციელებს ნარჩენების გატანას და ტრანსპორტირებას. ნარჩენების გატანას და ტრანსპორტირებას, უზრუნველყოფს სათანადო რეგისტრაციის და ნებართვის მქონე კონტრაქტორი კომპანიები

ნარჩენების სეპარაცია. სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შეგროვება ხორციელდება სეპარირებულად შესაბამის კონტეინერებში.

კონტეინერები განლაგებულია ნარჩენების წარმოქმნის უბანთან ახლოს, სადაც შესაძლებელი ხდება ნარჩენების სეპარაცია.

ნარჩენები ისე უნდა იქნეს შენახული, რომ გამოირიცხოს:

- შემთხვევითი გაჟონვა ან დაღვრა, კონტეინერების გატეხვა შემთხვევითი შეჯახების შედეგად, ჰაერთან კონტაქტი მეორადი შეფუთვის და/ან თავსახურების გამოყენებით;
- კონტეინერების კოროზია ან ცვეთა, როგორც გარემოს, ისე თვითონ ნარჩენების მიერ, საამისოდ უნდა შეირჩეს კონკრეტული ნარჩენების მიმართ გამძლე კონტეინერები;
- უცხო პირებთან და ცხოველებთან კონტაქტი.

ნარჩენების კონტეინერები უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი ნარჩენების ზომას, ფორმას, შემადგენლობას და ხიფათის შემცველობას. გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ კარგ მდგომარეობაში მყოფი კონტეინერები. თავსახურები ცხადია უნდა იკეტებოდეს, ან სხვა სახის სახურავი უნდა იქნეს გამოყენებული. არ შეიძლება ისეთი კონტეინერების გამოყენება, რომლებიც შეიძლება რეაგირებდეს შიგთავსთან ან, საიდანაც შეიძლება გამოჟონოს სახიფათო ნივთიერებამ. ყველა სახის სახიფათო ნარჩენი მკაცრად უნდა იქნეს სეპარირებული დანარჩენი ნარჩენებისაგან. ერთ კონტეინერში შეიძლება განთავსდეს მხოლოდ ერთი სახის სახიფათო ნარჩენები. მყარი და თხევადი ნარჩენები ერთამენთს არ უნდა შეერიოს.

წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები. ქვემოთ მოცემულია დეტალური ინფორმაცია თითოეული სახეობის ნარჩენის დროებითი შენახვის მეთოდების და პირობების შესახებ.

13 02 06* - ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები წარმოიქმნება საწარმოს მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის შედეგად. ნარჩენები სათანადო ეტიკეტიანი ავზებით დროებით განთავსდება საწარმოს ნარჩენების სათავსოში.

15 02 02* - აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით - წარმოიქმნა ხდება ორი გზით:

- წარმოიქმნება საწარმოს მანქანა-დანადგარების მოვლა-პატრონობის პროცესში. ნარჩენები სათანადო ეტიკეტიანი ავზებით დროებით განთავსდება საწარმოს ნარჩენების სათავსოში.
- წარმოიქმნება ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის გამწმენდ სეპარატორებში. საწარმოს ტერიტორია აღჭურვილია ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემკრები სისტემით, რომელიც დაერთებულია გამწმენდ სეპარატორზე. აღნიშნული სეპარატორი აღჭურვილია ნავთობპროდუქტების დამჭერი ფილტრით. ფილტრი სპეციალური ბლოკ-ცხაურით მოთავსებულია სეპარატორში და საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი გამოცვლა. ნახმარი ფილტრი სეპარატორიდან პირდაპირ გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიას.

15 01 04 - ლითონის შესაფუთი მასალა წარმოიქმნება საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში. გროვდება და დროებით განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე.

16 07 08* - ნავთობის შემცველი ნარჩენები წარმოიქმნება ნავთობპროდუქტების რეზერვუარებში. ის წარმოადგენს ნავთობპროდუქტებიდან სიმძიმის ძალით გამოლექილ სხვადასხვა ფრაქციას. ნავთობის შემცველი ნარჩენები გროვდება რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების გაცემის დონის ქვედა ნაწილში და სათანადო დონეზე დაგროვების შესაბამისად ხდება მისი გადაცემა კონტრაქტორ კომპანიაზე.

17 05 05* - გრუნტი, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს - საწარმოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შედეგად შესაძლოა წარმოიქმნას ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული გრუნტი. ასეთ შემთხვევაში, ადგილიდან გრუნტის მოხსნას და გატანას უზრუნველყოფს კონტრაქტორი კომპანია.

20 03 01 - შერეული მუნიციპალური ნარჩენები წარმოიქმნება საწარმოს ოპერირების პროცესში, გროვდება სხვა ნარჩენებთან შერევის გარეშე და პერსონალი მას განათავსებს არასახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში (ურნებში).

ნარჩენების სათავსო. საწარმოს ოპერირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების დროებით უსაფრთხო შენახვის მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია 15 მ2 ფართობის მქონე ნარჩენების სათავსო. სათავსოს გააჩნია, მეტალის სახურავი და კარები. აქვს, ბეტონის კედლები და იატაკი. სათავსო აღჭურვილია ავარიული დაღვრის შემაკავებელი ბარიერით. სათავსო აღჭურვილია მაფრთხილებელი ნიშნებით (რომლებიც მიუთითებენ შენახულ სახიფათო ნარჩენებზე (კატეგორია, სახეობა) და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით. სათავსოდან ნარჩენები, დაგროვების შესაბამისად გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიას.

საწარმოში დაგეგმილი ცვლილების განხორციელების შემდგომ მოსალოდნელი არ არის ახალი სახეობის ნარჩენების წარმოქმნა. რაც შეეხება ახალი რეზერვუარებისა და სარეზერვუარო პარკის მოწყობას, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სამშენებლო ნარჩენის წარმოქმნა. ხოლო რვა ერთეული რეზერვუარის განთავსების შედეგად ოპერირების ეტაპზე გაიზრდება მხოლოდ რეზერვუარის შლამის რაოდენობა.

როგორც აუკვე აღინიშნა, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ნარჩენების განთავსების უბანი, შესაბამისად დასტიკერებული ურნებით. საწარმოში წარმოქმნილი როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენი დროებით თავსდება ტერიტორიაზე და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას.

2.2.5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ნაწილის დამუშავებისას გამოყენებულია საბჭოთა კავშირის დროს მომქმედი სამშენებლო ნორმები და წესები II-106-79, ნაწილი II, თავი 106 “ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საწყობები”, მოსკოვი 1980 წელი. შიდა და გარე უსაფრთხოების მარეგულირებელი შესაბამისი მუხლები და პუნქტები აღებულია ამავე სნ და წ-დან.

საწარმოს გააჩნია წყლის აუზი წყლის მარაგით. გენ-გეგმის დაგეგმარებით უზრუნველყოფილია სახანძრო მანქანების მიდგომა პარკის ყველა მხრიდან და ხანძარსაწინააღმდეგო წყლის აუზთან მყარი საფარიანი გზებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს გააჩნია თავისი საკუთარი სახანძრო მანქანა. სარეზერვუარო პარკში გაყვანილი წყალსადენზე დაყენებულია ოთხი ჰიდრანტები.

რეკონსტრუქციის შემდეგ განხორციელდა 2000 მ³ მოცულობის წყლის სახანძრო რეზერვუარის მშენებლობა, რომელიც წყლით მომარაგდება მდინარე იორიდან გამომავალი სამგორის არხიდან მიღების საშუალებით. სარეზერვუარო პარკის გარშემო მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები თავისი კომპლექტით:

- ცეცხლსაქრობი – 2 ცალი;
- ყუთი ქვიშით – 2 ცალი;
- სახანძრო ვედრო – 2 ცალი;
- წერაქვი – 1 ცალი;
- ნიჩაბი – 1 ცალი;
- ნაჯახი – 1 ცალი;
- სახანძრო ბარჯი – 1 ცალი.

2.2.6. საწარმოს ფუნქციონირების რეჟიმი

საწარმო იმუშავებს შემდეგი რეჟიმით:

- წელიწადში 365 სამუშაო დღე;
- ცვლების რაოდენობა დღე-ღამეში 2;
- ცვლის ხანგრძლივობა 8 საათი.

2.2.7. ატმოსფერულ ჰაერში მავნენივითიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები

მოქმედი კანონმდებლობის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილებით დამტკიცებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნენივითიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების“ გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად შემუშავებულია „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“. იგი ეფუძვნება მოქმედი წესებით გათვალისწინებულ ინფორმაციას საწარმოს მიერ გამოყენებული ტექნოლოგიური დანადგარების, მუშაობის რეჟიმისა და ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ. დადგენილია წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების სახე, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. იდენტიფიცირებულია გაფრქვევის 41 წყარო (მ.შ. 37 ორგანიზებული). იგი შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთან. „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ შეთანხმების შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №21/4707 (24.08.2022) წერილი წერილი წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშის დანართში 6.7.

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებლების შესახებ მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 2.2.12.1.

ცხრილი 2.2.7.1. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

№	მავნე ნივთიერებათა დასახელება (ფორმულა)	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდგ), მგ/მ ³		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
0	1		2	3	4
1	ნაჯერი ნახშირწყალბადები, C ₁ - C ₅ [1]	0415	-	-	-
2	ნაჯერი ნახშირწყალბადები, C ₆ - C ₁₀ [2]	0416	-	-	-
3	უჯერი ნახშირწყალბადები (პენტილენები), ამილენების (იზომერების ნარევი) მიხედვით, C ₅ H ₁₀	0501	1,500	-	4
4	ბენზოლი, C ₆ H ₆	0602	1,500	0,050	2
5	ქსილოლი, C ₈ H ₁₀	0616	0,200	-	3
6	ტოლუოლი, C ₇ H ₈	0621	0,600	-	3
7	ეთილბენზოლი, C ₈ H ₁₀	0627	0,020	-	3
8	გოგირდწყალბადი, H ₂ S	0333	0,008	-	2
9	ნახშირჟანგი, CO	337	5.0	3	4
10	აზოტის დიოქსიდი, NO ₂	301	0,2	0,040	2
11	ნაჯერი ნახშირწყალბადები, C ₁₂ - C ₁₉	2754	1,000	-	4

[1] - ნაჯერი ნახშირწყალბადების (C₁- C₅) საორიენტაციო უსაფრთხოების დონედ (სუდ) მიღებულია 50,0 მგ/მ³ [ს/კ ინსტიტუტი „ატმოსფერო“-ს 05.05.2010წ. №07-2-409/10-0 სარეკომენდაციო წერილი];

[2]- ნაჯერი ნახშირწყალბადების (C₁- C₅) საორიენტაციო უსაფრთხოების დონედ (სუდ) მიღებულია 60,0 მგ/მ³ [ს/კ ინსტიტუტი „ატმოსფერო“-ს 05.05.2010წ. №07-2-409/10-0 სარეკომენდაციო წერილი].

შემუშავებულია ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევათა (ზდგ) ნორმები ხუთწლიან პერიოდში თითოეული გაფრქვევის წყაროსათვის და თითოეული მავნე

ნივთიერებისათვის და ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევათა (ზდგ) ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის.

ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევათა (ზდგ) ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის. წარმოდგენილია ცხრილში 2.2.7.2.

ცხრილი 2.2.7.2. ზდგ-ის ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის

მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზდგ-ს ნორმები 2022 - 2027 წლებისათვის		
	გ/მ ³	გ/წმ	ტ/წელი
1	2	3	4
ნახშირწყალბადები C ₁ - C ₅	1525,939	65,47228	200,83
ნახშირწყალბადები C ₆ - C ₁₀	385,6344	16,91796	51,298
ნახშირწყალბადები (C ₁₂ - C ₁₉)	147,193	3,408426	70,76284
ამილენები	46,654	1,89837	5.989
ბენზოლი, C ₆ H ₆	37,89414	1,55807	4,8877
ტოლუოლი, C ₇ H ₈	27,41614	1,12587	3,5368
ეთილბენზოლი	0,9124	0,037936	0,1211
ქსილოლი, C ₈ H ₁₀	2,55334	0,115743	0,3653
გოგირდწყალბადი	0,28271	0,009376	0.021941
აზოტის დიოქსიდი, NO ₂	0,534	0,616	16,559
ნახშირჟანგი CO	1,3904	1,666646	40,390
ნახშირორჟანგი CO ₂	-	-	9076,320

2.2.8. ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ) ნორმები

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებულია ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმები ხუთი წლის ვადით ჩაშვების ერთი წერტილისათვის და შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (სარეგისტრაციო ნომერი №23 29/10/2020. იხ. წინამდებარე ანგარიშის დანართი 6.8)

წყალსატევში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ) ნორმები - №1 წერტილისათვის

1	საწარმო, ორგანიზაცია	შპს „ლუკოილ ჯორჯია“
2	ჩაშვების წერტილი N1 კოორდინატები	უსახელო დელე, მდ. ლოჭინის შენაკადი X – 503169.0; Y - 4616820.0
3	ჩამდინარე წყლისკატეგორია	სანიაღვრე წყლები
4	მიმღები წყალსატევის დასახელება	უსახელო დელე, მდ. ლოჭინის შენაკადი
5	მიმღები წყალსატევის კატეგორია	სამეურნეო-საყოფაცხოვრეო
6	ჩამდინარე წყლის ხარჯი	36,0 მ ³ /სთ.; 5431.14 მ ³ /წელ.

დამტკიცებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმები მოცემულია ცხრილში 2.2.8.1.

ცხრილი 2.2.8.1.

№	ინგრედიენტი	დასაშვები კონცენტრაცია ჩამდინარე წყლებში მგ/ლ	შეთანხმებული ზ.დ.ჩ.-ის ნორმა	
			გ/სთ	ტ/წელ
1	შეწონილი ნივთიერებები	5,0	180,0	0,027
2	ნავთობპროდუქტები	0,30	10,80	0,002

ჩამდინარე წყლის ფიზიკური თვისებების დამტკიცებული მაჩვენებლები:

- ა) მცურავი მინარევები – 0
- ბ) შეფერილობა – უფერო
- გ) სუნი – უსუნო
- დ) ტემპერატურა - < 25° ზაფხულში, > 5° ზამთარში
- ე) pH – 6,5 – 8,5
- ვ) წყალსი გახსნილი ჟანგბადი- 6,0 მგO₂/ლ.

2.3. საწარმოს საექსპლუატაციო პარამეტრების ცვლილების პირობები

„შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს №ი-333 (05/06/1014) ბრძანებით 2014 წლის 04 ივნისს შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე გაცემულია № 32 (04/06/2014 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (იხ. ანგარიშის დანართი 6.3).

2020 წლის 27 ივლისს, აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2-656 (27/07/2020) ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (იხ. ანგარიშის დანართი 6.4).

შემდგომ პერიოდში, 2020 წლის 11 სექტემბრის სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-812), საწარმოში დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (სარეზერვუარო პარკის გაზრდა 40 700 მ³-მდე) არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ამასთანავე, 2020 წლის 11 სექტემბრის სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად (ბრძანება №2-812), ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული იყო ობიექტის ტერიტორიაზე არსებული, 23 200 მ³ მოცულობის მქონე სარეზერვუარო პარკის გაზრდა 40 700 მ³-მდე, კერძოდ, ტერიტორიაზე არსებული სარეზერვუარო პარკის შემადგენლობაში ჯამურად 17 500 მ³ მოცულობის მქონე რეზერვუარის განთავსება. ობიექტის ტერიტორიაზე დაგეგმილი ცვლილება განხორციელდა ნაწილობრივ და სარეზერვუარო პარკის შემადგენლობას დაემატა ჯამურად 9 500 მ³ მოცულობის მქონე რეზერვუარი, შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა გახდა 32 700 მ³. ამასთან, სარეზერვუარო პარკის შემადგენლობაში დაემატა ორი ერთეული (თითოეული 100 მ³ მოცულობის) მიწისზედა, ვერტიკალური რეზერვუარი. შესაბამისად, სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ განისაზღვრება 32 900 მ³ -ით.

ამდენად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე განთავსდა ჯამურად 32 900 მ³ მოცულობის მქონე სარეზერვუარო პარკი, რომელიც მოიცავს 26 ერთეულ რეზერვუარს, მათ შორის ნედლი ნავთობისათვის ჯამურად 5000 მ³ (3000 მ³ და 2000 მ³) მოცულობის, მახუთისათვის და საგზაო ბიტუმისათვის ჯამურად 8000 მ³ (1000 მ³; 2000 მ³ და 5000 მ³) მოცულობის, საღუმელე და დიზელის საწვავისათვის ჯამურად 4000 მ³ (5 ერთეული 1000 მ³ და 3000 მ³) მოცულობის, ბენზინისათვის და ნაფტისათვის ჯამურად 11 500 მ³ (500 მ³; 9 ერთეული 1000 მ³ და 2000 მ³), ხოლო ბენზინისა და ნაფტის შერევისათვის ჯამურად 400 მ³ (4 ერთეული 100 მ³) მოცულობის რეზერვუარი. აგრეთვე, ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხნის შემადგენლობაში შედის ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი დანადგარი, საგზაო ბიტუმის წარმოების დანადგარი, ნავთობპროდუქტებისა და ბიტუმის ჩამოსასხმელი მილსადენები, ნავთობპროდუქტების სატუმბი და გამცემი სადგურები, 2000 მ³ მოცულობის სახანძრო წყლის შესანახი რეზერვუარი და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების ობიექტები, სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობა, რკინიგზის ლიანდაგის ჩიხი და ავტოგზა, აგრეთვე, საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული დანიშნულების შენობა-ნაგებობები. საწარმოს ტერიტორია შემოღობილია 1.8 მეტრის სიმაღლის რკინა-ბეტონის ღობით.

ამასთანავე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი იქნა PPGT-UC-SDS მარკის დესულფურიზაციის დანადგარის განთავსება. აღნიშნული დანადგარი განკუთვნილია ნედლი ნავთობის გადამამუშავების, კერძოდ, ჰიდრაულიკური კავიტაციის პროცესის მეშვეობით გოგირდის მოშორებისთვის. საპროექტო დანადგარი წარმოადგენს სრულად დახურულ, ავტომატიზებულ, დისტილაციის სისტემას და მისი წარმადობა შეადგენს 2 ტონას საათში, შესაბამისად, დანადგარის სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 17 520 ტონა დიზელის საწვავის გადამამუშავება. დანადგარის ტექნოლოგიური პროცესის უზრუნველსაყოფად გამოიყენება საქვებში, ბუნებრივი აირის ხარჯზე გამოამუშავებული სითბური ენერჯია. ბუნებრივი აირის ხარჯი, წლის განმავლობაში განისაზღვრება 578 160 მ³-ით. საქვების გაფრქვევის მილის სიმაღლე მიწისპირიდან შეადგენს 12 მეტრს, ხოლო დიამეტრი 300 მმ-ს. გამონაბოლქვის (CO₂ და H₂O) სიჩქარე 11 მ/წმ-ს. დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარის საწარმოო ტერიტორიაზე განთავსების წერტილის GPS კოორდინატებია: X - 503350.00; Y - 4616593.00.

აღნიშნული წარმოადგენდა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას და ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, ამიტომ დაექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას, გზმ-ს საჭიროების დადგენის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით განხორციელდა სკრინინგის პროცედურა.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №235/ს (04/08/2022) ბრძანების შესაბამისად მიღებული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება (იხ. ანგარიშის დანართი 6.5), რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ამასთანავე მოცემული ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს განახლებული

„ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება, რაც შესრულებულია (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №21/4707 (24.08.2022) წერილი განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ შეთანხმების თაობაზე წარმოდგენილია წინამდერე სკრინინგის ანგარიშის დანართში 6.7).

ამჟამად საწარმოს მიერ დაგეგმილი იქნა 32 900 მ³ ჯამური მოცულობის სარეზერვუარო პარკისათვის დამატებით 8 ცალი (№29-№36) მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარის (რომელთა ჯამური მოცულობა შეადგენს 11 000 მ³-ს) მშენებლობა. ამასთან, №29, №30 და №31 რეზერვუარები შექმნიან ცალკე რეზერვუარების ჯგუფს და ამ სამი რეზერვუარისათვის მოეწყობა ცალკე სარეზერვუარო პარკი.

<p><i>წვის პროდუქტების, შედეგების აეროზოლებისა და სხვა მავნე ნივთიერებათა ემისია ატმოსფერულ ჰაერში</i></p> <ul style="list-style-type: none"> – წვის პროდუქტების წყარო -სამშენებლო და სპეც-ტექნიკა, ტრანსპორტირება და სხვა. – სხვა მავნე ნივთიერებათა წყარო -სამშენებლო უბანზე არსებული ქიმიური ნივთიერებების(საწვავ-საპოხი მასალა, საღებავები და სხვ.) აირადი ემისიები 	<p>მოწყობაზე დასაქმებული პერსონალი, ბიოლოგიური გარემო</p>	<p>პირდაპირი, უარყოფითი</p>	<p>დაბალი რისკი</p>	<p>სამშენებლო მოედნების მიმდებარე ტერიტორიები</p>	<p>ხანგრძლივობა შემოიფარგლება მოწყობის ფაზით</p>	<p>შექცევადი</p>	<p>ძალიან დაბალი ან ზემოქმედება მოსალოდნელი არის</p>
<p><i>მტვრის გავრცელება</i></p> <ul style="list-style-type: none"> – წყარო - ტრანსპორტირება, ნაყარი სამშენებლო მასალების შენახვა-გამოყენება, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება და სხვ. 	<p>მოწყობაზე დასაქმებული პერსონალი, ბიოლოგიური გარემო</p>	<p>პირდაპირი, უარყოფითი</p>	<p>საშუალო რისკი</p>	<p>სამშენებლო მოედნების მიმდებარე ტერიტორიები</p>	<p>ხანგრძლივობა შემოიფარგლება მოწყობის ფაზით</p>	<p>შექცევადი</p>	<p>დაბალი, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით - ძალიან დაბალი</p>
ოპერირების ფაზა:							

<p><i>მაგნე ნივთიერებათა ემისია ატმოსფერულ ჰაერში</i> – ტექნოლოგიური დანადგარები, ტრანსპორტირება და სხვა.</p>	<p>მოსახლეობა, მომსახურე პერსონალი, ბიოლოგიური გარემო</p>	<p>პირდაპირი, უარყოფითი</p>	<p>საშუალო რისკი</p>	<p>საწარმოს მიმდებარე ტერიტორია</p>	<p>მუდმივად</p>	<p>შექცევადი</p>	<p>დაბალი, შემარბილებელი ლონისძიებების გათვალისწინებით - ძალიან დაბალი</p>
---	---	----------------------------------	---------------------------	--	-----------------	------------------	--

3.2. ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება

3.2.1 ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია

საქართველოში ხმაურის გავრცელების დონეები რეგულირდება ნორმატიული დოკუმენტით სანიტარული ნორმები 2.2.4/2.1.8 003/004-01 „ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე“. ხმაურის დონე არ უნდა აღემატებოდეს ამ სტანდარტით დადგენილ სიდიდეებს.

ცხრილი 3.2.1.1. ხმაურთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები

რანჟირება	კატეგორია	საცხოვრებელ ზონაში	სამუშაო, ინდუსტრიულ ან კომერციულ ზონაში
1	ძალიან დაბალი	აკუსტიკური ფონი გაიზარდა 3 დბა-ზე ნაკლებით, საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში <50 დბა-ზე, ხოლო ღამის საათებში <45 დბა-ზე	აკუსტიკური ფონი გაიზარდა 3 დბა-ზე ნაკლებით და <70 დბა-ზე
2	დაბალი	აკუსტიკური ფონი გაიზარდა 3–5 დბა-ით, საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში <55 დბა-ზე, ხოლო ღამის საათებში <45 დბა-ზე	აკუსტიკური ფონი გაიზარდა 3–5 დბა-ით და <70 დბა-ზე
3	საშუალო	აკუსტიკური ფონი სენსიტიურ რეცეპტორებთან გაიზარდა 6–10 დბა-ით, საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში >55 დბა-ზე, ხოლო ღამის საათებში >45 დბა-ზე	<70 დბა-ზე, აკუსტიკური ფონი სენსიტიურ რეცეპტორებთან გაიზარდა 6–10 დბა-ით
4	მაღალი	აკუსტიკური ფონი სენსიტიურ რეცეპტორებთან გაიზარდა 10 დბა-ზე მეტით, საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში >70 დბა-ზე, ხოლო ღამის საათებში >45 დბა-ზე	>70 დბა-ზე, აკუსტიკური ფონი სენსიტიურ რეცეპტორებთან გაიზარდა 10 დბა-ზე მეტით
5	ძალიან მაღალი	აკუსტიკური ფონი სენსიტიურ რეცეპტორებთან გაიზარდა 10 დბა-ზე მეტით, საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში >70 დბა-ზე და ახლავს ტონალური ან იმპულსური ხმაური, ღამის საათებში >45 დბა-ზე	>70 დბა-ზე, ახლავს ტონალური ან იმპულსური ხმაური

3.2.2. ზემოქმედების დახასიათება

3.2.2.1 მშენებლობის ეტაპი

მოქმედ და სამშენებლო ობიექტზე აკუსტიკური გაანგარიშებები ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- განისაზღვრება ხმაურის წყაროები და მათი მახასიათებლები;
- შეირჩევა საანგარიშო წერტილები დასაცავი ტერიტორიის საზღვარზე;
- განისაზღვრება ხმაურის გავრცელების მიმართულება ხმაურის წყაროებიდან საანგარიშო წერტილებამდე და სრულდება გარემოს ელემენტების აკუსტიკური გაანგარიშებები, რომლებიც გავლენას ახდენს ხმაურის გავრცელებაზე (ბუნებრივი ეკრანები, მწვანე ნარგავი და ა.შ.);
- განისაზღვრება ხმაურის მოსალოდნელი დონე საანგარიშო წერტილებში და ხდება

მისი შედარება ხმაურის დასაშვებ დონესთან;

- საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება ხმაურის დონის საჭირო შემცირების ღონისძიებები.

საამშენებლო ნორმებისა და წესების (СНиП) II-12-77 „ხმაურისაგან დაცვა“ მიხედვით ხმაურის წარმოქმნის უბანზე ხმაურის წყაროების დონეების შეჯამება ხდება ფორმულით:

$$10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}} \quad (3.2.2.1.1)$$

სადაც:

L_{pi} – არის i -ური ხმაურის წყაროს სიმძლავრე.

საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეების L -ს (დბა) განსაზღვრა ხდება საამშენებლო ნორმებისა და წესების (СНиП) II-12-77 „ხმაურისაგან დაცვა“ მიხედვით. საანგარიშოდ გამოიყენება ფორმულა:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10 \lg \Omega \quad (3.2.2.1.2)$$

სადაც:

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე;

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi/2$ – სამ წიბოიან კუთხეში;

β_a – ატმოსფეროში ბგერის მიღევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, $\text{H}\ddot{z}$.	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
β_a დბ/კმ	0	0.3	1.1	2.8	5.2	9.6	25	83

გათვლების შესასრულებლად გაკეთებულია შემდეგი დაშვებები:

1) თუ ერთ უბანზე განლაგებულ რამდენიმე ხმაურის წყაროს შორის მანძილი გაცილებით ნაკლებია საანგარიშო წერტილამდე მანძილისა, წყაროები გაერთიანებულია ერთ ჯგუფში. მათი ჯამური ხმაურის დონე დათვლილია ზემოთ მოცემული ფორმულით;

2) ერთ ჯგუფში გაერთიანებული წყაროების ხმაურის ჯამური დონის გავრცელების შესაფასებლად საანგარიშო წერტილამდე მანძილად აღებულია მათი გეომეტრიული ცენტრიდან დაშორება;

3) სიმარტივისთვის გათვლები შესრულებულია ბგერის ექვივალენტური დონეებისთვის (დბა) და ატმოსფეროში ბგერის ჩაქრობის კოეფიციენტად აღებულია მისი ოქტავური მაჩვენებლების გასაშუალოებული სიდიდე: $\beta_{\text{საშ}}=15,9$ დბ/კმ;

მშენებლობის ეტაპზე ხმაურის ძირითად წყაროებად ჩაითვალა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებში, ასევე სატრანსპორტო ოპერაციებისთვის გამოყენებული შემდეგი ტექნიკური საშუალებები:

- 2 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანა (ხმაურის დონე შეადგენს 85 დბა-ს);
- 1 ბულდოზერი (90 დბა);
- 1 ექსკავატორი (90 დბა);
- 1 ამწე (88 დბა);
- 1 სადემონტაჟო ვიბრო ჩაქუჩი (87 დბა).

მონაცემების 3.2.1.1 ფორმულაში ჩასმით მივიღებთ მშენებლობისას მოქმედი დანადგარ-მექანიზმების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამურ დონეს, ანუ ხმაურის დონეს გენერაციის ადგილას:

$$10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}} = 10 \lg (10^{0,1 \times 85} + 10^{0,1 \times 85} + 10^{0,1 \times 90} + 10^{0,1 \times 90} + 10^{0,1 \times 88} + 10^{0,1 \times 87}) = 95,8 \text{ დბა.}$$

ძირითად საანგარიშო წერტილად აღებულია ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიის საზღვარზე, რომლის პირდაპირი დაცილების მანძილი, ამ ხმაურის წყაროების განთავსების გეომეტრიული ცენტრიდან, დაახლოებით 750 მ-ს შეადგენს.

საკვლევი ტერიტორიიდან საანგარიშო წერტილამდე ხმაურის გავრცელების გაანგარიშება ჩატარებულია ჩამოთვლილი მანქანა-მოწყობილობის ერთდროული მუშაობის შემთხვევისთვის, ხმაურის მინიმალური ეკრანირების გათვალისწინებით (ანუ ყველაზე უარესი სცენარი).

მონაცემების 3.2.1.2 ფორმულაში ჩასმით მივიღებთ ხმაურის მაქსიმალურ დონეებს საანგარიშო წერტილებში, კერძოდ:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10 \lg \Omega = 95,8 - 15 * \lg 750 + 10 * \lg 2 - 15,9 * 750 / 1000 - 10 * \lg 2 \pi =$$

$$95,8 - 43,125 + 3,0 - 11,925 - 7,98 = 35,77 \text{ დბა}$$

განგარიშების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 3.2.1.1.

ცხრილი 3.2.1.1. ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები

ძირითადი მომუშავე მანქანა- მოწყობილობები	საანგარიშო წერტილი	ხმაურის ექვივ. დონე გენერაც. ადგილზე, დბა	ხმაურის ექვ. დონე საანგ. წერტილში, დბა	ნორმა, დბა*
<ul style="list-style-type: none"> ▪ 2 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანა; ▪ 1 ბულდოზერი; ▪ 1 ექსკავატორი; ▪ 1 ამწე; ▪ 1 სადემონტაჟო ვიბრო ჩაქუჩი. 	750 მ-იანი ზონის საზღვარი	95,8	35,77	დღის საათებში - 50 დბა. ღამის საათებში - 40 დბა

*- „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს მთავრობის №398 დაგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი.

გათვლების მიხედვით დასახლებული პუნქტების საზღვარზე ხმაურის დაშვებულ ნორმებზე (როგორც დღის საათებისთვის, ასევე ღამის საათებისათვის დადგენილი ნორმები) გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ გაანგარიშებები ჩატარებულია ყველაზე უარესი სცენარით. ანუ გაანგარიშებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ის გარემოებები, რაც ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ უარყოფითი ზემოქმედების რისკებს კიდევ უფრო ამცირებს, ხოლო მოსახლეობაზე ზემოქმედებას გამორიცხავს, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოები (მითუმეტეს ინტენსიური ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები) იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში;
- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროული მუშაობა ნაკლებ

სავარაუდოა. ასეთ შემთხვევაშიც კი ის არ იქნება ხანგრძლივი პროცესი;

- გაანგარიშებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ხმაურის წყაროებსა და საანგარიშო წერტილს შორის არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ეკრანები, რომლებიც ხმაურის გავრცელებას კიდევ უფრო შეამცირებს;
- მშენებლობისას წარმოქმნილი ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი;

მშენებლობის ეტაპზე მოიმატებს სატრანსპორტო გადაადგილებები. აღნიშული ოპერაციებით გამოწვეული ხმაურის გამო შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მოსახლეობის შეწუხებას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით შესაძლებელი იქნება უარყოფითი ზემოქმედების კიდევ უფრო შემცირება.

აღნიშულიდან გამომდინარე, ობიექტის მშენებლობის დროს მოსახლეობაზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელოვნება შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

ხმაურის გავრცელებით უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია მშენებლობაზე დასაქმებულ პერსონალზე. სამშენებლო მოედანზე დროის ცალკეულ მონაკვეთებში ხმაურის დონემ შეიძლება 95 დბა-ს გადააჭარბოს. ზემოქმედების შემცირების მიზნით, მშენებელმა კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. პერსონალი (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხმაურის გამომწვევ დანადგარებთან მუშაობის დროს), საჭიროებისამებრ აღჭურვილი უნდა იყოს დამცავი საშუალებებით (ყურსაცმები).

3.2.2.2. ექსპლუატაციის ეტაპი

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების გაანგარიშება ჩატარებულია წინა ქვეთავში წარმოდგენილი ფორმულების გამოყენებით. ექსპლუატაციის ეტაპზე საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილი იქნება განსხვავებული ტიპის ხმაურის წყაროები და შესაბამისად იცვლება ხმაურის დონე გენერაციის ადგილზე.

საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს საწარმოს ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა და ტექნოლოგიური პროცესების შესრულება.

ტექნოლოგიური პროცესების შესრულებაში მონაწილე დანადგარებიდან საწარმოს ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემის სატუმბო სადგურში (ფარდულის ტიპის შენობებში) დამონტაჟებულია სულ 10 ტუმბო.

რადგან საწარმოს ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობას არ ექნება ინტენსიური ხასიათი, გაანგარიშება ჩატარდა ტექნოლოგიური პროცესების შესრულებაში მონაწილე დანადგარების (10 ცალი ტუმბო) ერთდროული მუშაობის დროს წარმოქმნილი ხმაურის გათვალისწინებით. საპასპორტო მონაცემებით, ცალკეული დანადგარების ხმაურის მაქსიმალური დონე არ აღემატება 88 დბა-ს. ამის გათვალისწინებით, საამშენებლო ნორმებისა და წესების (СНиП) II-12-77 „ხმაურისაგან დაცვა“ მიხედვით, ტერიტორიაზე საწარმოს მუშაობისას ხმაურის ჯამური დონე შეადგენს:

$$10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}} = L_{p0} + 10 \lg n = 88 \text{ დბა} + 10 \lg 10 = 88 + 10,0 = 98,0 \text{ დბა.}$$

სამუშაო ტერიტორიაზე ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების სქემის მიხედვით, ხმაურწარმოქმნელი წყაროების გეომეტრიული ცენტრიდან უახლოესი საცხოვრებელი ზონა დაცილებულია დაახლოებით 750 მ-ით.

საანგარიშო წერტილებში ხმაურის დონეები იქნება:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10 \lg \Omega = 98,0 - 15 \cdot \lg 750 + 10 \cdot \lg 2 - 15,9 \cdot 750 / 1000 - 10 \cdot \lg 2 \pi =$$

$$= 98,0 - 43,125 + 3,0 - 11,925 - 7,98 = 37,97 \text{ დბა}$$

გაანგარიშების შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 3.2.2.1.

ცხრილი 3.2.2.1. ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები

ძირითადი მომუშავე მანქანა- მოწყობილობები	საანგარიშო წერტილი	ხმაურის ექვივ. დონე გენერაც. ადგილზე, დბა	ხმაურის ექვივ. დონე საანგ. წერტილში, დბა	ნორმა, დბა *
ტექნოლოგიური პროცესების შესრულებაში მონაწილე დანადგარების (ტუმბოები)	750 მ-იანი ზონის საზღვარი	98,0	37,97	დღის საათებში - 50 დბა. ღამის საათებში - 40 დბა

*- „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს მთავრობის №398 დაგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი.

გათვლების მიხედვით დასახლებული პუნქტების საზღვარზე ხმაურის დაშვებულ ნორმებზე (როგორც დღის საათებისთვის, ასევე ღამის საათებისთვის დადგენილი ნორმები) გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ გაანგარიშებები ჩატარებულია ყველაზე უარესი სცენარით. ანუ გაანგარიშებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ის გარემოებები, რაც ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ უარყოფითი ზემოქმედების რისკებს კიდევ უფრო ამცირებს, ხოლო მოსახლეობაზე ზემოქმედებას გამორიცხავს, კერძოდ:

- ინტენსიური ხმაურის წარმოქმნილი სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში;
- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროული მუშაობა ნაკლებ სავარაუდოა. ასეთ შემთხვევაშიც კი ის არ იქნება ხანგრძლივი პროცესი;
- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროები განთავსებულია დახურულ სათავსოებში;
- გაანგარიშებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ხმაურის წყაროებსა და საანგარიშო წერტილს შორის არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ეკრანები, რომლებიც ხმაურის გავრცელებას კიდევ უფრო შეამცირებს.

აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით არ არის მოსალოდნელი საცხოვრებელ ზონაში საწარმოს ფუნქციონირების დროს წარმოქმნილი ხმაურის დონეების გადაჭარბება „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს მთავრობის №398 დაგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დაშვებულ დღისა (50 დბა) და ღამის (40 დბა) საათებისთვის დადგენილი ნორმებთან.

ამასთანავე, საქმიანობის განხორციელების პროცესში უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა დაგეგმილი საქმიანობის სწორი მართვა მკაცრი მეთვალყურეობის (გარემოსდაცვითი მონიტორინგის) პირობებში და მონიტორინგის შედეგების მიხედვით ხმაურის დონეების გადაჭარბების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებები

3.2.3. შემარბილებელი ღონისძიებები

ხმაურის გავრცელების დონეების მინიმიზაციის მიზნით საწარმოს მიერ განახორციელდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- შესაძლებლობისამებრ ხმაურიანი სამუშაოების წარმოება მხოლოდ დღის საათებში;
- ხმაურიანი სამუშაოების პერიოდის განსაზღვრა, ეკოლოგიური საკითხების გათვალისწინებით;
- მაღალი დონის ხმაურწარმომქმნელი დანადგარ-მექანიზმების განლაგება მგრძნობიარე რეცეპტორებისგან (საცხოვრებელი ზონა) მოშორებით;
- პერსონალის უზრუნველყოფა დაცვის საშუალებებით (ყურსაცმები);
- ხმაურიან სამუშაოებზე დასაქმებული პერსონალის ხშირი ცვლა;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი სამუშაოების დაწყებამდე და შემდგომ 6 თვეში ერთხელ.

3.2.4. ზემოქმედების შეფასება

➤ მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, საცხოვრებელი ზონის საზღვარზე აკუსტიკური ფონის ზრდა მოსალოდნელი არ არის, ხმაურის ფონური დონეები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს (საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში <50 დბა-ზე, ხოლო ღამის საათებში <40 დბა-ზე).

ცხრილი 3.2.4.1. ხმაურის ზემოქმედების შეჯამება

ზემოქმედებისა და ზემოქმედების წყაროების აღწერა	ზემოქმედების რეცეპტორები	ნარჩენი ზემოქმედების შეფასება					
		ხასიათი	მოხდენის ალბათობა	ზემოქმედების არეალი	ხანგრძლივობა	შექცევადობა	ნარჩენი ზემოქმედება
მშენებლობის ეტაპი:							
ხმაურის გავრცელება ჰაერში – სამშენებლო ტექნიკით, სამონტაჟო და სამშენებლო ოპერაციებით გამოწვეული ხმაური; – სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული ხმაური.	პროექტის მუშახელი, ახლო მახლო მაცხოვრებლები	პირდაპირი, უარყოფითი	მაღალი რისკი	დაახლოებით 0.4-0.5კმ რადიუსში	ხანგრძლივობა შემოიფარგლება მშენებლობის ფაზით	შექცევადი	საშუალო. შემარბ. ღონისძიებების გათვალისწინებით- დაბალი
ოპერირების ეტაპი:							
ხმაურის გავრცელება ჰაერში – საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაური; – სატრანსპორტო ოპერაციებით გამოწვეული ხმაური; – ტექ.მომსახურებისას/სარემონტო სამუშაოებისას წარმოქმნილი ხმაური.	პროექტის მუშახელი, ახლომახლო მაცხოვრებლები	პირდაპირი, უარყოფითი	მაღალი რისკი	დაახლოებით 0.4-0.5 კმ რადიუსში	გრძელვადიანი	საშუალო	დაბალი. შემარბ. ღონისძიებების გათვალისწინებით- ძალიან დაბალი

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით მოსახლეობაზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

3.3. გეოლოგიური გარემოს სტაბილურობის დარღვევა, ზემოქმედება ნიადაგებზე

ნიადაგზე და გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების სიდიდეები შეფასებულია შემდეგი პარამეტრებით:

- ზემოქმედების ინტენსიურობით, არეალით და ხანგრძლივობით;
- მათი სენსიტიურობით მოცემული ცვლილების მიმართ;
- მათი აღდგენის უნარით.

ზემოქმედების შეფასება განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ეროზია და გეოსაფრთხეები;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განადგურება;
- ნიადაგის/ გრუნტის დაბინძურება.

საწარმოს დაგეგმილი საქმიანობა პრაქტიკულად არ უკავშირდება გეოსაფრთხეების გამომწვევ რისკებს და ნორმალური ოპერირების პირობებში ნაკლებად მოსალოდნელია როგორც ადგილობრივი გეოლოგიური გარემოს დესტაბილიზაცია, ისე გაუთვალისწინებელი შემთხვევების შედეგად საწარმოო ინფრასტრუქტურის დაზიანება.

საწარმოს რეკონსტრუქცია და ოპერირება დაგეგმილია ტერიტორიაზე, სადაც ათეული წლების განმავლობაში სრულდებოდა სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობა. როგორც ამ ტერიტორიის აუდიტის პროცესში დადგინდა, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ძალზედ სუსტადაა განვითარებული.

გამომდინარე აღნიშნულიდან სამშენებლო სამუშაოების პროცესში, ასევე ოპერირების ეტაპზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განადგურება-დაბინძურების რისკები ძალზედ დაბალია.

ნიადაგის ხარისხზე ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ნარჩენების არასწორმა მართვამ (როგორც მყარი, ისე თხევადი), მასალების და ნედლეულის შენახვის წესების დარღვევამ, ასევე სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის/საპოხი მასალების შემთხვევითმა დაღვრამ.

არ დაიშვება (სასტიკად აკრძალულია):

- ტერიტორიის ჩახერგვა ლითონის ჯართით, სამშენებლო ნაგვითა და სხვა ნარჩენებით;
- სამონტაჟო-სარემონტო სამუშაოების და საწარმოო ოპერაციების განხორციელების ტერიტორიებზე ნებისმიერი სახის ნარჩენების დაღვრა, გადაყრა, ან დაწვა.

3.3.1. შემარბილებელი ღონისძიებები

ნიადაგზე მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, საწარმოს მიერ გატარდება შემდეგი სახის ღონისძიებები:

- მანქანებისა და დანადგარების რეგულარულად შემოწმება. დაზიანების და საწვავის/ზეთის ჟონვის დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დაზიანების შეკეთება. დაზიანებული მანქანები სამუშაო მოედანზე არ დაიშვებიან;
- წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ უბანზე;
- წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების სათანადო მართვა;
- სანიაღვრე წყლების პოტენციურად დამაბინძურებელი უბნები დაცული უნდა იყოს ატმოსფერული ნალექებისგან;
- სამუშაო უბნებზე მანქანების/ტექნიკის საწვავით გამართვის ან/და ტექნომსახურების აკრძალვა. თუ ამის გადაუდებელი საჭიროება იქნა, ეს უნდა მოხდეს დაღვრის თავიდან აცილებისთვის განსაზღვრული უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებით;

- დაღვრის შემთხვევაში, დაღვრილი მასალის ლოკალიზაცია და დაბინძურებული უბნის დაუყოვნებლივი გაწმენდა. პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი საშუალებებით (ადსორბენტები, ნიჩბები, სხვა.) და პირადი დაცვის საშუალებებით;
- დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი შემდგომი რემედიაციისათვის ტერიტორიიდან გატანილი უნდა იქნას ამ საქმიანობაზე ნებართვის მქონე კონტრაქტორის მიერ;
- სამუშაოს დაწყებამდე პერსონალის ინსტრუქტაჟი.

3.3.2. ზემოქმედების შეფასება

ცხრილი 3.3.2.1. ზემოქმედების შეჯამება

ზემოქმედებისა და ზემოქმედების წყაროების აღწერა	ზემოქმედების რეცეპტორები	ნარჩენი ზემოქმედების შეფასება					
		ხასიათი	მოხდენის ალბათობა	ზემოქმედების არეალი	ხანგრძლივობა	შექცევადობა	ნარჩენი ზემოქმედება
მშენებლობის ეტაპი:							
ეროზიის და სხვა გეოსაფრთხეების გააქტიურება/ განვითარება და სხვ. – მიწის სამუშაოები; – სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები; – სატრანსპორტო ოპერაციები, მძიმე ტექნიკის გამოყენება	მიწისა და მიწაზე არსებული ყველა რესურსი	პირდაპირი, უარყოფითი	დაბალი რისკი	სამუშაო უბნები და სატრანსპორტო საშუალებების სამომრავო გზების დერეფნები	ხანგრძლივობა შემოიფარგლება მშენებლობის ფაზით	ძირითადად შექცევადი	დაბალი. შემარბ. ღონისძიებების გათვალისწინებით - ძალიან დაბალი.
წიაღის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა – მანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება და სხვ.	მცენარეული საფარი, ცხოველები, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლები	პირდაპირი, უარყოფითი	დაბალი რისკი	სამუშაო უბნები და სამომრავო გზების დერეფნები	ხანგრძლივობა შემოიფარგლება მშენებლობის ფაზით	შექცევადი. გამონაკლის შემთხვევებში შეუქცევადი	დაბალი, შემარბ. ღონისძიებების გათვალისწინებით - ძალიან დაბალი.
წიაღის დაბინძურება – ნავთობპროდუქტების ან სხვა ქიმიური ნივთიერებების დაღვრა, ნარჩენებით დაბინძურება.	მცენარეული საფარი, ცხოველები, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლები	პირდაპირი, უარყოფითი	საშუალო რისკი	მოსალოდნელია ძირითადად ლოკალური დაღვრები	ხანგრძლივობა შემოიფარგლება მშენებლობის ფაზით	შექცევადი	დაბალი, შემარბ. ღონისძიებების გათვალისწინებით - ძალიან დაბალი.
ექსპლუატაციის ეტაპი:							
ეროზიის და სხვა გეოსაფრთხეების გააქტიურება/ განვითარება და სხვ. – სატრანსპორტო ოპერაციები.	მიწისა და მიწაზე არსებული ყველა რესურსი	პირდაპირი, უარყოფითი	დაბალი რისკი	სატრანსპორტო საშუალებების სამომრავო გზების დერეფნები	გრძელვადიანი	შექცევადი	დაბალი, შემარბ. ღონისძიებების გათვალისწინებით - ძალიან დაბალი.

<p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანება: – მანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება და სხვ.</p>	<p>მცენარეული საფარი, ცხოველები, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლები</p>	<p>პირდაპირი, უარყოფითი</p>	<p>დაბალი რისკი</p>	<p>სატრანსპორტო საშუალებების სამომრავო გზების დერეფნები</p>	<p>გრძელვადიანი</p>	<p>შექცევადი</p>	<p>დაბალიან ძალიან დაბალი</p>
<p>ნიადაგის დაბინძურება – ნავთობპროდუქტებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების დაღვრა, ნარჩენებით დაბინძურება.</p>	<p>მცენარეული საფარი, ცხოველები, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლები</p>	<p>პირდაპირი, უარყოფითი</p>	<p>დაბალი რისკი</p>	<p>მოსალოდნელია ძირითადად ლოკალური დაღვრები</p>	<p>მოკლევადიანი</p>	<p>შექცევადი</p>	<p>დაბალი,შემარბ. ღონისძიებების გათვალისწინებით - ძალიან დაბალი.</p>

მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების პირობებში ნიადაგზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

3.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს ორი მიმართულებით:

- ზედაპირული წყლის ობიექტის ხარჯის ცვლილება;
- ზედაპირული წყლების ხარისხის გაუარესების რისკები.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას ზედაპირული წყლის ობიექტის ხარჯის ცვლილება ფაქტიურად არ ხდება, შესაბამისად წყალსარგებლობა არ იცვლება, გავლენას არ ახდენს წყლის ჰაბიტატებზე /იქთიოფაუნაზე.

პირდაპირი ზემოქმედების რისკები გამოიხატება მხოლოდ სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო-სანიაღვრე წყლების ჩამდინარე წყლების ჩაშვებაში.

როგორც 2.2.3.2 ქვეთავშია აღნიშნული დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ობიექტზე ძირითადად წარმოიქმნება შემდეგი სახის ჩამდინარე წყლები:

- სამეურნეო-ფეკალური;
- საწარმოო-სანიაღვრე;
- სანიაღვრე.

ვინაიდან საწარმოს სიახლოვეს სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის ქსელების არ არსებობს, ამიტომ სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაედინება საწარმოს ლოკალური კანალიზაციის სისტემაში შემდგომ კი საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ სასენიზაციო ორმოში. რეზერვუარში დაგროვილი სითხე პერიოდულად (გატანა საჭიროებისამებრ) სპეც. ავტომატქანებით გატანილი და ჩასხმული იქნება ქ. გარდაბნის არსებულ სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციების კოლექტორში, შეთანხმებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

საწარმო-სანიაღვრე წყლებად განიხილება რკინიგზის და მანქანებში ჩასასხმელი ესტაკადების ტერიტორიიდან, რეზერვუარების პარკიდან, სატუმბო სადგურიდან და სხვა ტექნოლოგიური ობიექტებიდან მიღებული წყლები. სანიაღვრე ჩამდინარე წყლებად განიხილება ატმოსფერული ნალექების შედეგად დანარჩენი ტერიტორიიდან მიღებული წყლები.

ობიექტის ტერიტორიაზე არსებული დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული ტექნიკური წყლის მიწოდება წარმოებს ბრუნვითი წყალმომარაგებით, შესაბამისად, ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს.

ობიექტის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წვიმის წყლის შემკრები კანალიზაცია, რომელიც მოიცავს რეზერვუართა პარკს, ნავთობპროდუქტების გამცემ პუნქტს და რკინიგზის ესტაკადას, რომელთა ჯამური ფართობი შეადგენს 2.46 ჰა-ს. საწარმოს ტერიტორიის კანალიზირებულ ფართზე მოსული წყალი ყოველი წვიმის შემდეგ გამოიშვება სპეციალურად მოწყობილ წყალმიღებ ჭაში, საიდანაც ისინიც წყალმიღები არხებისა და ჭების მეშვეობით მოხვდება გამწმენდ მოწყობილობაში, საიდანაც მოხდება მისი ჩაშვება მდინარე ლოჭინის შენაკად უსახელო ღელეში.

სარეზერვუარო პარკები უზრუნველყოფილია წყლების შემაკავებელი ურდულებით, რომ არ მოხდეს სარეზერვუარო პარკებში წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების ერთდროული მიწოდება ნავთობდამჭერზე, კერძოდ მიწოდებული გასაწმენდი წყალი არ აღემატებოდეს ნავთობდამჭერის სიმძლავრეს (10 ლ/წმ, ანუ 36 მ³/სთ-ში). სარეზერვო რეზერვუარებიდან სანიაღვრე წყლების მიწოდება გასაწმენდად ნავთობდამჭერზე მოხდება ისე, რომ მისი რაოდენობა არ აღემატებოდეს ნავთობდამჭერის სიმძლავრეს. ამით უზრუნველყოფილი

იქნება ნავთობდამჭერის სანიაღვრე წყლების გაწმენდის ეფექტურობა, რომელიც გააჩნია მას.

აღნიშნული წყლების გაწმენდის შემდეგ ჩადინება განხორციელდება საწარმოს სიახლოვეს გამავალ უსაქელო ღელეში, რომელიც უერთდება მდინარე ლოჭინს.

რაც შეეხება დანარჩენი ტერიტორიიდან სანიაღვრე წყლების გაყვანას, იგი გადაწყვეტილია ზედაპირული კიუვეტების საშუალებით, როგორც პირობითად სუფთა წყალი.

ხანძრის შემთხვევაში გამოყენებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 400 მ³-ს, და ეს წყლებიც გაწმენდ ნაგებობებში გავლის შემდეგ ჩაშვებული იქნება საწარმოს სიახლოვეს გამავალ უსაქელო ღელეში, რომელიც უერთდება მდინარე ლოჭინს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებულია ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმები ხუთი წლის ვადით ჩაშვების ერთი წერტილისათვის და შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (სარეგისტრაციო ნომერი №23 29/10/2020. იხ. წინამდებარე ანგარიშის პარაგრაფი 2.2.8 და დანართი 6.8).

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს ემატება ახალი სარეზერვუარო პარკი, მოსალოდნელია სანიაღვრე წყლების ხარჯის გაზრდა, ხოლო რაც შეეხება დაგეგმილი რეკონსტრუქციის შემდგომ არსებულ საწარმოო და სამეურნეო მიზნებითვის გამოყენებულ წყლის ხარჯს, აღნიშნული დარჩება უცვლელი, რადგან ცვლილება არ ითვალისწინებს საწარმოს სიმძლავრეების გაზრდას.

ამასთანავე, აღნიშნული თხევადი ნარჩენების მართვის პროცესში, მოცემული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის მიზნით, გათვალისწინებულია საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გაწმენდი ნაგებობის ეფექტურობის და ჩამდინარე წყლების ხარისხის პერიოდული ლაბორატორიული გამოკვლევების უზრუნველყოფა, შესაბამისი აკრედიტაციის ლაბორატორიების მეშვეობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების პირობებში, ზედაპირული წყლის გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

3.4.1. შემარბილებელი ღონისძიებები

ზედაპირული წყლების დებიტის ცვლილების კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება გათვალისწინებული არ არის.

რაც შეეხება ზედაპირული წყლების დაბინძურების პრევენციულ ღონისძიებებს, ამ მხრივ საწარმოს მიერ გატარდება შემდეგი სახის ღონისძიებები:

- მანქანა/დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- დაბინძურებული ჩამდინარე წყლების სათანადო მართვა;
- სანიაღვრე წყლების პოტენციურად დამაბინძურებელი უბნების გადახურვა და მათ პერიმეტრზე სადრენაჟო/წყალამრიდი არხების მოწყობა;
- მასალების და ნარჩენების სწორი მენეჯმენტი;
- საწვავის/საპოხი მასალის დაღვრის შემთხვევაში დაღვრილი პროდუქტის ლოკალიზაცია/გაწმენდა;
- ნიადაგის ხარისხის დაცვასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი.

3.4.2. ზემოქმედების შეფასება

- მშენებლობის ეტაპზე:
 - ზედაპირული წყლების ხარჯი არ იცვლება. გავლენას არ ახდენს წყლის ჰაბიტატებზე /იქთიოფაუნაზე. ნაპირების სტაბილურობის დარღვევა მოსალოდნელი არ არის. ნარჩენი ზემოქმედება იქნება დაბალი;
 - ნივთიერებათა კონცენტრაცია ან წყლის სიმღვრივე არ იზრდება დაა ზღვ-ზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ნარჩენი ზემოქმედება იქნება დაბალი;
- ექსპლუატაციის ეტაპზე:
 - ზედაპირული წყლების ხარჯი არ იცვლება. გავლენას არ ახდენს წყლის ჰაბიტატებზე /იქთიოფაუნაზე. ნაპირების სტაბილურობის დარღვევა მოსალოდნელი არ არის. ნარჩენი ზემოქმედება იქნება დაბალი;
 - ნივთიერებათა ფონური კონცენტრაცია და წყლის სიმღვრივე არ შეიცვლება. შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით ნარჩენი ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

ცხრილი 3.4.2.1. ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედების შეჯამება

ზემოქმედებისა და ზემოქმედების წყაროების აღწერა	ზემოქმედების რევეპტორები	ნარჩენი ზემოქმედების შეფასება					
		ხასიათი	მოხდენის ალბათობა	ზემოქმედების არეალი	ხანგრძლივობა	შექცევადობა	ნარჩენი ზემოქმედება
მშენებლობის ეტაპი:							
ზედაპირული წყლების ხარჯის ცვლილება	ცხოველები, მიწისქვეშა წყლები და სხვ.	პირდაპირი, უარყოფითი	დაბალი რისკი	მდ.მტკვრის აუზი	ხანგრძლივობა შემოიფარგლება მშენებლობის ფაზით	შეუქცევადი	დაბალი
ზედაპირული წყლების დაბინძურება შეწონილი ნაწილაკებით, ნახშირწყალბადებითა და სხვა ნივთიერებებით - შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების წყარო - დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენი; - ნახშირწყალბადებით/ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების წყარო - მათი დაღვრის შედეგად დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენის ჩადინება, ან მათი უშუალოდ წყლის ობიექტში ჩაღვრა; - სხვა დაბინძურების წყარო - სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო მყარი/თხევადი ნარჩენები.	ცხოველთა სამყარო, მიწისქვეშა წყლები და სხვ.	პირდაპირი. ზოგიერთ შემთხვევაში - ირიბი (მაგ. დამაბინძურებელ ბის დაღვრის შედეგად დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენის ჩადინება მდინარეებში). უარყოფითი	საშუალო რისკი, შემარბ. ღონისძიებების გათვალისწინებით - დაბალი რისკი	მდ.მტკვრის აუზი	ხანგრძლივობა შემოიფარგლება მშენებლობის ფაზით	შექცევადი	დაბალი , შემარბ. ღონისძიებების გათვალისწინებით - ძალიან დაბალი

(გაგრძელება)

ოპერირების ეტაპი:							
<i>მდინარის წყლის ხარჯის ცვლილება</i>	ცხოველები, მიწისქვეშა წყლები, ნაპირების სტაბილურობა	პირდაპირი, უარყოფითი	დაბალი რისკი	მდ.მტკვრის აუზი	მოკლევადიანი	შეუქცევადი	დაბალი
<i>ზედაპირული წყლების დაბინძურება შეწონილი ნაწილაკებით, ნახშირწყალბადებითა და სხვა ნივთიერებებით</i>	ცხოველთა სამყარო, მიწისქვეშა წყლები და სხვ.	პირდაპირი. ზოგიერთ შემთხვევაში - ირიბი	დაბალი რისკი	მდ.მტკვრის აუზი	მოკლევადიანი	შექცევადი	დაბალი , შემარბ. ღონისძიებების გათვალისწინებით - მაღიან დაბალი

3.5. ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს ორი მიმართულებით:

- მიწისქვეშა/გრუნტის წყლის ობიექტის ხარჯის ცვლილება;
- მიწისქვეშა/გრუნტის წყლების ხარისხის გაუარესების რისკები.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს მიწისქვეშა/გრუნტის წყლების დებიტზე პირდაპირი ზემოქმედების რისკები.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში გრუნტის წყლების დაბინძურების პირდაპირი ზემოქმედების რისკები გამოიხატება სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო-სანიაღვრე წყლების ჩამდინარე წყლების დაღვრაში და ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში. გრუნტის წყლების დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს დამაბინძურებლების (ნავთობის ნახშირწყალბადები, ქიმიური ნივთიერებები) ღრმა ფენებში გადაადგილებამ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების პირობებში, ზედაპირული წყლის გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

3.6. ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

მნიშვნელოვანი ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებებია მოსალოდნელი საწარმოს მიწისზედა 8 ვერტიკალური რეზერვუარების მოწყობით.

ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შერბილების მიზნით, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, მოხდება ნაგებობების ფერის და დიზაინის გონივრული შერჩევა და ასევე დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების შეძლებისდაგვარად შეუმჩნეველ ადგილებში განთავსება. დაცული იქნება სანიტარულ-ეკოლოგიური პირობები.

3.7. ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

საწარმოს მშენებლობა იგეგმება უკვე ათვისებულ ტერიტორიაზე, რომელიც მცენარეული საფარით ძალზე ღარიბია.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს ფუნქციონირების პროცესში გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას (ხმაურის და მავნე ნივთიერებათა გავრცელება) ადგილი არ ექნება, ფაუნაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

დაშორების დიდი მანძილიდან გამომდინარე დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება განხილული არ არის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დაცულ ტერიტორიაზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

3.8. ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება

საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების მართვის პრინციპები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის პარაგრაფში 2.2.4.

შპს "ზდ ნავთობის კომპანიის" 2025-2027 წლების კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №3423/01 (14/05/2025) წერილი წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშის დანართში 6.9.

საწარმოს ნარჩენების მართვის სტრატეგია და გეგმა ითვალისწინებს საწარმოს ტექნოლოგიურ თავისებურებებს და საქართველოსა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებას.

მონაცემები 2025 – 2027 წლებში შპს "ზდ ნავთობის კომპანიის" ოპერირების პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში 2.2.4.1.

საწარმოში დაგეგმილი ცვლილების განხორციელების შემდგომ მოსალოდნელი არ არის ახალი სახეობის ნარჩენების წარმოქმნა. რაც შეეხება ახალი რეზერვუარებისა და სარეზერვუარო პარკის მოწყობას, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სამშენებლო ნარჩენის წარმოქმნა. ხოლო რვა ერთეული რეზერვუარის განთავსების შედეგად ოპერირების ეტაპზე გაიზრდება მხოლოდ რეზერვუარის შლამის რაოდენობა.

როგორც აუკვე აღინიშნა, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ნარჩენების განთავსების უბანი, შესაბამისად დასტიკერებული ურნებით. საწარმოში წარმოქმნილი როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენი დროებით თავსდება ტერიტორიაზე და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას.

3.9. ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე

საპროექტო ტერიტორიების მიმდებარედ ხილული ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება. ტერიტორიის მრავალწლიანი ტექნოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, არქეოლოგიური ძეგლების გვიანი გამოვლენის შესაძლებლობაც ძალზედ მცირეა. საქმიანობის პროცესში რაიმე არტეფაქტის გვიანი გამოვლენის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მოიწვიოს ამ საქმიანობაზე საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს სპეციალისტები, არქეოლოგიური ძეგლის მნიშვნელობის დადგენისა და სამუშაოების გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დაცულ ტერიტორიაზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც ძალიან დაბალი.

3.10. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე

3.10.1. შესაძლო დემოგრაფიული ცვლილებები

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების მიზნით ახალი დასახლების (მუდმივი საცხოვრებელი ფართებით) მშენებლობა და უცხო კონტიგენტის გადმოსახლება გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად ამ მხრივ დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

თუმცა გასათვალისწინებელია საწარმოს ამოქმედების შემდგომ მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი და მისი თანმდევი პროცესები. როგორც ფონური მდგომარეობის აღწერისას აღინიშნა, რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე და უმუშევრობა იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის (სამუშაოს მაძიებელთა) მიგრაციას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა თუ საზღვარგარეთ, შედეგად რეგიონი მნიშვნელოვანი დემოგრაფიული პრობლემების წინაშე დგას. საწარმოს ექსპლუატაცია საგრძნობლად გაზრდის რეგიონში დასაქმებულთა ხვედრით წილს, რაც შეანელებს მოსახლეობის გადინების ტემპს. გამომდინარე აღნიშნულიდან დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი

დემოგრაფიული ცვლილებები შეიძლება შეფასდეს როგორც საშუალო დადებითი.

3.10.2. ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისთვის შერჩეული ტერიტორია საკუთრებაშია და შესაბამისად თემის ან მოსახლეობის კერძო საკუთრების მიწებზე ან ქონებაზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ასევე არ არსებობს ეკონომიკური განსახლების საჭიროება.

3.10.3. დასაქმება და მასთან დაკავშირებული ზემოქმედებები

პირველ რიგში აღსანიშნავია საწარმოს საქმიანობის პროცესში მოსახლეობის დასაქმებით გამოწვეული დადებითი ზემოქმედება, რადგანაც საწარმოში დასაქმდება 40 ადამიანი.

3.10.4. წვლილი ეკონომიკაში

საწარმოს საქმიანობის განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტში შევა დამატებითი თანხები ქონების გადასახადის სახით და სხვ.

დასაქმებული პერსონალის მომსახურებისათვის მოსალოდნელია სატელიტი ბიზნეს საქმიანობების (ვაჭრობა, მომსახურება, სატრანსპორტო უზრუნველყოფა, საკვები პროდუქტების წარმოება და სხვა) გააქტიურება, რაც დასაქმების დამატებით წყაროდ უნდა ჩაითვალოს. რეგიონის ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც მაღალი დადებითი.

3.10.5. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

საქმიანობის განხორციელებისთვის შერჩეული ტერიტორია მნიშვნელოვანი მანძილით არის დაშორებული საცხოვრებელი განაშენიანებიდან. საწარმოო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი ფიქსირდება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით 750 მეტრში ზემო ვაზიანის დასახლება (იხ. ნახაზი 2.1.3).

შესაბამისად პროექტის განხორციელების დროს ადგილობრივ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ტერიტორია გამოირჩევა სტრატეგიული მდებარეობით. ეს ტერიტორია მდებარეობს სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებთან სიახლოვეს. ამიტომ, არსებულ გარემოებათა შეფასებისას ძირითადი გასათვალისწინებელი ფაქტორებია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან მიმართებით:

- საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით 430 მეტრში გადის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზა (ს5), საიდანაც გააჩნია შიდა შემოსასვლელი გზა;
- საწარმოს ტერიტორიის აღმოსავლეთის მხრიდან გადის რკინიგზის ჩიხი, რომელიც შემოდის საწარმოო ტერიტორიაზე.

საწარმოს საპროექტო ტერიტორიის განთავსების რეგიონის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა წარმოდგენილია ნახაზზე 3.10.5.1.

საწარმოს მშენებლობის პერიოდში სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელია დროებითი ნეგატიური ზემოქმედება. ძირითადი სამშენებლო მასალები და აღჭურვილობა შემოტანილი იქნება საავტომობილო ტრანსპორტით.

საწარმოს ექსპლუატაციის პირობებში ნავთობპროდუქტების შემოტანა მოხდება რკინიგზის ტრანსპორტით.

ნახაზი 3.10.5.1. საწარმოს საპროექტო ტერიტორიის განთავსების რეგიონის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა



ამდენად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობებში მზა პროდუქციის ტრანსპორტირება მოხდება მხოლოდ დღის საათებში, მხოლოდ ავტოტრანსპორტის საშუალებით და გამოყენებული საავტომობილო გზების მნიშვნელოვანი გადატვირთვა არ მოხდება, გამომდინარე იქიდან, რომ ტრანსპორტირების სქემით განსაზღვრულ საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების ფონური მდგომარეობა არ არის მაღალი.

საწარმოს მშენებლობის პერიოდში სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელია დროებითი ნეგატიური ზემოქმედება, დაახლოებით 11-12 თვის განმავლობაში. ძირითადი სამშენებლო მასალები და აღჭურვილობა შემოტანილი იქნება საავტომობილო ტრანსპორტით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული მოსახლეობის შეწუხების და სატრანსპორტო ნაკადების გადატვირთვის რისკი მინიმალურია.

3.11. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციურ ზემოქმედებაში იგულისხმება განსახილველი პროექტის და საკვლევი რეგიონის ფარგლებში სხვა პროექტების (არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების) კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ქმნის კუმულაციურ ეფექტს.

საკვლევი რეგიონის ფარგლებში, საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსში ფუნქციონირებს სხვადასხვა საწარმოები. ამის გათვალისწინებით განიხილება კუმულაციური ზემოქმედება.

განსახილველი საწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე კუმულაციური ეფექტი შესაძლებელია განხილული იყოს შემდეგი მიმართულებებით:

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები;
- ხმაურის გავრცელება.

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია, პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად, გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან და განთავსების ადგილიდან გამომდინარე, 500 მეტრიან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება. კერძოდ, საწარმოს და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად კუმულაციურ ზემოქმედებაში შესაძლოა განხილული იყოს ტერიტორიის მიმდებარედ, შპს „ენმა ოილის“ არსებული ნავთობბაზა და მათი ერთობლივი ფუნქციონირება. თუმცა, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე დაგეგმილი ცვლილებების მასშტაბისა და ხასიათის, აგრეთვე, შპს „ენმა ოილის“ ნავთობბაზის მასშტაბის და სიმძლავრის გათვალისწინებით აღნიშნული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

საწარმოს შემოგარენში არსებული ხმაურის გამომწვევი საწარმოები პროფილის, საპროექტო საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე ხმაურის ფონური მდგომარეობისა და დასახლებული პუნქტის დაშორების მანძილის გათვალისწინებით ხმაურის კუმულაციური ზემოქმედებისას დასახლებული პუნქტის საზღვართან მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე

საცხოვრებელი ზონის საზღვარზე აკუსტიკური ფონის ზრდა მოსალოდნელი არ არის, ხმაურის ფონური დონეები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს (საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში <50 დბა–ზე, ხოლო ღამის საათებში <40 დბა–ზე).

კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელია ასევე გარემოს სხვა კომპონენტების მიმართ, კერძოდ ატმოსფერულ ჰაერზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰარში მავნე ნივთიერებათა გაბნევისა და მავნე ნივთიერებების მიწისპირა კონცენტრაციების გაანგარიშება შესრულებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილებით დამტკიცებული “ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტი“-ს შესაბამისად. კუმულაციური ზემოქმედების თვალსაზრისით გათვალისწინებული იქნა საწარმოს მიმდებარედ არსებული შპს „ენმა ოილი“-ს ნავთობაზიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ინტენსივობები.

გაანგარიშების შედეგების ანალიზის მიხედვით, საწარმოდან 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე შერჩეულ საკონტროლო წერტილში არც ერთი მავნე ნივთიერებისა და ჯამური ზემოქმედების არც ერთი ჯგუფის მიმართ დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაანგარიშებული მაქსიმალური კონცენტრაციები, ფონის გათვალისწინებით, არ გადააჭარბებს საცხოვრებელი ზონისათვის ამ მავნე ნივთიერებებისათვის დადგენილ ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმატიულ მნიშვნელობას.

4. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება

შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება შესრულებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტში მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რაც მოცემულია ქვემოთ:

	საქმიანობის მახასიათებლები	გარემოზე ზემოქმედების რისკის არსებობა		მოკლე რეზიუმე
		დიახ	არა	
1.0. საქმიანობის მასშტაბი				
1.1.	არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება		+	კუმულაციურ ზემოქმედებაში იგულისხმება განსახილველი პროექტის და საკვლევ რეგიონის ფარგლებში სხვა პროექტების (არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების) კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ქმნის კუმულაციურ ეფექტს. საწარმოს გავლენის ზონაში არსებული თუ პერსპექტიული ობიექტების პროფილისა და გარემოზე ზემოქმედების მასშტაბების გავითვალისწინებით მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
1.2	ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება	+		შპს “ზდ ნავთობის კომპანია“-ს 32900 მ ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკით ნავთობგადამუშავებელი მინი ქარხანა განთავსებულია გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფში, ვაზიანი, შ.პ.ს. “ზდ ნავთობის კომპანია“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები: №81.10.22.390, №81.10.22.409 და №81.10.22.688).
1.3	ნარჩენების წარმოქმნა	+		დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მოსალოდნელია გარკვეული რაოდენობის როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. მათი არასწორი მართვის შემთხვევაში მოსალოდნელია გარემოს ცალკეული რეცეპტორების ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესება. დაგეგმილი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების რაოდენობა არ იქნება მნიშვნელოვანი და მათი მართვა (შეგროვება, შენახვა და განთავსების ან/და აღდგენის მიზნით შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა) განხორციელდება კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად, ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობებიდან და მათი მართვის პრინციპებიდან გამომდინარე ზემოქმედება იქნება დაბალი მნიშვნელობის.
1.4	გარემოს დაბინძურება და ხმაური	+		დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოს (წყალი, ნიადაგი) დაბინძურების რისკები ძირითადად დაკავშირებული იქნება გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებს და ხმაურის გავრცელებას

				<p>ადგილი ექნება სამშენებლო ტექნიკის გამოყენების და ტვირთების ტრანსპორტირების პროცესში. ზემოქმედების ხანგრძლივობა შემოიფარგლება მოწყობის ფაზით. მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი მნიშვნელობის.</p> <p>საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სატრანსპორტო ოპერაციებისთვის გამოყენებული და ტექნოლოგიური პროცესების შესრულებაში მონაწილე ტექნიკური საშუალებები. საცხოვრებელი განაშენიანების საზღვარზე ხმაურის დონეები არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ დონეებს. მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი მნიშვნელობის.</p> <p>დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები საცხოვრებელი განაშენიანების საზღვარზე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს, მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დაბალი მნიშვნელობის.</p>
1.5	საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი		+	დაგეგმილ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა				
2.1	ჭარბტენიან ტერიტორიასთან		+	საპროექტო ტერიტორია არ ესაზღვრება ჭარბტენიან ტერიტორიებს. ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
2.2	შავი ზღვის სანაპირო ზოლთან		+	დაგეგმილი საქმიანობიდან და დაცილების მანძილიდან გამომდინარე შავ ზღვაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
2.3	ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები		+	საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
2.4	დაცულ ტერიტორიებთან		+	საპროექტო საწარმოს ტერიტორია არ ესაზღვრება დაცულ ტერიტორიებს
2.5	მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან	+		<p>საწარმოო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი ფიქსირდება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით 750 მეტრში ზემო ვაზიანის დასახლება.</p> <p>ამასთანავე, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან, მასშტაბებიდან და ექსპლუატაციის ეტაპზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დაბალი მნიშვნელობის.</p>
2.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან		+	ტერიტორიის შესწავლის შედეგად ხილული ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები არ გამოვლენილა. ტერიტორიის მრავალწლიანი ტექნოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, არქეოლოგიური ძეგლების გვიანი გამოვლენის შესაძლებლობაც ძალზედ მცირეა. ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
3. საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი				

3.1	ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი		+	საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.
3.2	ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა		+	შესაბამისი გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინების პირობებში, დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დაბალი მნიშვნელობის.

5. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 1996 (შესწ. 2000, 2003, 2007);
2. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, 1997;
3. საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, 2007;
4. საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, 1999 (შესწ. 2000, 2007);
5. საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“, 1997 (შესწ. 2003, 2004, 2005, 2006);
6. საქართველოს კანონი “ნიადაგის დაცვის შესახებ”, 1994 (შესწ. 1997, 2002);
7. საქართველოს კანონი “გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ”, 1996;
8. საქართველოს კანონი “სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ”, 1996;
გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში განხილულია საწარმოს განთავსების ფიზიკურ-გეოგრაფიული და ჰიდროლოგიური დახასიათება, ტერიტორიის გეოლოგიური და კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები, ფაუნა და ფლორა, სოციალური ასპექტები და სხვა.

საწარმოო ტერიტორიის ნიადაგი საკმარისადაა ათვისებული რეგიონის სამრეწველო ზონის საწარმოების შენობა-ნაგებობებით, საირიგაციო არხებით, დამუშავებული კერძო ნაკვეთებით, სარკინიგზო და საგზაო კომუნიკაციებით.

ტერიტორიის ფარგლებში და მათ მიმდებარედ თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა არ დაფიქსირდა. საწარმოო ტერიტორია დღეისათვის გამოირჩევა მდგრადობის მაღალი ხარისხით.

საკვლევი უბანი, რომელიც მდებარეობს სამგორის ვაკეზე ნაკლებწყლიანია, რის გამოც უბანზე გაბურღილ არცერთ ჭაბურღილში დაძიებულ სიღრმემდე მიწისქვეშა წყალი არ დაფიქსირდა. უბანზე გრუნტის წყლები ჭაბურღილებში დაფიქსირებული არ იქნა.

ტერიტორიაზე დროებითი ნაკადების მიერ გამოწვეული ეროზიის რაიმე კვალი არ აღინიშნება. შესაბამისად მის ზედაპირს დატბორვის ან ეროზიული მორეცხვის საფრთხე საერთოდ არ ემუქრება.

საწარმო ტერიტორიის 14% (3880 კვ.მ.) ფართობი გამწვანებულია მწვანე ნარგავებითა და ბალახის გაზონით. პროექტით გათვალისწინებულია არსებული გამწვანების გაზონების მოწესრიგება და ხენარგავების შენარჩუნება. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების თვალსაზრისით წიწვოვანი ნარგავების გაშენება ნავთობპროდუქტების ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის მიზანშეწონილი, ამ მიზნით გამწვანების ზონისათვის უნდა შეირჩეს დაბალი სიმაღლის წვრილფოთლოვანი ბუჩქის ტიპის ნარგავები (შესაძლოა მარადმწვანე).

საწარმოო ობიექტი განთავსებულია გარდაბნის რაიონში, ვაზიანში, რის გამოც ის ძირითადად წარმოადგენს სინანტროპული სახეობების ადგილსამყოფებს. ფაუნისტური თვალსაზრისით ეს ადგილი არ არის მნიშვნელოვანი.

საკვლევ ტერიტორიის დათვალაირების დროს არ დაფიქსირებულა კანონით დაცული არც ერთი სახეობის არსებობის დამადასტურებელი ნიშანი.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს თავის მხრივ განზრახული აქვს საწარმოს ტერიტორიის შესაძლო ადგილების გამწვანება მრავალწლიანი ნარგავებით. ამ მხრივ მწვანე ნარგავების როლი მეტად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია.

გზმ-ს ანგარიშში განხილულია საწარმოს მოსალოდნელი ავარიული სიტუაციები და მოცემულია მათზე რეაგირების ზოგადი საკითხები.

გზმ-ს ანგარიშში ასახულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავების წინადადებები პროექტის განხორციელების, მიმდინარეობისა და დასრულების ეტაპებისათვის.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგენილი პირობები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

შპს „ზედ ნავთობის კომპანია“-ს ხელმძღვანელობა ვალდებულია:

1. საქმიანობა განხორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, შემარბილებელი ღონისძიებების (მათ შორის საწარმოს ტერიტორიის გამწვანება) გეგმებით და წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად.
2. უზრუნველყოს საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, აღრიცხვა, დროებით უსაფრთხოდ განთავსება და შემდგომი მართვის (გადამუშავება, გაუვნებლობა ან განთავსება) მიზნით სათანადო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა.
3. საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის დამონტაჟება.
4. უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.
5. უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტში „ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივების პროექტით“ წარმოდგენილი ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა;
6. საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოადგინოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებული ტექნოლოგიური ავარიისა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ოპერატიული და სისტემატური ღონისძიებების, ავარიისა და კატასტროფის დროს მოქმედების გეგმები, რომელშიც აგრეთვე გათვალისწინებული იქნება:
 - ავარიული სიტუაციებისათვის მზადყოფნაზე და მათზე რეაგირების პასუხისმგებელი პირი.
 - ავარიის შესახებ შეტყობინების სქემა (რომელიც მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურებს, აგრეთვე შეტყობინებებს მომიჯნავე ობიექტებისათვის).
 - ხანძარსაწინააღმდეგო და დაბინძურების საწინააღმდეგო ტექნიკური საშუალებების ჩამონათვალი, მათი პერიოდული ინვენტარიზაციის ვადა და პასუხისმგებელი პირი.
7. იმ შემთხვევაში თუ საწარმოს მშენებლობისას და ექსპლუატაციისას საჭირო იქნება არსებული ხე-მცენარეების ჭრა აუცილებელია ეცნობოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და აღნიშნული შეთანხმდეს სატყეო სააგენტოსთან, ხოლო საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ხე-მცენარეების ჭრის შემთხვევაში იმოქმედოს

- საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
8. საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება და გატანა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.
 9. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ავარიული დაღვრის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და წარმოადგინოს მასშტაბურობიდან გამომდინარე ტერიტორიის გაწმენდის მეთოდისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.
 10. საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე განსაზღვროს ნიადაგის (გრუნტის) ფონური მაჩვენებლები (დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციები), ხოლო ექსპლუატაციის პროცესში აწარმოოს მონიტორინგი და დაბინძურების ხარისხის მუდმივი კონტროლი.
 11. უზრუნველყოს მიწის სამუშაოები „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერს N424 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად.
 12. უზრუნველყოს მომსახურე პერსონალის ტექნიკური უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლება და მათი აღჭურვა შესაბამისი სპეც. ტანსაცმლითა და დამცავი საშუალებებით.
 13. საწარმომ ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს რეზერვუარების აღჭურვა ნახშირწყალბადების ორთქლის დამჭერი ფილტრებით.
 14. იმ შემთხვევაში თუ „ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხნის“ წარმადობა შეადგენს დღე-ღამეში 500 ტ-ზე მეტს, შესაბამისად „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის მიხედვით უზრუნველყოს შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადება და კანონით დადგენილი პროცედურების გავლა.
 15. მშენებლობის დასრულებისა და საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებისთანავე აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

IV. დასკვნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს გარდაბნის მუნიციპალიტეტში (სოფელი მარტყოფი, ვაზიანი) 22600 მ² მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობებით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მაია ბერაძე

(სახელი, გვარი)


ბ.ა.
(ხელმოწერა)



დანართი 6.4. “შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2-656 (27/07/2020)



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-656

27/07/2020

ქ. თბილისი

შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 9 ივლისს სამინისტროს მომართა შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2014 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №32 (04.06.2014) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2014 წლის 4 ივნისის №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი

რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 5 ივნისის №ი-333 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2014 წლის №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №32; 04.06.2014);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 5 ივნისის №ი-333 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ზდ ნავთობის კომპანია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი

დანართი 6.5. „შპს „ზედ ნავთობის კომპანია“-ს 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2-812 (11/09/2020) ბრძანება



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-812

11/09/2020

ქ. თბილისი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „ზედ ნავთობის კომპანიის“ 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, შპს „ზედ ნავთობის კომპანიის“ მიერ გზშ-ის საჭიროების დადგენის მიზნით, წარმოდგენილია 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2014 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ზედ ნავთობის კომპანიის“ 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია №32 (04.06.2014) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N 2-656; 27/07/2020).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ზედ ნავთობის კომპანიის“ ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხანა ფუნქციონირებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში, სამრეწველო ზონაში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (81.10.22.409), საერთო ფართობით 3.5454 ჰა, საიდანაც სარეზერვუარო პარკს უკავია 0.6245 ჰა. აღნიშნული საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. ვაზიანი დაშორებულია 750 მეტრით. ნავთობბაზის ტერიტორიაზე არსებობს ავტომანქანების შესასვლელი გზა და რკინიგზის ჩიხი. საწარმოს მთლიანი ტერიტორია შემოღობილია 1.8 მეტრის სიმაღლის რკინაბეტონის ღობით.

2014 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე უნდა განთავსებულიყო ნავთობპროდუქტების 23 რეზერვუარი, ჯამური 22600 მ³ მოცულობით. 2016 წელს საწარმოში მოხდა ცვლილება და დაემატა ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხანა, რომლის დღე-ღამური წარმადობა არ აღემატებოდა 500 ტონას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტროსთან 2016 წლის 30 დეკემბერს შეთანხმდა ზედ ნორმების პროექტი. განხორციელებულმა ცვლილებამ გამოიწვია სარეზერვუარო პარკის გადაჯგუფება, დამატებითი ხანძარსაწინააღმდეგო ქაფგენერატორების მონტაჟი და სამუშაო მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება, კერძოდ ამ ეტაპზე 23200 მ³ სარეზერვუარო პარკის სამუშაო მოცულობა 21500 მ³-ს

შეადგენს. დღეისთვის სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე 23 რეზერვუარის ნაცვლად განთავსებულია 20 რეზერვუარი - 2 ნედლი ნავთობისთვის, 2 მაზუთისა და საგზაო ბიტუმისთვის, 5 სალუმელე და დიზელის საწვავისთვის, 9 ბენზინისა და ნაფტასთვის და 2 ბენზინისა და ნაფტას შერევისთვის. საწარმოში აგრეთვე შემცირდა რკინიგზის ჩიხის მიმღებ-გამცემი მონაკვეთი 144 მ-დან 100 მ-მდე. ამასთან, აღნიშნული პროექტის 2014 წლის გზშ-ის ანგარიშში მე-2 სარეზერვუარო პარკში 4 ერთეული 1000 მ³ მოცულობის რეზერვუარის განთავსება გათვალისწინებული იყო სწორხაზოვნად, თუმცა შეიცვალა მათი განლაგება და გადატანილ იქნა 30-40 მეტრის რადიუსზე. სკრინინგის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებული განახლებული გენერალური გეგმა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, აღნიშნულ საწარმოში დაიგეგმა სარეზერვუარო პარკის გაზრდა საწარმოს ტერიტორიის მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 81.10.22.390; ს/კ 81.10.22.547), რომლებიც აგრეთვე წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას. საწარმოში დაგეგმილია დამატებითი სარეზერვუარო პარკების მოწყობა, ასევე მე-2 სარეზერვუარო პარკის რეკონსტრუქცია, სახანძრო წყლის რეზერვუარისა (წყალადება დაგეგმილია მდ. იორის სამგორის არხიდან) და სახანძრო წყლის სატუმბის განთავსება. ცვლილების შედეგად, მე-3 სარეზერვუარო პარკში ეწყობა ერთი ერთეული 5000 მ³ მოცულობის მაზუთის რეზერვუარი, ერთი ერთეული 3000 მ³ მოცულობის ნაფტას რეზერვუარი და ორი ერთეული დიზელის საწვავის რეზერვუარი, თითოეულის მოცულობა იქნება 1000 მ³. აღნიშნულ სარეზერვუარო პარკთან აგრეთვე ეწყობა ნავთობპროდუქტების მიმღები და გამცემი სატუმბი სადგური. მე-4 სარეზერვუარო პარკში ეწყობა ერთი ერთეული 5000 მ³ და ერთი ერთეული 2000 მ³ მოცულობის ნედლი ნავთობის რეზერვუარები. მე-2 სარეზერვუარო პარკთან დაგეგმილია წყლის რეზერვუარის დემონტაჟი და მის ნაცვლად 500 მ³ მოცულობის დიზელის რეზერვუარის განთავსება. საერთო ჯამში საწარმოს საკუთრებაში არსებულ ორ დამატებით მიწის ნაკვეთსა და სარეზერვუარო პარკში სხვადასხვა ნავთობპროდუქტებისთვის დაგეგმილია 17500 მ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკების მოწყობა. დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების შემდეგ სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა იქნება 40700 მ³. **დაგეგმილი ცვლილება ითვალისწინებს მხოლოდ სარეზერვუარო პარკის მოცულობის გაზრდას, ნავთობპროდუქტების გადამუშავება, მისაღები, გასაცემი ნავთობპროდუქტების რაოდენობა და სიმძლავრეები არ შეიცვლება.**

არსებული ტექნოლოგიური სქემით სარეზერვუარო პარკში შემოსული ნავთობპროდუქტების (ნედლი ნავთობი, ბენზინი) მიღება ხდება სატუმბი სადგურის მეშვეობით, რომლის სიმძლავრეა 250 მ³/სთ-ში. შემოტანილი ნედლი ნავთობის წლიური ბრუნვა შეადგენს 120000 ტ/წელ (138000 მ³/წელ), ხოლო შემოტანილი მაღალი ოქტანობის ბენზინის 18000 ტ/წელ (24700 მ³/წელ). შემოტანილი ნედლი ნავთობის გადამუშავებისას ნავთობგადამამუშავებელ დანადგარში, რომლის წარმადობა წლიურად შეადგენს 120000 ტ (138000 მ³/წელ), მიიღება გადამამუშავებული ნედლეულის 20 % ნაფტა, 45 % დიზელის საწვავი და 35% მაზუთი, ანუ დღე-ღამეში მიიღება 80 ტ (24000 ტ/წელ ანუ 32900 მ³/წელ) ნაფტა, 180 ტ (54000 ტ/წელ ანუ 67500 მ³/წელ) დიზელის საწვავი და 140 ტ (42000 ტ/წელ) მაზუთი. ნავთობის გადამამუშავებისას მიღებული მაზუთის ნაწილის (80 ტ/დღე-ღამეში ანუ 24000 ტ/წელ) გადამამუშავებით ბიტუმის მიღების დანადგარებში მიიღება 8400 ტონა საგზაო ბიტუმი და 15600 ტონა სალუმელე საწვავი.

არსებული სარეზერვუარო პარკი შედგება 18 ცალი მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული და 2 ცალი ჰორიზონტალური მიწისზედა რეზერვუარისაგან, სადაც ხორციელდება ნაფტისა და მაღალი ოქტანობის ბენზინის შერევა. ყველა რეზერვუარი დადგმულია რკინაბეტონის საძირკვლებზე, მოშანდაკებული ზედაპირიდან 50 სმ-ის სიმაღლეზე და აღჭურვილია სასუნთქი კლაპანებით.

დაგეგმილი ცვლილებების შემდეგ, აღნიშნული სარეზერვუარო პარკი წარმოდგენილი იქნება 27 რეზერვუარით, აქედან 4 ერთეული ნედლი ნავთობისთვის, 3 მაზუთისა და საგზაო ბიტუმისთვის, 8 სალუმელე და დიზელის საწვავისთვის 10 ბენზინისა და ნაფტასთვის, ხოლო ორი ბენზინისა და ნაფტას შერევისთვის. ასევე, საწარმოს გააჩნია 400 მ³ მოცულობის წყლის აუზი (მის ადგილას რეკონსტრუქციის შემდეგ დაიდგმება 500 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების რეზერვუარი). რეკონსტრუქციის შემდეგ აგრეთვე დაიდგმება 2000 მ³ მოცულობის წყლის სახანძრო რეზერვუარი, რომლის მომარაგებისთვისაც წყალაღება განხორციელდება მდ. იორის სამგორის არხიდან, მიღების საშუალებით. დაგეგმარებით უზრუნველყოფილია სახანძრო მანქანების მიდგომა პარკის ყველა მხრიდან ხანძარსაწინააღმდეგო წყლის აუზთან, მყარი საფარიანი გზებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს გააჩნია თავისი საკუთარი სახანძრო მანქანა. სარეზერვუარო პარკში გაყვანილ წყალსადენზე დაყენებულია ოთხი ჰიდრანტი. სარეზერვუარო პარკის გარშემო მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები თავისი კომპლექტით, ამასთან, ყველა რეზერვუარი და ესტაკადა უზრუნველყოფილია საჭირო საექსპლუატაციო და დამიწების მოწყობილობით, აგრეთვე მეხამრიდებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების მიღება ხდება რკინიგზის ცისტერნებით, რომელთა მოცულობაა 60 ტ. ერთდროულად შეიძლება დაიცალოს 18 ვაგონ-ცისტერნა და ორი სახის ნავთობპროდუქტი: ნედლი ნავთობი და ბენზინი. რკინიგზის ჩიხი გათვალისწინებულია ცალმხრივი დაცლისათვის, ხოლო ვაგონ-ცისტერნების მიწოდება რკინიგზის ჩიხზე გათვალისწინებულია ჯგუფურად. რკინიგზის ჩიხი აღჭურვილია ჰერმეტიული ქვედა დამცლელი მოწყობილობით და გამანაწილებელი ჩამკეტი არმატურით. ჩამოსახსმელი მოწყობილობა განთავსებულია ყოველ 12 მეტრში, რაც უზრუნველყოფს 60 ტონიან ვაგონ-ცისტერნების სწრაფ და ერთდროულ დაცლას. აღნიშნული ჩიხის მუშაობის რეჟიმი სადღეღამისოა.

რეზერვუარებიდან დიზელის საწვავისა და ბენზინის გაცემა ავტოცისტერნებით და რკინიგზის ცისტერნებით ხორციელდება 90 მ³/სთ წარმადობის, მაზუთის 140 მ³/სთ წარმადობის, ხოლო ბიტუმის 30 მ³/სთ წარმადობის ტუმბოთი. ნედლი ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებული ნავთობპროდუქტების რეზერვუარებში გადაქაჩვა მიმდინარეობს შემდეგი სიმძლავრის ტუმბოებით: დიზელის საწვავისათვის – 20 მ³/სთ-ში; ნაფტა – 40 მ³/სთ-ში; მაზუთი – 30 მ³/სთ-ში. რაც შეეხება საგზაო ბიტუმის წარმოებისას მიღებული პროდუქტების გადაქაჩვას, აღნიშნული პროცესი რეზერვუარებში მიმდინარეობს შემდეგი სიმძლავრის ტუმბოებით: სალუმელე საწვავისათვის – 20 მ³/სთ-ში; საგზაო ბიტუმი – 30 მ³/სთ-ში. მაღალი ოქტანობის ბენზინისა და ნაფტის მიღებისას შემრევ რეზერვუარებში ხორციელდება მათი რეზერვუარებში გადაქაჩვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტექნოლოგიური მილგაყვანილობა ძირითადად შესრულებულია მიწისზედა, ხოლო გზების და მოედნების გადაკვეთის ადგილას მიწისქვეშა გადაწყვეტით. რკინიგზის ცისტერნებიდან ნავთობპროდუქტების ჩასხმა რეზერვუარებში, ხოლო იქიდან ავტოცისტერნებში გაცემა წარმოებს ძირითადად სატუმბ

სადგურში განლაგებული ელექტროძრავიანი ტუმბოებით (10 ერთეული), რომელთა შერჩევა ხდება ტექნოლოგიური პროცესის რეჟიმის მიხედვით. სატუმბო სადგურში მოთავსებულია ურდულების კვანძი, რომელთა საშუალებით ხდება ნავთობპროდუქტების გადატუმბვა სხვადასხვა მიმართულებით. ტუმბოების წინ დამონტაჟებულია უხეში გაწმენდის ფილტრი, ხოლო ავტოცისტერნებში ჩამსხმელ დანადგარზე დამონტაჟებულია წმინდა გაწმენდის ფილტრი, მრიცხველი და სხვა ხელსაწყოები. ტუმბოებიდან რეზერვუარისკენ მიმავალ მილზე განთავსებულია უკუსარქველი, რათა ტუმბოს გაჩერების შემთხვევაში არ მოხდეს სითხის უკან გამოდინება.

ბენზინისა და დიზელის საწვავებისათვის დამონტაჟებულია ცალკე მილსადენი, რომ არ მოხდეს ამ პროდუქტების ერთმანეთში შერევა. მიმღები სატუმბო სადგურიდან რეზერვუარებამდე მოწყობილია დამცლელი მილსადენები, რომლებითაც სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს ხდება მათში ნარჩენი ნავთობპროდუქტების დაცლა მიმღებ მილსადენებზე. დამცლელ მილსადენებთან მიერთებულია აგრეთვე სადრენაჟო მილსადენები, რომლითაც ხორციელდება რეზერვუარებში გამცემი მილსადენის ნიშნულის ქვევით არსებული ნარჩენი ნავთობპროდუქტების დაცლა. რეზერვუარები, მილსადენები და სხვა მოწყობილობები შეღებილია კოროზიის საწინააღმდეგო საღებავებით. სარეზერვუარო პარკი რეზერვუარების დაზიანების შემთხვევაში ნავთობპროდუქტების ლოკალიზაციის მიზნით, შემოსაზღვრულია 50 სმ სიმაღლის შემაღლებით. სკრინინგის დოკუმენტაციაში მოცემულია ვაკუუმური გამოხდის დანადგარის და საგზაო ბიტუმის ბლოკის ტექნოლოგიური რეჟიმის ნორმები.

რაც შეეხება ნავთობგადამამუშავებელი მინი დანადგარის ტექნოლოგიურ სქემას, სკრინინგის დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობის პირველადი გადამუშავების დანადგარზე ხორციელდება ნავთობის გადამუშავება ფიზიკური (თერმული) მეთოდით. გამოხდა დაფუძნებულია ნავთობის სხვადასხვა ფრაქციების შემცველი კომპონენტების დუღილის ტემპერატურის სხვაობაზე და მოიცავს მაღალ ტემპერატურამდე ნავთობის გაცხელების და პროდუქციის განცალკევების ეტაპს. ნავთობის გაცხელება ძირითადად წარმოებს მილოვან ლუმელში, სადაც სითბოს გადაცემა გამაცხელებელი აირიდან ნავთობზე ხორციელდება მეტალის მილების საშუალებით – ანთებული აირის ალიდან კონვექციით და გამოსხივებით გახურებული მილების კედლებიდან. გაცხელებული ნავთობიდან პროდუქციის გამოცალკევება ხდება სარექტიფიკაციო სვეტებში რექტიფიკაციის პროცესის მეშვეობით. რეზერვუარებში გადამუშავებისათვის მომზადებული ნედლი ნავთობი, თვითდინებით შემოიძინება ფილტრის გავლით ნედლეულის ტუმბოს მიმღებ მილში. ამ ტუმბოს მეშვეობით ნავთობი გაივლის დიზელის და მაზუთის თბომცვლელებს, სადაც კოლონიდან გამომავალი ცხელი დიზელისა და თბომცვლელისაგან გამომავალი მაზუთის გაციების ხარჯზე ხდება მისი გახურება 80-95°C ტემპერატურამდე და შედის დეჰიდრატორში ნავთობის მილსადენზე დამონტაჟებული ნავთობის ხარჯის განმსაზღვრელი ხელსაწყოთი. დეჰიდრატორში ხდება წყლისა და მექანიკური მინარევების ნავთობისაგან მოცილება 95°C ტემპერატურამდე გაცხელებულ ნავთობში ემულსირებული წყლის ბურთულაკები იწყებენ ინტენსიურ მოძრაობას, უერთდებიან ერთმანეთს, მსხვილდებიან და როგორც ნავთობზე, მძიმე სითხე გროვდება დიპილიტორის ფსკერზე. ფსკერზე მოგროვილი წყლის მასა პერიოდულად ჩაიწრიტება კანალიზაციაში. წყლის გამოყოფა ნავთობის მასისაგან ეფექტურად მიმდინარეობს 80-95°C ტემპერატურის ფარგლებში. შემდგომ ეტაპზე, ნავთობი გადადის დეჰიდრატორში, სადაც ხდება დამატებით წყლისა და მექანიკური მინარევების ნავთობისაგან მოცილება.

დეჰიდრატორიდან გამოსული ნავთობი გაივლის თბომცვლელს, შემდეგ კონდესატორ-მაცივარს, სადაც კოლონის ზემო ნაწილიდან გამომავალი „ფლეგმის“ მეშვეობით დაახლოებით ხურდება 200°C –მდე და შედის ღუმელის კონვექციური ნაწილის მილში, სადაც გახურება ხდება გაზის წვის შედეგად წარმოქმნილი ცხელი აირის მასასთან კონტაქტირების ხარჯზე. ღუმელის კონვექციურ ნაწილში შემავალ ნავთობის მილსადენზე დამონტაჟებულია ღუმელში შემავალი ნავთობის ტემპერატურის გამზომი თერმოწყვილი. ნედლ ნავთობში წარმოქმნილი წყლის ორთქლი და მსუბუქი აიროვანი ნახშირწყალბადები, ბენზინი, ნავთი და დიზელის ფრაქცია ნარევის სახით თეფშების გავლით მიემართება კოლონის ზედა ნაწილისაკენ, სადაცწარმოებს მაზუთის ფრაქციების მოცილება და ნარევი ორთქლის სახით გამოდინება, ხოლო გაციების შემდეგ მიღებული სითხე ჩაედინება „ფლეგმის“ სეპარატორში. სეპარატორში ხდება ნახშირწყალბადების ნარევის გაყოფა აიროვან და თხევად ფრაქციებად. თხევადი ნაწილი სეპარატორის ქვედა ნაწილიდან ტუმბოებით მიეწოდება პირველ კოლონის თეფშზე (ზედა ნაწილში) მოსარწყავად. კოლონის ზედა ნაწილში ტემპერატურის რეგულირება წარმოებს ავტომატურად მარეგულირებელი სარქველით. თხევადი „ფლეგმის“ მიწოდებით. სეპარატორის იმ თხევადი ნახშირწყალბადების ნარევის რაოდენობა, რომელიც სვეტის მოსარწყვად არ გამოიყენება 250-270 °C ტემპერატურით თვითდინებით გადადის მე-2 კოლონის მე-6 თეფშზე, ხოლო 1-1 სეპარატორის ზემო ნაწილიდან ორთქლი იგივე ტემპერატურით შედის კოლონის მე-5 თეფშზე. ტექნოლოგიური სქემის საბოლოო ეტაპზე, სეპარატორის შუა ნაწილიდან გაცივებული ბენზინის ფრაქცია ტუმბოთი მოსარწყავად მიეწოდება კოლონის ზედა ნაწილში პირველ თეფშს, სადაც ტემპერატურის რეგულირება ხდება ავტომატურად ფლეგმის მიწოდებით. ბენზინის ბალანსური რაოდენობა, რომელიც კოლონის მოსარწყავად არ გამოიყენება, გადაიტუმბება ბენზინის საცავი. მე-2 კოლონის ქვემოდან გამოდის დიზელის ფრაქცია, რომელიც გაივლის თბომავალს, სადაც ცივდება ნედლ ნავთობზე სითბოს გადაცემის მეშვეობით და არაუმეტეს 45 °C ტუმბოთი გადაიტვირთება დიზელის საცავში.

საწარმოში, როგორც არსებული, ასევე რეკონსტრუქციის შემდეგ 120000 ტონა ნედლი ნავთობის გადამუშავებით და მისგან მიღებული მაზუთით წელიწადში მიიღება: 8400 ტ საგზაო ბიტუმი; 15600 ტ საღუმელე საწვავი; 42000 ტ ბენზინი; 54000 ტ დიზელის საწვავი; 18000 ტონა მაზუთი. ხოლო საწარმოში ნედლეულის სახით გამოყენებული იქნება 120000 ტონა ნედლი ნავთობი და 18000 ტ ბენზინი.

სკრინინგის დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობის გადამუშავების პროცესი კონტროლდება საზომ-მაკონტროლებელი ხელსაწყოების ერთობლიობით. საწარმოს ასევე გააჩნია საქვებზე მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს ტექნოლოგიური პროცესებისას დამუხანგავ კუბში ტემპერატურის შენარჩუნებას, ბიტუმისა და მაზუთის (ზამთრის სეზონში) გაცხელებას ტრანსპორტირებისათვის. საქვებზე მეურნეობა შედგება ოთხი (თითო 1 ტ/სთ სიმძლავრის) ქვებისაგან, რომელშიც ბუნებრივი აირის ხარჯი არ აღემატება 90 მ³/სთ-ს. ოთხი ქვაბიდან ორი წარმოადგენს სარეზერვოს, ხოლო თითოეული საქვების ნამწვი აირების გამოყოფის მილის სიმაღლე ტოლია 12 მ-ის, დიამეტრი 0.3 მ.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით საწარმოს ტერიტორიაზე წარმოიქმნება როგორც საწარმოო, ისე სანიაღვრე და სამეურნეო-ფეკალური წყლები. ნავთობის ბაზის ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია სანიაღვრე და კანალიზაციის სისტემა. სამეურნეო-ფეკალური წყლები ადმინისტრაციული შენობიდან გამომავალი მილსადენით უერთდება არსებულ საკანალიზაციო ქსელს. რაც შეეხება საწარმოო-სანიაღვრე წყლებს, აღნიშნული

წყლები საწარმოს მთელ ტერიტორიაზე იკრიბება სპეციალურ მილსადენებში და რკინაბეტონის ღარებში. სარეზერვუარო პარკიდან გამოსვლის წინ დაბინძურებული წყლები გროვდება შემოზვინვასთან ახლოს მდებარე სპეციალურ ჭაში, რომელშიც მოწყობილია ჩამკეტი მოწყობილობა ე.წ. „Хлопушка“. დაბინძურებული წყლები ჩაედინება ჯერ სალექარში, სადაც ხდება მათი გაწმენდა თიხისა და ქვიშის ნაწილაკებისაგან, ხოლო შემდეგ გადადის გამწმენდ ნაგებობაში, რომლის წარმადობაა 6.0 ლ/წმ. გაწმენდის შემდეგ სუფთა წყალი ჩაედინება საწარმოს ტერიტორიის გარეთ მდებარე უსახელო ხევში, რომელიც უერთდება მდ. ლოჭინს. ახალი სარეზერვუარო პარკიდან გამომავალი სანიაღვრე წყლებიც პირველ ეტაპზე გაივლის მარტივი ტიპის სალექარს, რომელიც დაერთებული იქნება არსებულ ნავთობდამჭერთან. გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს ემატება ახალი ტერიტორია და სარეზერვუარო პარკი, მოსალოდნელია სანიაღვრე წყლების ხარჯის გაზრდა, ხოლო რაც შეეხება დაგეგმილი რეკონსტრუქციის შემდგომ არსებულ საწარმოო და სამეურნეო მიზნებითვის გამოყენებულ წყლის ხარჯს, აღნიშნული დარჩება უცვლელი, რადგან ცვლილება არ ითვალისწინებს საწარმოს სიმძლავრეების გაზრდას.

2014 წელს წარმოდგენილი გუშ-ის დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად ადგილი აქვს ატმოსფერულ ჰაერში შემდეგი სახის ნივთიერებების გაფრქვევას: ნაჯერი ნახშირწყალბადები (C_1-C_5), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C_6-C_{10}), ნაჯერი ნახშირწყალბადები ($C_{12}-C_{19}$), ამილენი, ბენზოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი, ქსილოლი, გოგირდწყალბადი, ნახშირჟანგი და აზოტის დიოქსიდი. სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს რეკონსტრუქციის შემდგომ მოსალოდნელი არ არის ატმოსფერულ ჰაერში რაიმე ახალი სახის ნივთიერებების გაფრქვევა. გაიზრდება მხოლოდ გაფრქვევის ინტენსივობები რეზერვუარების დამატების შედეგად, სამინისტროსთან 2016 წლის 30 დეკემბერს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით შეთანხმებულ მაჩვენებლებთან შედარებით. რაც შეეხება ხმაურს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ახალი სარეზერვუარო პარკის მოწყობა არ გამოიწვევს გავრცელებული ხმაურის მაჩვენებლის ცვლილებას. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ დასახლებულ პუნქტსა და საწარმოს შორის მანძილს, საქმიანობის შედეგად, მოსალოდნელი არ არის ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში დაგეგმილი ცვლილების შემდგომ მოსალოდნელი არ არის ახალი სახეობის ნარჩენების წარმოქმნა, გაიზრდება მხოლოდ ნავთობდამჭერში დაჭერილი შლამისა და ნავთობპროდუქტების რაოდენობა. რაც შეეხება ახალი სარეზერვუარო პარკის მოწყობას, აღნიშნულ ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სამშენებლო ნარჩენის წარმოქმნა. ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ნარჩენების განთავსების უბანი, შესაბამისად დასტიკერებული ურნებით. საწარმოში წარმოქმნილი როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენი დროებით თავსდება ტერიტორიაზე და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას.

დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად კუმულაციურ ზემოქმედებაში შესაძლოა განხილული იყოს ტერიტორიის მიმდებარედ, შპს „ენმა ოილის“ არსებული ნავთობბაზა და მათი ერთობლივი ფუნქციონირება. თუმცა შპს „ენმა ოილის“ ნავთობბაზის მასშტაბის და სიმძლავრეების გათვალისწინებით აღნიშნული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

ახალი ნავთობბაზისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ხე-მცენარეები და ცხოველთა სახეობები. საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს ჭარბტენიანი და დაცული ტერიტორიები. ამასთან, არ შეინიშნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოში დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს ნავთობპროდუქტების გადამამუშავების, შემოტანილი და გასაცემი ნავთობპროდუქტების რაოდენობისა ცვლილებას, მოსალოდნელი არ არის მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „ზდ ნავთობის კომპანიის“ 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მიწი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 ივლისის (ბრძანება N2-656) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში, უზრუნველყოს არსებული ცვლილების გათვალისწინებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ნარჩენების მართვის განახლებული გეგმის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, ხოლო ნარჩენების მართვა უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
4. შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით უზრუნველყოს განახლებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის“ სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა და ზდჩ-ს ნორმების დაცვა უზრუნველყოს შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;
5. შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სამინისტროში

შესათანხმებლად წარმოდგენა და შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების და დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დაცვა;

6. ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 ივლისის N2-656 ბრძანებით შპს „ზდ ნავთობის კომპანიის“ 22600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ზდ ნავთობის კომპანიას“;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ზდ ნავთობის კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი

დანართი 6.6. „გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „ზდ ნავთობის კომპანიას“ 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს №235/ს (04/08/2022) ბრძანება



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქობილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 235/ს
04/08/2022

235-21-4-202208041905



გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „ზდ ნავთობის კომპანიას“ 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ზდ ნავთობის კომპანიას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2014 წლის 4 ივნისს შპს „ზდ ნავთობის კომპანიას“ 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე გაცემულია №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2020 წლის 27 ივლისს, აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-656). ამასთან, 2020 წლის 11 სექტემბრის სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-812), საწარმოში დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (სარეზერვუარო პარკის გაზრდა 40 700 მ³-მდე) არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „ზდ ნავთობის კომპანიას“ ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხანა მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ:81.10.22.409 და 81.10.22.390), საერთო ფართობით 52204 მ². საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X - 503235.0; Y - 4616763.0. აღნიშნული ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. ვაზიანი დაშორებულია 750 მეტრით. ობიექტის მომიჯნავედ განთავსებულია შპს „ენმა ოილის“ კუთვნილი ნავთობბაზა, ხოლო 100 მეტრის დაშორებით მდებარეობს სამგორის არხი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ჯამურად 32 700 მ³ მოცულობის მქონე სარეზერვუარო პარკი, რომელიც მოიცავს 26

ერთეულ რეზერვუარს, მათ შორის ნედლი ნავთობისათვის ჯამურად 5000 მ³ (3000 მ³ და 2000 მ³) მოცულობის, მაზუთისათვის და საგზაო ბიტუმისათვის ჯამურად 8000 მ³ (1000 მ³ ; 2000 მ. და 5000 მ³) მოცულობის, საღუმელე და დიზელის საწვავისათვის ჯამურად 4000 მ³ (5 ერთეული 1000 მ³ და 3000 მ.) მოცულობის, ბენზინისათვის და ნაფტისათვის ჯამურად 11 500 მ³ (500 მ³; 9 ერთეული 1000 მ³ და 2000 მ.), ხოლო ბენზინისა და ნაფტის შერევისათვის ჯამურად 400 მ³ (4 ერთეული 100 მ³.) მოცულობის რეზერვუარი. აგრეთვე, ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხნის შემადგენლობაში შედის ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი დანადგარი, საგზაო ბიტუმის წარმოების დანადგარი, ნავთობპროდუქტებისა და ბიტუმის ჩამოსასხმელი მილსადენები, ნავთობპროდუქტების სატუმბი და გამცემი სადგურები, 2000 მ³ მოცულობის სახანძრო წყლის შესანახი რეზერვუარი და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების ობიექტები, სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობა, რკინიგზის ლიანდაგის ჩიხი და ავტოგზა, აგრეთვე, საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული დანიშნულების შენობა-ნაგებობები. საწარმოს ტერიტორია შემოღობილია 1.8 მეტრის სიმაღლის რკინა-ბეტონის ღობით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2020 წლის 11 სექტემბრის სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად (ბრძანება N 2-812), ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული იყო ობიექტის ტერიტორიაზე არსებული, 23 200 მ³ მოცულობის მქონე სარეზერვუარო პარკის გაზრდა 40 700 მ³-მდე, კერძოდ, ტერიტორიაზე არსებული სარეზერვუარო პარკის შემადგენლობაში ჯამურად 17 500 მ³ მოცულობის მქონე რეზერვუარის განთავსება. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ობიექტის ტერიტორიაზე დაგეგმილი ცვლილება განხორციელდა ნაწილობრივ და სარეზერვუარო პარკის შემადგენლობას დაემატა ჯამურად 9 500 მ³ მოცულობის მქონე რეზერვუარი, შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა შეადგენს 32 700 მ³-ს. ამასთან, სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაციით, სარეზერვუარო პარკის შემადგენლობაში დაგეგმილია დამატებით ორი ერთეული (თითოეული 100 მ³ მოცულობის) მიწისზედა, ვერტიკალური რეზერვუარის განთავსება. შესაბამისად, სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ განისაზღვრება 32 900 მ³ -ით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილია PPGT-UC-SDS მარკის დესულფურიზაციის დანადგარის განთავსება. აღნიშნული დანადგარი განკუთვნილია ნედლი ნავთობის გადამამუშავების, კერძოდ, ჰიდრავლიკური კავიტაციის პროცესის მეშვეობით გოგირდის მოშორებისთვის. საპროექტო დანადგარი წარმოადგენს სრულად დახურულ, ავტომატიზებულ, დისტილაციის სისტემას და მისი წარმადობა შეადგენს 2 ტონას საათში, შესაბამისად, დანადგარის სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 17 520 ტონა დიზელის საწვავის გადამამუშავება. დანადგარის ტექნოლოგიური პროცესის უზრუნველსაყოფად გამოიყენება საქვაბეში, ბუნებრივი აირის ხარჯზე გამომუშავებული სითბური ენერჯია. ბუნებრივი აირის ხარჯი, წლის განმავლობაში განისაზღვრება 578 160 მ³-ით. საქვაბის გაფრქვევის მილის სიმაღლე მიწისპირიდან შეადგენს 12 მეტრს, ხოლო დიამეტრი 300 მმ-ს. გამონაბოლქვის (CO₂ და H₂O) სიჩქარე 11 მ/წმ-ს. დიზელის საწვავის დესულფურიზაციის დანადგარის საწარმოო ტერიტორიაზე განთავსების წერტილის GPS კოორდინატებია: X - 503350.00; Y - 4616593.00.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დესულფურიზაციის ტექნოლოგიური პროცესი იწყება დიზელის საწვავის შერევით გამხსნელ ნივთიერებასთან ულტრაბგერითი და ჰიდროდინამიკური კავიტაციის მოწყობილობაში. აღნიშნული ნივთიერებების შერევის

შემდეგ ხდება მიღებული ნაერთის პირველ რეაქტორში ჩატუმბვა, სადაც იგი რეაგირებს მაღალი სიხშირის ვიბრაციული კავიტაციის მოწყობილობაში. შემდგომ ნაერთი გადადის ექსტრაქციის სვეტში, სადაც გოგირდის გამოდევნის შემდეგ დიზელი ჩაიტუმბება ფლემ-დისტილაციურ სვეტში. ფლემ-დისტილაცია გამოყოფს ნარჩენ გამხსნელს დიზელისგან. გადამუშავების შედეგად მიღებული დიზელი გადაიტანება შესაბამის რეზერვუარებში, 20 მ³/სთ წარმადობის მქონე ტუმბოს მეშვეობით. გამოყენებული გამხსნელი კი გადანიაცვლებს აღდგენის დისტილაციურ სვეტში, სადაც ვაკუუმის და გაცხელების პროცესის შედეგად ხდება მისი აღდგენა. გამხსნელი, აღდგენის შემდეგ, ვარგისია ხელახლა გამოსაყენებლად.

სკრინინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, სახანძრო და ტექნიკური მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება წყალმომარაგების ცენტრალური ქსელიდან, ხოლო სახანძრო და ტექნიკური მიზნებისათვის წყალაღება წარმოებს მდ. იორის სამგორის არხიდან შემდეგ GPS კოორდინატებზე: X – 503379,00; Y – 4616403,00. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოიქმნება სამეურნეო-ფეკალური, ტექნიკური და სანიაღვრე წყლები. სამეურნეო-ფეკალური წყლები იკრიბება ტერიტორიაზე არსებულ სასენიზაციო ორმოში, რომლის დაცვაც ხდება საჭიროებისამებრ. ობიექტის ტერიტორიაზე არსებული დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული ტექნიკური წყლის მიწოდება წარმოებს ბრუნვითი წყალმომარაგებით, შესაბამისად, ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს, ხოლო რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, ობიექტის ტერიტორიაზე არსებული სალექარის გავლით ჩაედინება საწარმოს სიახლოვეს გამავალ უსახელო დელეში, რომელიც უერთდება მდინარე ლოჭინს. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი ცვლილებების ფარგლებში არ არის გათვალისწინებული სასმელ-სამეურნეო და სახანძრო მიზნით მოხმარებული წყლის, აგრეთვე სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობის ზრდა. ობიექტის ტერიტორიაზე დაგეგმილი ცვლილება, კერძოდ დესულფურიზაციის დანადგარის ექსპლუატაცია, ითვალისწინებს წყლის ტექნიკური მიზნით გამოყენებას დანადგარების ტემპერატურული რეჟიმის მართვის პროცესში. აღნიშნული მიზნით, დანადგარს დღის განმავლობაში ესაჭიროება 2 მ³ მოცულობის წყალი, რაც სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში გულისხმობს 660 მ³ მოცულობის წყლის გამოყენებას, რაც მცირედით გაზრდის ზედაპირული წყლის ობიექტიდან აღებული წყლის რაოდენობას. დესულფურიზაციის დანადგარის ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის გამოყოფა ხდება ატმოსფეროში, ორთქლის სახით, შესაბამისად, ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის თანახმად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად ადგილი აქვს ატმოსფერულ ჰაერში შემდეგი სახის ნივთიერებების გაფრქვევას: ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1–C5), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C6–C10), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C12–C19), ამილენი, ბენზოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი, ქსილოლი, გოგირდწყალბადი, ნახშირჟანგი და აზოტის დიოქსიდი. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად დამატებით მოსალოდნელია დესულფურიზაციის დანადგარის მომსახურე საქვებში ბუნებრივი აირის წვით გამოყოფილი წვის პროდუქტების, აზოტის დიოქსიდისა (NO₂) და ნახშირჟანგის (CO) გაფრქვევა. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტის ტერიტორიაზე დაგეგმილია დამატებით ჯამურად 200 მ³ მოცულობის, ორი ერთეული რეზერვუარისა და დესულფურიზაციის დანადგარის განთავსება, თუმცა, ვინაიდან ობიექტის ტერიტორიაზე არ განხორციელდა 2020 წლის 11 სექტემბრის (ბრძანება N 2-812)

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული, ჯამურად 8000 მ³ მოცულობის, სამი ერთეული (5000მ³, 2000მ³ და 1000 მ³) რეზერვუარის დამატება, გაფრქვევის წყაროების რაოდენობა (45) დარჩება უცვლელი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სარეზერვუარო პარკის მოცულობის 7800 მ³-ით შემცირების შესაბამისად მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შემცირება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები არ არის დაკავშირებული ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების გარდასთან. რაც შეეხება დესულფურიზაციის დანადგარისა და რეზერვუარების მოწყობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებს, მათი მასშტაბის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი ცვლილების, კერძოდ დესულფურიზაციის დანადგარისა და ორი ერთეული შემრევი რეზერვუარის განთავსების შედეგად მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. აღნიშნული ნარჩენები დროებით განთავსდება ობიექტის ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, საწარმოში დაგეგმილი ცვლილების განხორციელების შემდგომ მოსალოდნელი არ არის ახალი სახეობის ნარჩენების წარმოქმნა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღნიშნა, დესულფურიზაციის დანადგარში ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს უნარჩენოდ. დისტილაციის პროცესში გამხსნელი ნივთიერების გამოყოფის შემდგომ მისი გადატანა ხდება დანადგარის შესაბამის განყოფილებაში, სადაც იგი აღდგება და ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად კუმულაციურ ზემოქმედებაში შესაძლოა განხილული იყოს ტერიტორიის მიმდებარედ, შპს „ენმა ოილის“ არსებული ნავთობბაზა და მათი ერთობლივი ფუნქციონირება. თუმცა, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე დაგეგმილი ცვლილებების მასშტაბისა და ხასიათის, აგრეთვე, შპს „ენმა ოილის“ ნავთობბაზის მასშტაბის და სიმძლავრის გათვალისწინებით აღნიშნული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ობიექტის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, რომელიც სრულად მოხეტონებულია და თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. ნავთობპროდუქტების საცავის სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ 22 600 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავების (სარეზერვუარო პარკით ბიტუმის დამამზადებელი მინი ქარხანა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 27 ივლისის (ბრძანება N2-656) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ზდ ნავთობის კომპანია“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ზდ ნავთობის კომპანია“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
